

180/3
1936

183



საბჭოთა
წარმოვნება

N6
1936

წესაბჭოთა წერტილი

№ 6

1936 წ.

ხელოვნებისა და ლიტერატურის მცხოვრილი

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო სამსახური ხელოვნების სამსახურის
სამსახურის მოვლითი კონკრეტული მოვლითი

ლ. გერიძე

83.

1. გავაცამტვერით სოციალიზმის მტრები 1

2. ბოლშევიკური სიტხისლით 11

ს. შავიაზვილი

3. ჩემი შთაბეჭდილებანი საკაფერო ფესტივალზე 13

3. გვალობლივილი

4. რუსთაველის თეატრის მოზიგი გამარჯვება შემოქმედებითი გარდაქმნის
ახალ გზაზე 18

5. სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებები რუს-
თაველის თეატრის შესახებ 22

3. ფარავილი

6. ვამაყობთ თქვენით 23

პროფ. ი. ჯავახიშვილი

7. ქართული მუსიკის ისტორიის საკითხებისათვის 24

ს. გერსამიძე

8. ქართული თეატრის დაარსების თარიღისათვის 37

ანა ლვილიაზვილი

9. ზღაპარი სცენაზე 46

ს. სულაკაშვილი

10. კინო-მსახიობის აღზრდისათვის 50

გ. შავილიძე

11. კულტურისა და დასენატის ცენტრალური ბალის სეზონის ჯავი 52

12. სიმღერა სტალინზე 54

13. თასუაში კამპანია 55

14. ძრონიქა 56

ყდაზე: ლენინის ორდენის რუსთაველის თეატრის დადგმა „არსენა“
გაფორმება ორდენისანი მხატვარის ი. გამრეკელის

რედაქციის მისამართი: მახარაძის ქ. № 8. ტელეფონი 3—02—87

სა გ ჭოთა ხელოვნება

ლაგრენტი ბერია

გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები

„...ჩანას კი არ უნდა ვეუბნებოდეთ
პარტიას,—არამედ უნდა ვანვითარებდეთ
მასში სიცხიშლებს, კი არ უნდა მიყაძინოთ
იგი, — არამედ ვიყოლიოთ საბრძოლო
მხადყოფნის მდგომარეობაში. კი არ უნდა
განვაირაღოთ, არამედ უნდა შევაირა-
ღოთ, მისი დემობილიზაცია კი არ უნდა
მოვაწიდინოთ, — არამედ ვიყოლიოთ იგი
მობილიზაციის მდგომარეობაში“...

ი. სტალინი

მოხსენებიდან საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე

ჩვენი მძღვრი საბჭოთა ქვეყანა ბეჯითად მიდის წინ ბედნიერი და სასი-
ხარულო ცხოვრების მწვერვალებისაკენ.

სსრ კავშირის სტალინური კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც უდიდესი
აღფრთოვანებით იხილავენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები, განასახიერებს სოცია-
ლიზმის ისტორიულ წარმატებებს, მოპოვებულთ საბჭოთა კავშირის ხალხთა მიერ
ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, პარტიისა და მშრომელი მასების
საყვარელი ბელადის—დიდი ს ტალინის გრინალური წინამდლოლობით.

მთელი მსოფლიო იცნობს ამ წარმატებებს, მათ იცნობენ და აფასებენ
მშრომელი კაცობრიობის მილიონები. სოციალიზმის ყველაზე დაუძინებელი მტრე-
ბიც კი იძულებული არიან აღიარონ საბჭოთა ხელისუფლების წარმატებანი.

ეს წარმატებანი მოპოვებულია სსრ კავშირის ბოლშევიკებისა და მშრომე-
ლი მასების მიერ კონტრრევოლუციის ძალთა ლიკვიდაციის შეცევად, ანტი-
პარტიული ჯუფებისა და ოპოზიციების დაუნდობელი განადგურების შედევად.
ისინი მიღწეულია ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასების გმირული ბრძოლითა და
მუშაობით და წარმოადგენენ ჩვენი პარტიის ხაზის გამარჯვების გამოხატულე-
ბას, მისი სტალინური ხელმძღვანელობის გამარჯვებათა გამოხატულებას.

მხოლოდ ლენინ-ს ტალინის პარტიამ, რომელიც პროლეტარიატის
დიქტატურის წამყვნა ძალას წარმოადგენს და რომელსაც საკ. კ. პ. (ბ) სტა-
ლინური ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობს, უზრუნველყო ეს ისტო-
რიული წარმატებანი, შეურიგებლად იცავდა რა თავის გენერალურ ხაზს მტრე-
ბის თავდასხმებისაგან.

ამიტომ სოციალიზმის განადგურებულ მტერთა უბადრუკი ნ მსხვრევები
ახლა სცდილობენ მთელი თავიანთი მახვილი, უწინარეს ყოვლისა, მიმართონ
ლენინ-ს ტალინის პარტიის წინააღმდეგ, მისი ხელმძღვანელობის წინააღმ-
დეგ. მის გულში, ისინი თავიანთ შავბნელ, მოღალატურ და დამარღვეველ მუ-
შაობაში აღგებიან ყველაზე ბილწი, ყველაზე სახიზღარი საშუალებებისა და
მეთოდების გზას.

„მხედველობაში უნდა გვქონდეს,—ამბობდა ამხანაგი ს ტალინი, — რომ
საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდა გააძლიერებს მომაკვდავი კლასების
უკანასკნელი ნაშთების წინააღმდეგობას. სწორედ იმიტომ, რომ ისინი კვდებიან
და სულს დაფავენ, ისინი თავდასხმის ერთი ფორმიდან გადავლენ თავდასხმის

გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები

სხვა, უფრო მკეყნო ფორმაზე, მრჩებთ თავენ მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებს და დარაზმავნ მათ საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ. არ არის ისეთი სი-საძგლე და ცილისწამება, რომელიც ამ ყოფილმა აღამიანებმა არ მიაწერონ საბჭოთა ხელისუფლებას და რომლის გარშემოც არ შეეცადნენ ჩამორჩენილი ელემენტების მობილიზაციას. ამ ნიადაგზე შეიძლება გამოკოცხლდნენ და შეინძრენ ძველი კონტრრევოლუციური პარტიების — ესერების, მეზევიკების, ცენტრისა და განაპირო მხარეების ბურუაზიული ნაციონალისტების დამარცხებული ჯგუფები, შეიძლება გამოკოცხლდნენ და შეინძრენ კონტრრევოლუციური ოპოზიციური ელემენტების ნაშენერევები ტროცკისტებისა და შემარჯვენე უკლინისტების წრიდან“.

ამხანაგი სტალინის ეს გენიალური პროგნოზი სავსებით და მთლიანად დაადასტურა თვით ცხოვრებამ.

პარტიის ერთერთი საუკეთესო, საყვარელი ხელმძღვანელის — სერგეი მირონის — დეკიროვის საზიზღარმა მკვლელობამ, რომელიც ტროცკიმ, ზინოვიევმა, კამენევმა — ამ კონტრრევოლუციონერებმა და არამზადებმა მოჟყეს, — თვალნათლივ დაგვანახა, რომ პარტიის მტრები მის წინააღმდეგ ბრძოლის არაფითარ საშუალებას არ თალიკობენ და რომ ისინი ტერორის, დივერსიისა და შპიონაჟის გზით მიღიან.

მტრებისათვის აშკარაა, რომ პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგი სტალინის წინამდლოლობით, საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდა, წარმატებით გადალახა მან თავის წინაშე მდგომი ყველა სიძნელე და ახალ-ახალ გამარჯვებას აღწევს, რომ ბოლშევიკური პარტია გახდა მთლიანი და მონოლიტური, როგორც არასოდეს.

ხედავენ რა ამას, კონტრრევოლუციური ძალების ნაშთები და, უშინარეს ყოვლისა, კონტრრევოლუციის ქოფაკი ძალები — უმსგავსი ტროცკისტები და ზინოვიეველები, რომლებსაც არავთარი დასაყრდენი არა აქვთ მასებში, გაბოროტებულნი არიან და თვით ისტორიის მიერ მხილებულნი, რომლებმაც თავიანთ „პრინცებს“ საფუძვლად დაუდეს კარიერიზმი, თავკერძობა და მართლიორობა, გადაიქცენ შეკველთა ბანდად, რომელთა ერთად-ერთი მიზანია — არაფერი არ ითაკილონ და ყოველგვარი საშუალებით გაძრნენ ხელისუფლების სათავეში.

დააღვნენ რა მოღალატეობისა და გამცემლობის გზას, ტროცკისტები და ზინოვიეველები ჩაფინანსირებულ თეთრგვარდიელთა ჭაობში, გადაიქცენ კონტრრევოლუციურ ელემენტთა მთავარ დამრაზმავ ძალად ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო კონტრრევოლუციური ბურუაზის მოწინავე რაზმად მის ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლა მათი მიზანი გახდა; ტერორი, შპიონაჟი და დიგერსია გადაიქცა მათი ბრძოლის საშუალებად, ხოლო თვალთმაქცობა — მათი კონტრრევოლუციური თეთრგვარდი ბანდი ტროცკისტები თეთრგვარდი ტროცკისტების მეთოდად და საფარად.

უკანასკნელ დროს პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლის პერიოდში ამიერ-კავკასიაში გამოაშეარებულ და გამომულავნებულ იქნენ ცალკეული კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ზინოვიევური ჯგუფები.

ტფილისში გამოაშეარებულ იქნენ კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტები: თუმანივი, აკირტავა, ჩიხლაძე, ძიგრაშვილი, ყაზაროვი, ანანინი, მუდრი, ვარნაზოვი და სხვები. ეს თვალთმაქცნი, რომლებიც წარსულში ნაციონალ-უკლინისტები იყვნენ, ხოლო შემდეგ ტროცკისტულ თპოზიციას ეკუთვნონდნენ, რომელთა ნაწილი გადასახლებაში იყო, ხოლო ცალკეული მათგანი პარტიაში იქნენ აღღენილნი, ფიცით იძლეოდნენ რა თავის განცხადებებს პარტიის ხაზისადმი ერთგულების შესახებ, ამავე დროს ჰემილდნენ კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ არალეგალობას, ეწეოდნენ დამარღვეველ მუშაობას, ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს.

ბაქოში გამოაშეარებულ იქნა ბალდასაროვის, კრილოვის, კუზმინის, კონევსკის, მ. ბაირამოვის, ბაბაევისა და სხვათა კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ-ზინოვიევური ტერორისტული ჯგუფი, როგორც გამორკვეულ იქნა, გადასახლებიდან ბაქოში დაბრუნებულმა ტროცკისტებმა არა თუ არ შესწყვიტეს თავისი კონტრრევოლუციური მუშაობა, არამედ, პირიქით, მიაღწიეს რა პარ-

გავაცამტვეროთ სოციალიზმის მოწყვეტილობის შესახვა

ტიაშვი ალდგენას, ამავე დროს შექმნეს ბაქოში კონტრრევოლუციური ტერორისტული სადივერსიო ჯგუფები და თავის მუშაობაში დაუკავშირდნენ საკმაოდ ცნობილ თვალმატებულ კონტრრევოლუციონერ ტერ-გაპანიანს.

ერევანში გამოაშარავებულ იქნა სტეფანიანის კონტრრევოლუციური ტროკისტულ-ნაციონალისტური ჯგუფი. აღმოჩნდა, რომ ეს არამზადა და სალიანი ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც წითელი პროფესურის ინსტიტუტში სწავლობდა მოსკოვში, ხოლო უკანასკნელ 4—5 წელს იყო სომხეთის განათლების სახალხო კომისარად, შემდეგ კი მარქიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორად, მთელი ამ ხნის განმავლობაში ეწეოდა კონტრრევოლუციურ ტროკისტულ-ნაციონალისტურ მუშაობას, შექმნა კონტრრევოლუციური ჯგუფი, ქადაგებდა ტერორს პარტიისა და სსრ კავშირის მთავრობის ხელმძღვანელების წინააღმდეგ.

კონტრრევოლუციური ტროკისტულ-ზინოვიევური ჯგუფები გამოაშარა-ვებულ იქნენ აგრეთვე ლენინანსა, ბათომშა და კიროვაბადში.

გამოაშარავებული ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობამ აღიარა თავისი კონტრრევოლუციური მუშაობა. ისინი გამოტყდნენ იმაში, რომ ტროკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ცენტრის დავალებით კონტრრევოლუციური ჯგუფების მონაწილეთა შორის ნერგავლნენ სიძულვილს საკ. კ. პ. (ბ) ხელმძღვანელობის მიმართ, ზრდიდნენ ტერორისტთა კადრებს, ეწეოდნენ მაგნებლურ მუშაობას საწარმოებში და ამზადებდნენ სადივერის აქტებს.

თავის მუშაობაში ამ არამზადებმა მჭიდრო კავშირი დაამყარეს მენშევიკურ, დაშავატურ, მუსავატურ, თეთრგვარდიულ და კულაკურ კონტრრევოლუციურ ელემენტებთან.

კონტრრევოლუციონერი ტროკისტ-ზინოვიევულები თავისი ბრძოლის მიზნებსა და საშუალებებში არამარტო შეუთანხვდნენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებიდან განდევნილ მენშევიკურ, დაშავატურ, მუსავატურ თეთრგვარდიელებსა და მათს არალეგალურ აგენტურას, არამედ ისინი გახდნენ მათი დამრაზმავი ძალა და სათავეში ჩაუდგნენ მათს ბრძოლას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში სოციალიზმის გამარჯვებათა წინააღმდეგ.

პარტიულ ორგანიზაციებში მოინახნენ პოლიტიკურად ბრძანი, ადამიანები, რომლებიც დანაშაულებრივად უგულებელყოფდნენ ამხანაგი სტალინის მითითებებს სიცხიზოდის გაძლიერების აუცილებლობაზე, რომლებმაც არავითარი დასკვნა არ გააკეთეს ამხანაგი კიროვის მოკვლის გაკვეთილებიდან, პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებისა და გამოცვლის გაკვეთილებიდან.

პარტიულ ორგანიზაციებში მოინახნენ ისეთი ხელმძღვანელნი, რომლებიც თავისი არასაკმარის სიცხიზოდით საშუალებას ჰქმნიდნენ ტროკისტ-ზინოვიეველთა გარეწრეების კონტრრევოლუციურ მუშაობისათვის.

პარტიიდან ჯერ კიდევ სავსებით როდი არიან გაგვილნი კლასობრივი მტრის პირდაპირი ხელშემწყობნიც.

გამოაშარავებულ ტროკისტულ-ზინოვიევური ჯგუფების შემადგენლობაზი აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც პარტიული ბილეთები ჰქონდათ და პარტდოკუმენტთა შემოწმება გაიარეს, ბაქოს ტროკისტულ-ზინოვიევური ჯგუფის ორგანიზატორები—ბალდასაროვი, კრილოვი, კონევსკი, ბაირამოვი და ბაბაევი პარტიის წევრები იყვნენ.

3

ტროკისტთა, ზინოვიეველთა და სხვა კონტრრევოლუციონერთა მიმართ სიცხიზოდის დაკარგვისა და მათთვის ხელისშეწყობის შერჩივ განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტები, რომლებიც შეეხება სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილ მდივანს ხაჯიანს და სომხეთის პარტკოლეგიის ყოფილ მდივანს გალოიანს.

როგორც გამოირკვა, სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა მდივანმა—ხაჯიანმა, რომელიც ჯერ 1934-1935 წლებში იღებდა სიგნატურებს სტეფანიანის და მისი ჯგუფის კონტრრევოლუციური ტერორისტული და დამარტვებელი მუშაობის შესახებ, არავითარი ზომები არ მიიღო ამ ჯგუფის გამოსაშარავებლად.

როდესაც სომხეთის პარტკოლეგიამ ჯერ კიდევ 1934 წელს, განიხილა რა მასალები სტეფანიანის კონტრრევოლუციური მუშაობის შესახებ, დამალა, მიჩქმალა ეს საქმე და სავსებით გაამართლა იგი — ხაჯიანმა ხელი დააფარა პარტკოლეგიის ამ დანაშაულებრივ მოქმედებას და სანქცია მისცა მის გადაწყვეტილებას.

გავაცამტვეროთ
სოციალიზმის მთხები

სიკვდილის წინ დაწერილ ბარათში ხანჯიანმა აღიარა: „პარტკოლეგიაში სტეფანიანის საქმის გარჩევასთან დაკავშირებით, მე ჩავიდინე პარტიული ხელ-მძღვანელისათვის სამარცხინ შეცდომა“.

სტეფანიანის კონტრრევოლუციური, ტერორისტული ჯგუფის საქმის გამო წარმოებული კვლევა-ძიება, უკანასკნელ დროს სომხეთში კონტრრევოლუციური ტროკისტული და ნაციონალისტური ელემენტების გამომყდავნება მოწმობენ, რომ ხანჯიანმა ჩაიდინა „სამარცხინ შეცდომა“ არა მარტო სტეფანიანის ჯგუფის საქმეში, არამედ დაკარგა რა იფხიზე, აუცილებელი თვითყეული კო-მუნისტისათვის და მით უმეტეს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელისათვის, ის ჰარველობდა კონტრრევოლუციურ ნაციონალისტურ განწყობილებებს, სუს-ტად ეწეოდა ბრძოლას ტროკისტულ, დაშნაკურ და სხვა კონტრრევოლუციურ ელემენტებთან და ამით ხელს უწყობდა მათს ანტისაბჭოთა მუშაობას.

ახლა გამორკვეულია, რომ ხანჯიანს სისტემატურად, მთელი რიგი წლე-ბის განმავლობაში მიწერ-მოწერა ჰქონდა საზღვარგარედ, პარიზში მყოფ ვინმე ჩობანიანთან, სომხური კონტრრევოლუციური ბურუუ-ზიულ-ნაციონალისტური პარტიის „რამკავარების“ ერთერთ ცნობილ მოღვაწესთან.

ხანჯიანი უმაღლავდა პარტიას ამ მიწერ-მოწერას. ხანჯიანისადმი მიწერილ წერილებში ეს ჩობანიანი აძლევდა მას კონტრრევოლუციურ ნაციონალისტურ „რჩევებს“.

ერთერთ ასეთ წერილში 1933 წელს ჩობანიანი სწერდა ხანჯიანს:

„ძალიან კარგს იზამთ, თუ თქვენს პრესაში და თქვენს სიტყვებში შეძლე-ბისადაგვარიად ნაკლებად ილაპარაკებთ დაშნაკებზე“.

1936 წელს მოწერილ წერილში ჩობანიანი ურჩევდა ხანჯიანს ახალი კონ-სტიტუციის პროექტთან დაკავშირებით დაესვა სომხეთის საზღვრების გადა-სინჯვისა და მათი გაფართოვების საკითხი.

„მე ვლაპარაკობ,—სწერს ის ხანჯიანს,—არა მარტო თურქეთისათვის გა-დაცემულ ანსა, არარატსა, ყარსსა და სურმალუშე, არამედ ახალქალაქსა და ყარაბაღზეც... და ნახჩევანზე, რომელიც ყოველთვის სომხეთის ნაწილს წარ-მოადგენდა“.

ხანჯიანი არა მარტო ლებულობდა ასეთ წერილებს, არამედ თავისთვის შესაძლებლად სცნობდა პასუხი გაეცა მათზე და მიჰყოლოდა კიდეც ამ კონტრ-რევოლუციურ რჩევებს.

ასე, მაგალითად, დაშნაკების საკითხზე ის პირდაპირ მითითებებს აძლევდა გაზეთ „ხორულდაინ ჰაიასტანის“ (სომხეთის ც. კ-ის ორგანო) რედაქციის—ნაკლებად გაეკრიტიკებინათ პრესაში დაშნაკები და თვითონაც „შეძლებისდაგ-ვარად“ ცდილობდა ნაკლებად გაეკრიტიკებინა ისინი თავის სიტყვებში.

„ახლანდელ პირობებში არ არის არავითარი საჭიროება ვბეჭდოთ წერი-ლები დაშნაკების წინააღმდეგ ეს ზედმეტი იქნებოდა“,—მიუთითებდა ხანჯიანი „ხორულდაინ ჰაიასტანის“ რედაქციის მუშაკებს.

არ იჩენდა რა სიცხიზე ტროკისტებსა და დაშნაკებთან ბრძოლაში, თვალთმაცობრდა რა პარტიის წინაშე, ხანჯიანი პირდაპირ ჰქონდებოდა გა-შიშვლებულ ნაციონალისტურ ელემენტებს სომხეთის ინტელიგენციაში, მწერალ-თა ნაწილში, რომლებიც აშკარა ბრძოლას აწარმოებდნენ სომხეთის ხალხის კულტურის მშენებლობის წინააღმდეგ,—ნაციონალურისა ფორმით და სოცია-ლისტურისა შინაარსით, ისინი ამას უპირდაპირებდნენ კულტურის კონტრრე-ვოლუციურ ფორმულას—, ნაციონალური ფორმით და ნაციონალისტური ში-ნაარსით“.

სომხეთის პარტკოლეგის ყოფილი მდიგარი ა. გალოიანი, ეს რამზადა და თვალთმაცეც, კონტრრევოლუციონერ ტროკისტ-ზინოვიეველთა აშკარა დამხ-მარე აღმოჩნდა.

მან დაუმალა პარტიას, რომ ეკუთვნოდა ტროკისტშის 1927 წელს, პირდა-პირ ჰქონდებოდა ტროკისტებს და ხელს უწყობდა სტეფანიანის კონტრ-რევოლუციურ ტერორისტულ ჯგუფს. არაერთხელ მიიღო რა პარტიის ცალკე წევრებისაგან განცხადებებით სტეფანიანის კონტრრევოლუციური, ტერორისტუ-ლი და ნაციონალისტური შეხედულებების შესახებ, გალოიანმა არა თუ არ მიიღო ზომები სტეფანიანის ჯგუფის გამოსამჟღავნებლად, არამედ, პირიქით, პარტიული სასჯელი დაადო პარტიის წევრს, რომელიც სტეფანიანს ამხელდა.

გალოიანი სტემართმოყვარულად იღებდა თავის ბინაზე კონტრრევოლუ-ციონერ სტეფანიანს და პირადად ისმენდა მის კონტრრევოლუციურ დაშნაკურ „მსჯელობას“.

**გამაცადამთვეროტ
სოციალურის მთხვევი**

სომხეთის კომპარტიის რაიკომინისა და ქალაქეკომინის მიერ გამომუღაწევნებულ კონტრრევოლუციონერ ტროცისტებს გაღორიანი აღადგენდა ხოლმე პარტიაში. გალორიანი ხელს აფარებდა მათ, პარტკოლეგიის სხვა წევრები კი უდარ-დელად აბარტყუნებდნენ ყურებს და ბეჭედს ასვამდნენ გალორიანის მიერ შეჩე-ჩებულ გადაწყვეტილებებს.

4

ბაქოს ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციებს ბალახანის, ლენინის და შაუ-მიანის რაიონებში თავის დროზე ჰქონდათ მთელი რიგი სიგნალები ცალკეული კომუნისტებისა და უპარტიო სტახანოველი მუშებისაგან ტროცისტთა, ზინო-ვიეველთა კონტრრევოლუციური მუშაობის შესახებ. მაგრამ ამ ორგანიზაციებმა თავის დროზე არ მიიღეს ზომები მათ გამოსამუღაწენებლად.

ბალახანის რაიონის ბუდიონის სახელობის ქარხანაში საკ. კ. პ. (ბ) თა-ნამგრძნობი ამხ. მიტიუშინი აცნობებდა პარტიულ ორგანიზაციას, რომ პარ-ტიის წევრი — თვალთმაქვი სოროკინი და პარტიიდან გარიცხული ტროცის-ტები — დენისოვი, მოკშინოვი და ჩერნიშევი ეწევიან პარტიის მიმართ კონტრ-რევოლუციურ ცილისწამებას და მუშებთან კონტრრევოლუციურ საუბრებს აწარ-მოებენ.

ბუდიონის სახელობის ქარხნის პარტკომში არა თუ ყურადღება არ მიაქ-ციეს ამხ. მიტიუშინის ამ განცხადებას, არამედ პირიერი, უქმნიდნენ მტრებს ხელსაყრელ პირობებს კონტრრევოლუციური მუშაობისათვის.

კონტრრევოლუციური ტროცისტული ტერორისტული ჯგუფის აქტიურ წევრებს ლევაგინს, აბალქოვს და პაკინს მინდობილი ჰქონდათ მუშაობა პარტ-კაბინეტში.

სიცხიზლის მოდუნება გამოიჩინა სარეწაო გზის სამმართველოს პარტორ-განიზაციამაც ლენინის რაიონეში („უპდ“ — ზაბრატი). პარტიის წევრი მთავარი კონდუქტორი შულიკ ატყობინებდა პარტორგანიზაციას, რომ პარტიიდან გა-რიცხული ტროცისტი სერგეევი ზაბრატის სადგურზე ეწევა ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ ტროცისტულ აგიტაციას. სავაგონო დეპოს პარტორგი ამხ. კარაპეტიანი აცნობებდა პარტკომს, რომ კონტრრევოლუციურ ლაპარაკს ეწევა კაზადაევი, რომელიც მუშებს გაფიცისაკენ მოუწოდებს. სადგურ ზაბრა-ტის — „უპდ“-ს პარტკომში ვერ შესძლო შეემჩნია და თავის დროზე გამოემუღა-ნებინა ამ კონტრრევოლუციური ლაპარაკის პოლიტიკური სარჩული. „უპდ“-ს პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის სიცხიზლის მოდუნების გამო კონტრრევოლუციონერმა ტროცისტებმა მოახერხეს გამძვრალიყნენ საჩერტო გზების სამმართველოში ზაბრატში და დაეკავებინათ მთელი რიგი მნიშვნელო-ვანი ხელმძღვანელი პოსტები წარმოებაში. კონტრრევოლუციონერი ტროცის-ტი კოვალიოვი ხელმძღვანელობდა „უპდ“. ს წევის მთელი დარგის ტექნიკურ განყოფილებას; ტერორისტი ტროცისტი დემინი იყო ინსტრუმენტალურ საამ-ქროს უფროსი; ტროცისტი ბოგაძენი ხელმძღვანელობდა ნორმირებას დეპოში; თვალთმაქვი კონტრრევოლუციონერი ტროცისტი დურნოვი იყო ექსპლოატა-ციის დიდი სამქროს პარტორგი.

კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში სიცხიზლის მოდუნების ფაქტები არის ტფილისის ორგანიზაციაშიც.

კონტრრევოლუციური მუშაობისათვის ამჟამად დაპატიმრებულ ტროცისტ აკირტავას, რომელიც გადასახლებიდან დაბრუნდა და რომელიც პარტიის რი-გებში არ არის აღდგენილი, დაპატიმრებამდე მეგობრობა ჰქონდა ზოგიერთ მო-ლიბერალ კომუნისტთან, რომლებიც მას სიმპატიით ეპყრობოდნენ. აღმოჩნდა ერთი, რბილად რომ ვთქვათ „ჩუდაკი“ ხელმძღვანელ მუშაკთა წრიდან, რო-მელმაც გადასწყვიტა „ხელი აელებინებინა“ აკირტავასთვის მის კონტრრევო-ლუციურ შეხედულებებზე იმით, რომ წასაკითხავად აძლევდა კონტრრევოლუ-ციურ-ტროცისტულ ლიტერატურას, რომელიც მას ქონდა, და რომლის გამო-მოყნებაც ტროცისტმა აკირტავამ არ დაყოვნა თავისი კონტრრევოლუციური პროპაგანდისათვის.

ტფილისში დაპატიმრებულ ტერორისტ ტროცისტს ვარნაზოვს უკანასკ-ნელ დრომდე მეგობრობა ჰქონდა ერთერთ ხელმძღვანელ მუშაკთან, რომლის სიმპატიებითაც იგი სარგებლობდა და რომელიც ხშირად სტუმართმოყვარულად დებულობდა ვარნაზოვს თავის სახლში და ვერ შესძლო დაენახა მასში პარტიის მტერი, ტერორისტი და დივერსანტი.

ამიერ-კავკასიის სამეცნიერო-საგამომკვლევო ჰიდროენერგეტიკული ინსტი-ტუტის დირექტორი ტფილისის სტალინის რაიონში კონტრრევოლუციონერი

**გავაცამთვეროთ
სოციალურის მთხები**

ტროკისტი თვალთმაქტი ბერძნიშვილი აგროვებდა ინსტიტუტში „თავის ადამიანებს“ კონტროლური მუშაობის ხაზით—ტროკისტებს: ობოლენ-სკის, ჩიხლაძეს, ხახანოვს და ყოვილ აქტიურ მენშევის მარშანიას, რომელიც მოტყუების გზით შეძრა პარტიაში. სწორედ ამ „კომუნისტებისაგან“ „შესდგე-ბოდა“ ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაცია. ბერძნიშვილი თავის გარშემო იკრებდა აშკარად უცხო, სახელგატებილ ადამიანებს, რომლებსაც ის „დამსახუ-რება“ ჰქონდათ, რომ წარსულში იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმ-დეგ. პარტიულ ორგანოებს მხედველობიდან გამოეპარათ ტროკისტ ბერძნი-შვილის ეს დაბარღვეველი მუშაობა.

ყველა ამგამომულავნებულ კონტროლური ტროკისტთა დამარღვე-ველი მუშაობის დაფარვის მეთოდს წარმოადგენდა ყველაზე საზიზღარი, ყველა-ზე ბინძური თვალთმაქტობა. ისინი აცხადებდნენ, რომ ერთგული არიან პარ-ტიის, წარმოსთვამდნენ რევოლუციურ ფრაზებს პარტიის ხაზის დასაცავად, და აბრიყვებდნენ, რა ამით არაფხიზელ ხელმძღვანელებს და კომუნისტებს, მოქ-მედებდნენ, როგორც ხალხის მტრები.

ტროკისტები ჩიხლაძე, კანდელაკი, ლ. გასვიანი და სხვ. განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ ტფილისის პარტიული ორგანიზაციების კრებებზე თავიანთ გამოსვლებსა და სიტყვებში ტროკიზმის წინააღმდეგ, პარტიის გენერალური ხაზისათვის, ხოლო აშავე დროს სინამდვილეში ეწეოდნენ არალეგალურ კონტრ-რევოლუციურ მუშაობას.

კონტროლური ტროკისტი ლეონ სარქისოვი თოხ წელიწადს მუშაობდა პარტიის ლენინის რაიონის პროპაგნადისტად და ხელმძღვანელობდა წრეს ტფილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანაში. ატარებდა რა წრის სხდო-მებზე ლექციებსა და საუბრებს პარტიის ხაზის დასაცავად და აძინებდა რა ამით პარტიულგანიზაციის სიფხიზლეს, იგი დაუსჯელად აკეთებდა თავის ბინძურ კონტროლური საქმეს.

5

ყველა ეს ფაქტი იმას გვეუბნება, რომ პარტიის ხაზის სრული და გადამწ-ყვეტი გამარჯვების პირობებში, როდესაც აშკარა ბრძოლა პარტიის პოლიტი-კასთან უიმედო გახდა, მხოლოდ თვალთმაქტობას შეუძლია დაპფაროს და ხელი შეუწყოს ანტიპარტიულ და კონტროლური ელემენტებს პარტიის შიგნით.

თვალთმაქტი პარტიის მომტყუებელია, თვალთმაქტი საბჭოთა ხელისუფ-ლების მტერია, ხალხის მტერია. თვალთმაქტი—კონტროლურის აგნტია, მაგნებელი, პროვოკატორი, მხევრავია.

კომუნისტი, რომელიც შემარიგებლობას და დამპალ-ლიბერალიზმს იჩენს თვალთმაქტობის მიმართ, რა ფორმებშიაც უნდა გამოვლინდეს იგი, უდიდეს დანაშაულს ჩადის პარტიის წინაშე, ჩვენი სამშობლოს წინაშე.

პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მტერები ნაციონალურ რესპუბლი-კათა პირობებში ძალიან ხშირად ეფერებიან ნაციონალური ყოფაცხოვრების თავისებურებებსა და ტრადიციებს.

შემთხვევითი როდია, რომ ცალკეულ ტროკისტ-ზინოვიევური კონტრ-რევოლუციური ელემენტები თავის მავნებლური და ტერორისტული მუშაობის დასაფარავად იკეთებენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკითა მშრომელი ხალხების „ნაციონალურ მისწრაფებების“ გამომხატველთა ნიღაბს.

შემთხვევითი როდია, რომ სტეფანიანის ტროკისტული ჯგუფი ერევანში თავის გაშიშვლებულ კონტროლური განწყობილებებს მძლავრად ქლენთავ-და ნაციონალისტური სიმყრალით.

ნაციონალისტური ელემენტები ნაციონალ-შოვინისტური ლაყბობიდან ძა-ლიან ხშირად ქვეითდებიან საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის პოზიციებამ-დე და ბლოკს კრავენ კონტროლური ტროკისტ-ზინოვიევულებთან, მენშე-ვიკებთან, დაშნავებთან და მუსავატისტურ ელემენტებთან, ასეთია ბოლშევიკთა პარტიის წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წანააღმდეგ ბრძოლის ლოგიკა.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა პარტიულ ორგანიზაციებს მტკიცედ ახსოვთ თავისი მუშაობის ეს თავისებურება.

ისინი დაუნდობელ ბრძოლას ეწევიან კონტროლური ნაციონალის-ტურ ელემენტებთან და ნაციონალ-უკლონიზმის რეციდივებთან თავის საქუთარ რიგებში.

მათ კარგათ ახსოვთ, თუ რით დამთავრდა ნაციონალ-უკლონიზმის გამცემ-ლური ზგა.

გაფაცამთვეროვნობის სოციალურის მთხოვის

ნაციონალ-უკლონისტების საგრძნობი ნაწილი, რომელიც იყვნენ საქართველოს მენშევიკების, თავადების, მემაშულებისა და კულაქების ინტერესების გამომხატველნი და მათი საქმის, გამგრძობნი, შემდეგ ჩაფილნენ კონტრევოლუციური ტროკიზმის ჭაობში და ტროკისტებსა და ზინოვიეველებთან ერთად პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაღმდეგ ბრძოლაში დაადგნენ შპიონაჟისა, დივერსიისა და ტერორის გზას.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით ნაციონალისტური ელემენტები ამიერ-კავკასიაში ცდილობენ თავისი მუშაობის გაცხოველებას.

არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც პარტიისა და მთავრობის დადგენილება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის უშუალოდ შესვლისა და მასთან დაკავშირებით, ამიერ-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციის შესახებ, შეაფასოს, როგორც თავისი წარსული ნაციონალ-უკლონისტურ შეცდომათა გამართლება. სჩანს ამ ადამიანებს ვერ გაუგიათ თავისი წარსული შეცდომები, მათ არ გაეგბათ ის, რასაც დღეს პარტია აკეთებს, და დაუნდობლად უნდა იქნენ გამოაშეარავებულნი.

ამხანგი სტალინი საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე თავის მოხსენებაში „ახალი კონსტიტუციის შესახებ“ ამ ადამიანებს ადარებდა პეტროგრადში—1917 წლის აპრილს მომქმედ ერთერთ ბოლშევიკურ ჯგუფს, რომელსაც ლენინმა ავანტურისტული ჯგუფი უწოდა, ვინაიდან იგი ბოიოთოვდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას 1917 წლის აპრილს, როდესაც პირობები ამისათვის ჯერ კიდევ მომწიფებული არ იყო და ნაადრევი აჩქარება შეიძლებოდა პარტიისათვის კატასტროფით დამთავრებულიყო. ხოლო, როდესაც 1917 წლის ოქტომბერში პარტიამ აიღო ხელისუფლება და დაამყარა საბჭოთა წესრყობილება, ამ ჯგუფის ადამიანები ძლევამოსილი გამომეტყველებით ლაპარაკობნდენ—მართალი ვიყავით, როდესაც 1917 აპრილში საბჭოთა ხელისუფლების დაჩქარებას მოვითოვდითო. ლენინი ასეთ კომუნისტებს წვრილ მართლიონებს ეძახდა. ამ წვრილ მართლიერებს ჰგანან დღეს ის ნაციონალ-უკლონისტები, რომელნიც ცდილობენ გაამართლონ თავიანთი წარსული შეცდომები პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით ამიერ-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციის შესახებ.

ნაციონალ-უკლონისტები საქმეს უფლებდნენ ჩვენს პარტიას მაშინ, როდესაც საჭირო იყო ბურჟუაზიული ნაციონალისტების დამარცხება ამიერ-კავკასიაში და მეგობრობის კავშირის განმტკიცება ხალხთა შორის. ისინი ლამთხენ დღესაც აგვირიონ საქმე და ცდილობენ შეარყიონ ამიერ-კავკასიის ხალხთა სტალინური შეგობრობა.

საქართველოს და სომხეთის ინტელიგენციის ძევლი კადრების ერთ ნაწილში ჯერ კიდევ ძლიერია ნაციონალისტური განწყობილება. ძალიან ხშირად მტერი ცდილობს ამის გამოყენებას. ნაცვლად იმისა, რომ დაუინებით იმუშაონ ინტელიგენციის ამ ჯგუფთა ინტერნაციონალურ აღზრდაზე, ცალკეული კომუნისტები, ხოლო ზოგჯერ თვითონ ხელმძღვანელი შუშაქებიც, რომლებიც ძალიან ხშირად კარგად ვერ ერკვევიან პარტიის ნაციონალურ პოლიტიკის საკითხებში, კვერს უკრავენ ჩამორჩენილ ნაციონალისტურ განწყობილებებს, რევენ სხვებსაც და თავის თავსაც, ზოგჯერ კი მავნე ნაციონალისტური განწყობილებანი გადააქვთ პარტიულ ორგანიზაციების რიგებში. კომუნისტი გავლენას უნდა ახდენდეს გარშემო მყოფებზე, წინ უნდა უძლოდეს მათ, ზოგიერთ კომუნისტებს კი პირიქით ემართებათ: მათზე გავლენას ახდენენ ნაციონალისტური და მტრულად განწყობილი ელემენტები და მათ თავისი მიზნებისათვის იყენებენ.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ამიერ-კავკასიაში უდიდესი მუშაობა შეასრულეს ნაციონალური ინტელიგენციის კადრთა საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის გარშემო შესაჭიდროვებლად. ამ საქმეში მათ უდავო და დიდი წარმატებები აქვთ.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ სიფხიზლე პარტიის ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების საქმეში. უფრო უკეთ მოვაწყოთ მასების ინტერნაციონალურად აღზრდის საქმეში და ამ უბანზედაც აგრეთვე საბოლოოდ გავანადგუროთ მტერი.

ამიერ-კავკასიაში ჯერ კიდევ მოიპოვება ძეველი გადანაშთები და ეგრედწოდებული „ტრადიციები“, რომლებსაც დიდი ხანია ბოლო უნდა მოეღოს.

ჯერ კიდევ ცოტა არ არის ისეთი კომუნისტი, რომლებიც საყოფაცხოვრებო ტრადიციულ ურთიერთობას უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე პარტიულ პრინციპულ ურთიერთობას.

გავაცამტვერით
სოციალიზაცის მტრები

სტუმართმოყვარეობის რა ტრადიციებით შეიძლება გამართლდეს საქართველო ცალკეული პარტიის მიერ ბრძოლისში სასტუმრო „ორიანტში“ სპეციალური სახეიმ შეხვედრა—ბანკეტი გაუმართეს გამცემელ ლომინაციების, რომელიც, როგორც გამორკვეულია, ტროცკისტულ-ზინოვიევური კონტრრევოლუციური იატაკებების ერთეულთა მოგანიზატორი იყო და რომლის ანტიპარტიული შეხედულებანი და მუშაობა უკვე იმ პერიოდში კარგად იცოდნენ შეხვედრის ცალკეულმა ინიციატორებმა.

კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც არ სურთ გაიფუჭონ კარგი ურთიერთობა „მეგობრებთან“, ალბათ იმ ანგარიშით, რომ ეს „მეგობრები“ შეიძლება მათ ოდესმე გამოადგეთ.

ეს ფაქტები გვიჩვენებენ, როგორ იჩენენ ცალკეული კომუნისტები, რომელთაც არ ესმით რევოლუციური სიფხიზლის ამაღლების ამოცანები, ყოვლად შეუწყნარებელ გულკეთილობას, დამპალ-ლიბერალიზმს და ამით მორჩილად მიზყვებიან კონტრრევოლუციურ ელემენტებს.

ყველა ეს ფაქტი კიდევ და კიდევ ამტკიცებს ამანაგი სტალინის მითითებათა გრინალობას რევოლუციური სიფხიზლის ამაღლების აუცილებლობის შესახებ. იმის შესახებ, რომ საჭიროა უაღრესად ულმობელი ბრძოლა სოციალიზმის მტრებთან და მათ მოწინავე რაზმოან—საზიზლარ კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ-ზინოვიეველებთან.

რევოლუციური შეტევითი ბოლშევიკური სიფხიზლე გამოხატულობას უნდა პოულობდეს არა პლატონიურ სიტყვებში სიფხიზლის შესახებ, არა მყვირალა რეზოლუციებში, არამედ კომუნისტის თვითეულ მოქმედებაში იმ უბანსე, სადაც იგი დაყენებულია პარტიის მიერ, იმ გარემოში, სადაც იგი იმყოფება, კომუნისტის პრაქტიკული მუშაობისა და ყოველდღიური ცხოვრების თვითეულ ნაბიჯში.

რევოლუციური სიფხიზლე უნდა მდგომარეობდეს იმ ადამიანთა უაღრესად გულდასმით შემოწმებაში, რომლებთანაც კომუნისტი მუშაობს, რომლებიც მას გარს არტყიან, რომლებთანაც მას ურთიერთობა აქვს.

სიფხიზლე უნდა გამოიხატებოდეს ბოლშევიკური თვითერიტიკის გაშლაში, რაც დახმარებას გვიწევს გამოვამდევნოთ ჩვენი ნაკლი და მტრების მახინაციები.

სიფხიზლე იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ კომუნისტს მტრელი თვალი ჰქონდეს და ცდილობდეს თავისი პარტიული თვალით შეიქრას ყველა კუთხესა და ჰუჭრუტანაში, მას ყველაფერი უნდა აინტერესებდეს.

სიფხიზლე უნდა გამოიხატებოდეს თვითოვეული კომუნისტის, თვითოვეული კომუნისტის, თვითოვეული არაპარტიული ბოლშევიკის იმ მუშაობის გაუმჯობესებაში, რომელიც მიმართულია პარტიის ამოცანებისა და ამხანაგი სტალინის მითითებათა განხორციელებისაკენ.

პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებამ ხელი შეუწყო პარტიული ორგანიზაციების სიფხიზლის გაძლიერებას, მაგრამ არ შეიძლება იმის ფიქრი, რომ პარტიულ დოკუმენტთა შემოწმებამ და გამოცვლამ საბოლოოდ გასწმინდა პარტიის მტრებისაგან. არ შეიძლება ფიქრი, რომ გამოილეთ, რა მთელი რიგი კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ზინოვიევური ჯგუფი, ჩვენ უკვე გამოვამდევნეთ და გავრიყეთ ყველა ეს გარეშარი და არამხადა. პარტიაში ჯერ კიდევ ბევრი დარჩენ კონსპირირებული, მიმალული მოსისხლე მტრები, ჯერ კიდევ ყველა თვალმაქტი როდია გამომულავნებული. ჯერ კიდევ კარგად უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ აშშორებული ტროცკისტულ-ზინოვიევური იატაკებები მზის სინათლეზე გამოვათრით პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმალული მტრები.

თვითოვეული პარტიული ორგანიზაცია ფრთხილად უნდა იკავდეს თავის რიგების სიწმინდეს, ვინაიდან იქ, სადაც ბოლომდე არ არიან გაშენდილი პარტიიდან თვალთმაქები, გადაგვარებული, დაუდევარი, კარიერისტები წამგლეჯები, გახრწინილი ელემენტები და სხვა, იქ კონტრრევოლუციონერ-ჯაშუშდავერსანტი, — ტროცკისტ-ზინოვიეველს აქვს ნიადაგი თავისი მუშაობისათვის, პოულობს თავის მეგობრებს, რაზმაგ კადრებს თავისი კონტრრევოლუციური ტროცკისტული მუშაობისათვის.

მხოლოდ დაუღალვი, ფხიზელი ბრძოლა ბოლშევიკური პარტიის რიგების ერთიანობისა სიწმინდისათვის უზრუნველყოფს სოციალიზმის მტრების საბოლოო მოსპობას.

სოციალიზმის საერთაშორისო და შინაური მტრები არაერთხელ ცდილან აეღოთ გეზი ამიერ-კავკასიაზე თავიანთი კონტრრევოლუციურ ზრახვებში.

გავაცამთვეროთ
სოციალურის მტრები

ამიერ-კავკასიის მთელი რიგი თავისებურებანი აქვს, რომლებიც განასხვა-
ვებენ მას საბჭოთა კავშირის ბევრი მხარისა და რესპუბლიკისაგან.

წარსულში ამიერ-კავკასიაში ძლიერი იყენებ მენეჯერთა, დაშნაკთა და
მუსავატელთა ანტისაბჭოთა პარტიები; საბჭოთა ხელისუფლების დამყარების
პირველ წლებში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ძლიერი იყო ნაციონალიზმი,
ნაციონალ-უკლონისტური დაჯგუფებანი პარტიულ ორგანიზაციების შიგნით.

ეს თავისებურებანი აგრეთვე მდგომარეობენ რთულ სამეურნეო და ნა-
ციონალურ ხლართში, რომელიც დამატებითს სიძნელეებს ჰქმნიდა სოციალის-
ტური მშენებლობისათვის.

მტერი არაერთხელ ცდილა გამოეყენებინა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა
მუშაობის ეს თავისებურებანი და სიძნელენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფ-
ლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ტროკისტები და ზინოვიეველები პარტიის
წინააღმდევ თავიანთი ბრძოლის მთელ მანძილზე გამცემლობისა და ღალატის
მთელ თავიანთ საზიზღარ გზაზე, ცდილობდნენ ეპოვათ დასაყრდენი ამიერ-
კავკასიის ცალკეულ პუნქტებში.

ლომინაძე, ტერ-გავანიანი, ვარდინი და სხვები ტყუილად კი არ „სეირნო-
ბდნენ“ შავი ზღვის ნაპირზე და ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ქალაქებში,
და ცდილობდნენ გაებათ კავშირი და შეეგროვებინათ ადამიანები კონტრრევო-
ლუციური მუშაობისათვის.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა მშვენივრად იციან თავიანთი მუშაობის
თავისებურებანი და სიძნელეები.

ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკებმა, რომლებიც დიდი ბე-
ლადის ამხანგი სტალინის შეირ არიან აღზრდილნი, მისი გენიალური წი-
ნამძღოლობით გაანადგურეს ანტისაბჭოთა პარტიების მენეჯერიკთა, დაშნაკთა
და მუსავატელთა ძალები, გაანადგურეს ნაციონალ უკლონიზმი, შექმნეს ურლვევი
მშვედობიანობა ამიერ-კავკასიის ხალხებს შორის და უდიდეს წარმატებებს მიაღ-
წიეს სოციალიზმის მშენებლობაში.

მათ მთელ პარტიასთან ერთად დამარცხეს ყოველგვარი ოპოზიცია და
დაჯგუფებანი თავიანთ საკუთარ რიგებში, მათ მთელ პარტიასთან ერთად გა-
ანადგურეს კონტრრევოლუციური ტროკისტები და ზინოვიეველები.

და დღეს, როდესაც ტროკისტულ-ზინოვიევური კონტრრევოლუციის უმს-
გავსი ნაბოლარები ცდილობენ ახალი თავდასხმები მოაწყონ სოციალიზმის
ქვეუნის წინააღმდევ, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები, აძლიერებენ რა ბოლშევი-
კურ სიფხოზეს, მტკიცედ დგანან ლენინ-სტალინის პარტიის საქმის
სადარაჯოზე.

ისინი დაუნდობლად ააშკარავებენ და თავის რიგებიდან ერეკებიან ყვე-
ლას, ვინც სიფხოზეს სუსტებს და მტკიცებს ხელს უწყობს.

ისინი მთელ პარტიასთან ერთად იბრძვიან იმისათვის, რომ დედამიწის
პირისაგან აღგავონ და საბოლოოდ და სამუდამოდ მოსპონ სოციალიზმის
მტრები.

სოციალიზმისადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი, და პარტიისა და
საბჭოთა კავშირის მთავრობის ხელმძღვანელებისადმი მხეცური სიძულვილით,
თავისი უძლურობისა და უსუსურობის შეგნებით, კარიერისტებისა, შეურნიკებისა
და მარიდიორების საძაგელი სულის პატრონი მტრები დაადგნენ სოციალიზმის
საქმისათვის მებრძოლთა წინააღმდევ ტროკორის გზას.

სწორედ ესენი—ტროკისტები-ზინოვიეველები—არიან მოწინავე კოლ-
მეურნეობათა ცალკე ხელმძღვანელებისა და სტასანოველების ფარულ საზიზღარ
მკელელობათა ორგანიზატორები სოფლიად.

სწორედ ესენი არიან, ცალკეულ მუშათა სასადილოებში საჭმელში საწამ-
ლავს რომ ურევენ, რათა ქარხნის საუკეთესო სტასანოველები მოსწამლონ.

სწორედ ესენი არიან ჯაშუშთა და სადივერსიო ჯგუფებს რომ აყალიბე-
ბენ, რათა ხელი შეუწყონ ფაშისტებსა და იმპერიალისტებს საბჭოთა ხელი-
სუფლებასთან ბრძოლაში.

სწორედ ესენი არიან, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღ-
მდევ ხელყოფის მოსამაზადებლად ტერორისტულ ჯგუფებს რომ ჰქმნიან.

მაგრამ ისინი სასტიკად სცდებიან თავის ანგარიშში.

თავისი სასიკვდილო აგონის დროს ამ მუქარით ისინი ვერავის დააშინე-
ბენ, ვერავის შეარყევენ.

გავაცამთვეროთ
სოციალიზმის გთხოვი

ჩვენი ქვეყნის ბოლშევიკები და მშრომელი მასები გააძლიერებენ სტალინურ სიუზნისტლეს და მტერს მოსპობენ.

ამხანაგი სტალინი ამბობდა: „მტრები იმედს ამყარებდნენ იმაზე, რომ დავეშინებინეთ და იძულებული გავეხაუეთ გადაგვეხვია ლენინური გზიდან. ამ ადამიანებს ალბად, დავიწყებიათ, რომ ჩვენ ბოლშევიკები,—განსაკუთრებული ყალიბის ადამიანები ვართ. მათ დავიწყებიათ, რომ ბოლშევიკებს ვერ შეაშინებთ ვერც სიძნელეებით, ვერც მუქარით. მათ დავიწყებიათ, რომ ჩვენ გვაწრობდა დიდი ლენინი, ჩვენი ბელადი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენა მამა, რომელმაც არ იცოდა და არც სცნობდა შიშს ბრძოლაში, მათ დავიწყებიათ, რომ რაც უფრო მეტად ცოფდებიან მტრები და რაც უფრო მეტი ისტერიკა მოსდით მოწინააღმდეგებს პარტიის შიგნით, მით უფრო მეტად იკაუებიან ბოლშევიკები ახალი ბრძოლისათვის და მით უფრო სწრაფად მიიწევენ წინ“.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მტრებს დავიწყებიათ, რომ ჩვენს პარტიასა და ქვეყანას ხელმძღვანელობენ სტალინური ცენტრალური კომიტეტი და გენიალური დიდი ბელადი სტალინი—ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი მამა, რომელიც არ სცნობს ბრძოლაში შიშს და მხოლოდ წინ მიეცევართ, რომელიც გვაძლევს ბოლშევიკური სიფხიზლის ნიმუშებს და მტრების მახვილს არიდებს ბრძოლეტარულ რევოლუციას, რომელიც, როგორც დარაჯი, დგას ჩვენი პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ძლიერების საგუშაგოზე.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები მთელ პარტიასთან ერთად კიდევ უფრო აამაღლებენ შემტევ სიფხიზლეს და გააძლიერებენ დაუნდობელ ბრძოლას თვალთმაქცების, საზიზლარი მოღალატეებისა და გამცემლების, კონტრრევოლუციონერი ტროკისტ-ზინოვიეველებისა და მათი ხელისშემწყობების წინააღმდეგ, გააცამტვერებენ სოციალიზმის მტრებს.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები თვითეულ კომუნისტია და კომერციულის, თვითეულ მშრომელს დაუღალავად ალზრდიან ლრმა სიძულვილს მტრების მიმართ, და მასების მძვინვარებას გააძლიერებენ განადგურებული ექსპლოატატორული კლასებისა და მათი აგენტურის ნაჩენთა კონტრრევოლუციური ხრიკების წინააღმდეგ.

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მშრომელების გულში შემდეგაც დაუღალავად ალზრდიან სიყვარულისა და ერთგულობის გრძნობას თავისი აყვავებული სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისა და სსრ კავშირის მთავრობისადმი, ხალხთა ბელადის, მშობლიური, დიდი სტალინისადმი, რომლის ბრძნული ხელმძღვანელობით სსრ კავშირში მოპოვებულია კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარი გამარჯვება სოციალიზმისა და რომლის ხელმძღვანელობით მთელი მსოფლიოს მშრომელნი კაპიტალიზმთან გადამწყვეტ შეტაკებაში დიდ გამარჯვებებს მიაღწევენ.

„პრავდა“ 10 აგვისტო

გოლუმევიკური სიცხილი

„საზიზღარი ერთი შუქა გაკოტრებული, სიცრუეში ჩაფლული, სულ ფსკერზე დაცემული ადამიანები, რომლებსაც არავითარი დასაყრდენი არა აქვთ ჩვენს ქვეყანაში და რომლებიც არავისი წარმომადგენლები არ არიან, გარდა თავიანთი თავისა“, („პრავდა“), ეს უსაძაგლესი და უსაზიშლრესი კაცუნები, რომლებმაც მოჰკლეს ჩვენი ქვეყნის ერთერთი საუკეთესო ადამიანი, რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი—ბოლშევიკი სერგეი მირნის-ძე კიროვი, თავიანთი სისხლიანი ხელებით მიხოხვდნენ კაცობრიობის უდიდესი ადამიანის, მსოფლიო პროლეტარიატის უსაყვარლესი ბელადის ამხანაგი სტალინის და მისი სახელოვან თანამებრძოლთა მოსაქლაგად. ამ ქვეწარმაგალთა ხროვამ მოჰკლა კიროვი და რამდენიმე დღის შემდეგ გერმანიის ფაშისტური ოხრანკის გაუმაძლარი ქოფაკი, უდიდესი ფარისეველი და ჯადოსნური თვალმაქცი ზინოვიევი თავისი სისხლიანი ხელებით სწერდა ნიანგის ცრემლებით გაულენთილ ნეკროლოგს.

კაცობრმულე შხამიან გველთა ფაშიზმის აგენტები მხად იყვნენ გზა გაეხსნათ იმპერიალისტური ფაშიზმის გალაშქრებისათვის საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ, რომ განეხორციელებით თავიანთი რესტავრატორული პროგრამა, ე. ი. აღედგინათ საბჭოთა კავშირში მემამულეთა და კაპიტალისტების ხელისუფლება.

ჯერ კიდევ წარსულ წელს ზინოვიეველებმა „ლენინგრადის ცენტრის“ გარშემო პროლეტარულ სასამართლოს წინაშე, თავიანთი „პროგრამის“ შესახებ განაცხადეს, რომ მთელი მათი გონება იდეა მიმართული იყო იქითკენ, რათა სოციალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიულ—რესტავრატორული რეაქცია იდეოლოგიურად გაეფორმებით.

უკანასკნელად კი, ტროკისტულ-ტერორისტული კუნტრის გასამართლების დროს ბრალებულებმა კამენევმა და რეინგოლდმა აშკარად განაცხადეს, რომ ტროკისტ-ზინოვიეველების ბანდიტური ჯგუფი ტერორისტული გზით ცდილობდა კაპიტალისტური წყობილების აღდგენას, გატაცებით იბრძოდა საბჭოთა კავშირში მემამულეთა და კაპიტალისტების ხელისუფლების რესტავრაციისათვის.

ობერბანდიტი ტროკი, რომელსაც მეორე ინტერნაციონალისა და ნორვეგიის, „სოციალისტების“ ნაგაზები მუარველობენ, გერმანიის ფაშისტურ ოხრანკისთან (გესტაპო) ერთად ტროკისტ-ზინოვიეველების ჯგუფებს დირექტივებს აძლევდა, ხოლო ზინოვიევი და კამენევი თავიანთ ხელქვეით ფინიებს უქადაგებდნენ: „ჩვენ მხარს ვუჭროთ დამარცხებას, რომელიც დაამზნოს ეხლანდელ ხელმძღვანელობას, თუნდაც ამას შეეწიროს საბჭოთა მიწის, შორეული აღმოსავლეთის ერთ ერთი კუთხე“. განა ასევე არ იქცევა ესპანეთის მუშებისა, დედებისა და ბავშვების ჯალათი ფაშისტი ფრანკო, რომელიც გერმანიას და იტალიას დახმარებისათვის პირდება ესპანეთის კუნძულების გადაცემას!

ით, სადა არის ფაშიზმის და ტროკიზმის ერთიანობა. ტროკიზმი ეს ფაშიზმის ფსევდონიმია. ამიტომაც სავსებით ბუნებრივია, რომ ტროკი-ზინოვიევის ტერორისტულ ჯგუფს მხარი დაუჭირეს, სოციალ-გამცემლებმა მეორე ინტერნაციონალის „მესვეურებმა“, რომელთა შეგნება კაპიტალიზმის შენარჩუნებით განისაზღვრება.

ტროკი ჯერ კიდევ ათი წლის წინეთ—1927 წ. ხალხს, საბჭოთა მთავრობის დამხმასისენ, სწორედ იმ მომენტის სათვის მოუწოდებდა, როდესაც ინტერვენტები გაილაშქრებდნენ და მიუახლოვდებოდნენ საბჭოთა კავშირის დედა-ქალაქს. ამრიგად ტროკიმ სოციალისტურ სახელმწიფოს ზურგიდან ლახვარის ჩაცემა სწორედ მაშინ განიზრახა, როდესაც საერთაშორისო იმპერიალისტები ცდილობდნენ შეიარაღებული ძალით საბჭოთა კავშირში კაპიტალიზმის აღდგენას. და დღეს ამ მოღალატის პირდაპირი მითითებით კვლავ მუშაობდნენ და აწყობდნენ ტერორისტულ ორგანიზაციებს ხალხის მტრები, პოლიტიკური პროსტიტუტები: ზინოვიევი, კამენევი, მრახევესკი, ტერ-გაპანიანი და კომპანია, რომლებიც ამზადებდნენ ამხანაგების: სტალინის, ვოროშილოვის, უდანოვის, კაგანოვიჩის, ორჯონიქიძის, კოსიორის და პოსტიშევის მკელელობას.

მაგრამ ხალხის რისხევის ქარიშხალმა აღგავა საბჭოთა მიწის ზედაპირიდან ფაშიზმის აგენტები, ტროკისტულ-ზინოვიევურ ბანდის გაბოროტებული მხეცები. უკვე იღარ ჰყარს ჰყარი ფაშისტური ოხრანკის ჭაობში ამსახურის შემძრომთა შმორით. ხალხის მრისხანებამ დამსახურებული აჟაილი მიუჩინა მათ.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეამიანი გველის წიწილები კიდევ არ სისინებდნენ სოროებში. ამ ცოფმორეულ ქოფაკთ ცოფიანი ფინიები აქა იქ კიდევ მოიძებნებიან. ისინი ათასნაირი ხერელებით, შენიღბული სხვადასხვანირ სამოსელში კვლავ შეეცდებიან მოშხამონ ჰაერი და მოუწამლონ ხალხს სტალინური მზიურობით გასხვივნებული ბელნიერი ცხოვრება. ათჯერ და კიდევ ათჯერ უნდა გავამახვილოთ ბოლშევიკური სიფხიზლე.

კონტრრევოლუციონურ ტროკისტ-ზინოვიეველების ფინიები იყენებდნენ აგრეთვე იდეოლოგიურ ფრონტის ზოგ უბანს: მუცელზე ხოხვით მოძრებოდნენ სამეცნიერო და სამწერლო ორგანიზაციებში, გამომცემლობებში, უცრნალებსა და გაზეთებში, თეატრებსა და სცენაზე. ისინი მოღიოდნენ რევოლუციური ფრაზებით, თავიანთი კონტრრევოლუციურ თეთრ-ბანდიტური პალიტრიდან თვალთმაქურად შეხამებული ფერებით აკეთებდნენ თავიანთ ბერე საქმეებს.

განა თვალთმაქუბით არ მიაღწია არამზადა ტროკისტმა ლიდა გასვიანმა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის ხელმძღვანელობაში შეძრომა? დამახასიათებელი იყო მისი გამოსვლები დისპუტებზე თუ თაბირებზე, როცა ცნობილ კონტრრევოლუციონერს, გამოჩენილ თვალთმაქცეს, სალახანა ტროკისტის პ. ქიქოძეს მხარს უჭირდა მაშინ, როდესაც ქიქოძე სტუმარმასინდლობას აჩალებდა ტროკის დაგუშილ ნაგაზთან გარდინგელებსთან. ან კიდევ უნიჭობის სამუშეულო კლასიკური ნიმუში სეფასტი თალაკვაბე დღემდე საბჭოთა მწერლის სახელს ატარებდა და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში ითვლებოდა; ეს თხენელი არ ქმაყოფილდებოდა საბჭოთა მწერლის საპატიო სახელშოდებით და გამომცემლობა „ფედერაციაზე“ საყვედლურს გამოსთვევამდა, რომ აბრკოლებდნენ მის აუტანელ უნიჭო „თხზულებათა“ გამოცემას. ეს იდეოლოგიური ნაგავი აღვილია მწერალთა კავშირიდან.

რევოლუციური სიფხიზლის მოღუნების სამარცხვინ შედეგი არ არის, რომ მოძე სომხეთის მშრომელი 11

ხალხის უსაზიზღრესი მტერი, ტროკისტულ-დაშნაკური ქვეპრომი, ნაციონალისტი დ. სიმონიანი სომხეთის საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე და ხელოვნების სამართველოს უფროსი აღმოჩნდა!

ამრიგად, დამპალი ლიბერალიზმი, მიუტევებელი ობჟატელური დაუდევრობა, დანაშაულებრივი სიბეცე და რევოლუციური სიცხიზლის მოდუნება—ის, წყარო საიდანაც საზრდობენ კონტრრევოლუციურ - ტროკისტულ - ფაშისტური ქვემძრომთა წვრილფეხა ნაძირალები.

ტროკისტულ - ზინოვიევური კონტრრევოლუციის უშემცვევის ნაბოლარები სარგებლობენ ყოველი ცალკე შემთხვევით და მცირე საბაბითაც, რომ ხელი შეუშალონ ჩვენს ძლევამოსილ სოციალისტურ მშენებლობას, ისინი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდით გაბოროტებული დაძრებიან ხვეულებში და ანთხევენ მომწამლავ გესლს, არ თაკილობენ და არ ერიდებიან არავითარ საზიზღრობას და სისაძაგლეს; ტერორი, დივერსია და შპიონაჟი—ი, მათი გზა.

ფაშისტურ კონტრდაზვერვათა აგენტები იდეოლოგიურ ფრონტზე გასაოცარი თვალთმაქცობით მოძრებოდნენ, ავრცელებდნენ ტროკისტულ-ფაშისტური, „ესთეტიკის“ შეამიან თეორიებს და ცდილობდნენ მოეჭყოთ და გაეფართოვებიათ თავიანთი ბუნაგი საბჭოთა სოციალისტურ ხელოვნებაში.

ხელოვნება მასების აღმზრდელი და მათხე ზემოქ-

მედების ერთერთი უძლიერესი იარაღია. ეს ძალიან კარგად ესმის მტერსაც და ყოველგვარი საშუალებით ცდლობს დაბუდდეს სოციალისტურ საბჭოთა ხელოვნებაში. არის ხელოვნების მუშაკთა ისეთი ფენა, რომელიც თვალთმაქურად რევოლუციონურ სამოსელში ეხვევა, ხელოვნებაში მოძველებულ ფორმათა წინააღმდეგ ბრძოლის მოჩვენებით გარეგნულად თავს ასაღებს რევოლუციონერად და ყალბი რევოლუციური ფრაზებით აბარებს კონტრრევოლუციურ რეაქციურ კონტრაბანდას. სხვა და სხვა „იზმებს“ ფარებული ეს ბურჟუაზიული რეაქციონერები ათასნაირ

მანქვა-გრეხით ხელს უწლიან სოციალისტურ საბჭოთა ხელოვების ძლევამოსილ ზრდას. ესერი არიან ტროკისტულ-ფაშისტური „ესთეტიკის“ უმსგავსი თეორიების კონტრაბანდისტები, რომელთანაც ბრძოლა უნდა იყოს თანმიმდევრობითი და დაუნდობელი. „პრავდაშ“ თავისი წერილებით მოგვიწოდა ფორმალიზმისა და უხეში ნატურალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. როგორც ერთი ისე მეორე თავისი მსოფლმხედველობით გამომდინარებს ლპობადი კაბიტალიზმის ბუნებიდან და თავიანთი სოციალური შინაარსით ყველაზე უფრო მოღალატურ მიმართულებას წარმოადგენენ.

რევოლუციური შეტევითი ბოლშევიკური სიცხიზლით და სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შეიარაღებით კვალდაქვალ უნდა ვსდიოთ ხალხის საძაგელ მტრებს, დაუნდობლად ვამჟღავნოთ ისინი და გაესწონდოთ მათი შმორისაგან საბჭოთა მიწა და საბჭოთა პარი.

საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობა



„არსენა“. დაფგმა-ორფენისან რეჟისორის მ. ჭიათურელის
არსენა—მსახ. ბალაშვილი

ჩემი შთაგეჭდილებან ი საპავშირო ფესტივალზე

მატარებელი მიჰყადა, მიჰყავდა რუსთაველის თეატრის მთელი კოლექტივი ორას კაცამდე და მათ შორის ვიყავ მეც და „შემოდგომის აზნაურების“ ავტორი სერგო კლდიაშვილი და რამდენადაც ვუახლოვ-დებოდით ჩენებს წითელ დედაქალაქს მოსკოვს, იმდენად ლელვა მიტანდა.

მოელს საბჭოთა კავშირში ფესტივალზე, მხოლოდ რამდენიმე დიდი თეატრი იღებდა მონაწილეობას და მათ შორის—საქართველოს რუსთაველის და უკრაინის შევჩერ-კოს სახელობის თეატრებიც.

რუსთაველის თეატრი ამ ხუთი წლის წინადაც იყო მოსკოვში, მაგრამ მაშინ წაიღო ჩემი გადმოკეთებული „ანზორი“, რომლის გამო მე დიდის ღელვას არ განვიც-დიდი, რადგან „ანზორი“—როგორც პიესა და ლიტერატუ-რული ნაწარმოები გაიმარჯვებდა, თუ დამარცხებოდა. სანახევრო იყო ჩემი და ვსევ. ივანოვისა. არც მაშინ დავ-მარცხებულეართ, მაშინ თეატრმა „ანზორით“ დიდი გა-მარჯვება ჰქოვა.

სულ სხვა იყო „არსენას“ წალება და ისიც დიდს თეატრების ფესტივალზე, რასაც უნდა დასტრებოდენ ჩენები მთავრობა და შვიდასამდე უცხოელი სტუმარი, ოც-დათექვსმეტი სახელმწიფოს თეატრების წარმომადგენელი თვითონ მოსკოვის საზოგადოებრივობა ხომ უმაღლეს თეატრალურ კულტურის მატარებელია, მოსკოვის თეატ-რები ხომ მსოფლიო თეატრებად არიან ცნობილი და, აი, ამ სახელგანთქმულ თეატრებთან ერთად ჩენებს ახალგაზ-რდა თეატრს,—რომელმაც ნამდვილი სასიცოცხლო ფრთა. მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში გაშალა, უნდა ჩენებინა თვეისი თავიც ჩემი პიესა „არსენას“ საშუალებით. ამის გამო, მე, როგორც ავტორი, ყველაზე მეტად ვიყავ აღელ-ვებული, თავში ათასირი ფიქრი მიტრიალებდა. სამი დღის მგზავრობამ თითქოს სამს საათში გაირჩინა.

მოსკოვის სადგურზე დიდძალი საზოგადოება დაგვ-ხვდა კინო აპარატით და ყვავილებით.

ორასი კაცის დაბინავება ადვილი საქმე არ იყო, მაგრამ საკავშირო ხელოვნების კოშიტეტს და ჩენებს წარ-მომადგენელს წინასწარ მოეშენოთ საქმე; ავტომობილებით ნახევარ საათში უკვე ყველანი თავთავის ბინაზე იყვნენ.

მოსკოვში 18 აგვისტოს, ღამის 2 საათზე ჩაველით, 19 აგვისტოს თეატრმა დასვენა! 20 ში, საღამოთი დაი-წევდა გასტროლები. თამაშობენ „არსენას“.

კაცს, საღაც მოკეთე ჰყავს, იქ მტრიც ჰყავს. მოს-კოვში ჩასვლისთანავე დამხვდლებს ლაპარაკში შე-ვატყე ჩენდამა, რაღაც სიბრალული, რაღაც გულის ტკი-ვილი, თითქოს ნანობდნენ, რომ ჩენებ მოსკოვში ჩაველით, თითქოს წინასწარ თანაგვიგრძნობდნენ, რომ ჩენებ განწი-რულები ვიყავთ, რომ ჩენებ საქართველოში შერცხვე-ნილები დავბრუნდებოდით—ასეთი გრძნობის გამომულავ-ნებას ადვალად ვხვდებოდი მათს ლაპარაკსა და მოქ-ცევაში.

მეორე დღეს უფრო ცხადად გავიგეთ ჩენი მოკე-თებისაგან, რომ ჩენებ წინააღმდეგ „ბოროტ ენებს“ ემუ-შავნათ. დაერწმუნებინათ მრავალი ნაცნობი, საზოგადო მოღვაწე და უურნალისტი, რომ „არსენა“ არავითარ ლი-რებულებას არ წარმოადგენს, და იგი, როგორც დრამა-

ტიული ნაწარმოები, საშუალოზე უფრო მდაბალი ღიასე-ბისა არის. რუსთაველის თეატრი ამ პიესით თავს შეირ-ცხვენს და დაპკარგავს იმ მოპოვებულ სახელს, რაც ჰქინ-და „ანზორის“ შეოხებით. რაც შეეხბა თვითონ დადგმას და გაფრთვებას—ისეთს ამბებს ლაპარაკობდნენ, რომ გუ-ლი მშედებოდა და ვამბობდი; „პატიოსან მტერთა შერის მოციქულად ნამუშია“—მეოქი.

მაგრამ ასეთი ჭორების წინასწარ გამავრცელებული „პიტიოსანი მტერი“ არ ყოფილა.

20 აგვისტოს გახტანგოვის თეატრში მიდის „ანსე-ნა“. ბილეთები აღარ არის. ხალხი მოდის და უკან ბრუნ-დება. უნდა ითქვას, რომ ამ წარმოლენიზე უმეტესობა იყო ქართველობა. ანტრაქტებში ვამჩნევ დიდი კამათია. დიდი ნერვიულობა. საზოგადოება თითქოს ორ ბანაკად არის გაყოფილი და ერთმანეთს ებრძვიან, ეკამათებიან. შე ნაცნობას, თუ უცნობთან მიედიდვარ მოურიდებლად—მეინტერესება რას ლაპარაკობენ, ცნობისმოყვარეობა შია-ძულებს ყველაფერი ივერიულ, ყველაფერი გავიგო. ზოგნი ვერ მიცნობენ და ხმა მაღლა ჩხუბობენ: პიესაც კარგია და დადგმაც! ტყუილად გვაჯერებდნენ წინასწარ, თით-ქოს რუსთაველის თეატრმა უკან დაიხია—კამათობდა ქართულად ერთი ახალგაზრდა, ეტყობოდა სტუდენტი უნდა ყოფილიყო.

— არ არის დასასტვენი! ჩენებ შეგვაცდინეს! - გაფიგე ჩემი ყურით და ალმური ამივიდა, როგორ? ნუ თუ გან-ზრახვა ჰქონდათ და ვისმეს უნდა დასტრუქ-ცია მოეხდინა? ვის უნდა ჩაედინა ეს? სტუდენტობას? და ჩემი ფიქრი რას არ მიაწყდა, გამწარება ვიგრძნი. დაიწყო მესამე აქტი და იმ დროს, როდესაც გლეხობას ზარბაზანს უშენენ, ანდა, როდესაც უბედური დედა-მარ-თა გამოიღის და ხალხს ეუბნება:

— ჩემს ცრემლებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ჩა-აბარეთ ჩემი შვილი, რათა სოფელი გადარჩეს—ისე, როგორც ტყილისის წარმოლენიზე, აქაც მრავალ ჭალს თუ კაცს თეთრი ხელსახლიც გამოაჩნდა ცრემლის შესა-შრობად.

შემდეგ ანტრაქტებში აღარ იყო კამათი. თითქოს ყველას სახე უბრატყინავდა და თითქოს განგებ დამეტებ-დნენ, რომ ჩემთვის თბილი სიტყვა ეთქვათ. უცნები ახლვაზრდობა მოყიდვა ჩემთან, და სიყვარულით შორი-დან სალამს მაძლევდა. მოღილენ და მეუბნებოდნენ:

— ჩენებ სხვანარიად გადმოგვცეს და მთელს ზომის მასვე დავუბრუნებოთ.

9-ჯერ დაიდგა „არსენა“ მოსკოვში. ცხრა-ჯერვე დიდი აღტრეცებით შეხვდა რუსი მაყურებელი. აკაკი ვასაძეს, როგორც რეჟისორს ათასი მხრიდან ულ-ცავდნენ. აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე, ეს თარი სახელი ვაისმოდა ყ ელგან. ხორავა ეს იყო ის აქტიორი, რობერტ დაიპურო მაყურებელი და შეიქმნა გასტრო-ლების და ფესტივალის გმირად. უმეტესად ყველაგან მისი სურათი იყო გაზეთში თუ ვიტრინებზე. რეცენზიებში, გაზეთის მეოთხერებში აქტებდნენ დამდგმელს ვასაძეს, ხო-რავას, ავტორს და მთელს კოლეგის. აკაკი ხორავა შეუყვარდათ, როგორც მსახიობი, რომელიც კეთილშო-ბილურ გრძნობას და გმირობას გადმოსცემს ადამიანის 13

მეხსიერებისთვის წარუშლელად. მოსწონდათ გიორგი და გიორგი შვილი, როგორც დიდი ოსტატობით ფეოდალის როლის შემსრულებელი.

მოსწონდათ მხოუცი ონისეს თამაში ხუცი შვილისა და როდესაც მე იგი გავაცან პასუხისმგებელ ამხანაგებს, განცვიფრდნენ: ნუ თუ ეს ახალგაზრდა ყმაშვილი თამაშობდა იმ მოხუცის როლში? ჩვენ კი გვეგონა, რომ იგი მართლა უხუცესი მსახიობი იქნებოდა რუსთაველის თეატრშიო.

დადს შთაბეჭდილებას სტოვებდა და მიტრი მუავია როზნის როლში, მანაველ აფხაიძე გონჯას როლში, ზ. მაჩაბელი ზურიკოს როლში, სტ. ჯაფარიძე ღიშოს როლში. ქალებიდან თუ ში შვილი და ჯაჯანა შვილი. ეს მსახიობები ძალიან მოეწონა კლიმენტი ეფრემის ძე გოროშილოვს და ზოგიერთი მათგანი შესვედრის დროს თავისუან გამოიძახა სალაპარაკოდ.

შესუთი წარმოდგენად მიდიოდა „შემოდგომის აზნაურები“. წარმოდგენაზე მეც დამაგვიანდა და თვით ავტორი ს. კლიმაშვილი მოვიდა სულ ბოლო დროს, როცა ყველაფერი თავდებოდა. სწორედ ამ წარმოდგენაზე პირველად მოვიდნენ ამხანაგები: სერგო ორჯონი კიძე და ლ. მ. კაგანოვი ჩი თავიანთი ოჯახობით. მათთან ერთად იყვნენ ხელოვნების კომიტეტის წარმომადგენლებიც. ეს წარმოდგენა მოეწონა ამხანა კაგანოვის და უფრო სერგო ორჯონიკიძეს, მოეწონათ მისი დადგმა და მუსიკალური გაფორმება. ამ წარმოდგენის შეზღება, რუსთაველის კოლექტივმა საპატიო სტუმებს მოაშენინებს იონა ტუსკიას სიმღერა სტალინზე და აგრეთვე რამდენიმე ხალხური სიმღერა.

გამოიხვევების დროს საპატიო ამხანაგები დაგვპირდნენ, რომ მეორე დღეს „არსენას“ ნახავდნენ და თან ამხანაგებსაც მოიყანდნენ.

და მართლაც მეორე დღეს მთავრობის ლოებს აუდიტორია მქუხარე ტაშით შეხვდა. მთავრობის თვითეული წევრის გამოჩენა ლოები—ეს იყო დიდი აღფრთოვანება და ტაშის ქუხილი.

ერთი გარემოება უნდა გავიხსენო. ეს არის ისტორიული ამბავი. მოსკოვში ჩვენს ჩასვლასთან ერთად ხდებოდა ბანდიტების გასამართლება. ტროკისტ-ზინოვიეველთა ტერორისტული ჯგუფის პროცესი ეს იყო გესტაპოს ავენტების და მსოფლიო პროგვატორების პროცესი. ამ ურიცხვი, ვერაგი ხალხის გასამართლება. ეს არ იყო მათი პირველი გასამართლება, ისინი ბევრჯერ გაასამართლეს, ბევრჯერ აპატიეს, მაგრამ „უმადური კაცი ტყეში ხეს და რიყეზე ქვას ვერ დაინახავს“ ისე ამ „ნარიყალა კაცუნებმა“ ველარაფერა დაინახეს, დაბრმავდნენ, ფაშისტების აგენტებად გარდაიქცნენ, ტროკისტი მე თაურიბით ჰსურდათ ტერორით ჩვენი ბელადები მოეკლათ, როგორც მოკელეს სახელოვანი კირივი—აი ამათი გასამართლება სწარმოებდა და როდესაც მათ ჩვენებას გაზეთში ვკითხულობდით, თმა ყალყზე გვიდგებოდა.

რომელი „არსენა“ და მისი მტერი „ფარსადანი“, მისყიდული ფარსადანი!?

გის რად უნდა ასი წლის წინად ამხედრებულ არსენას ამბავი, ან მისი მტრების ლალატიზ დღეს ვხედავთ ხალხის უსახიზღეს მტრებს, რომლებიც, ცდილობენ ზურგში ჩასცენ მახვილი კაცობრიობის და თვითეულ ჩვენთაგანის ბელადს, რომელიც გზას გვიკვლებს სანატ.

რელ მომავლისათვის. მართლაც—და ძალიან მწარე ფიქრებმა შემიყურო. მომაგონდა შოთას სიტყვები:

„გული კრულია კაცისა,
ხარბი და გაუძლომელი“.

ხარბს, გაუძლომელს და კრულს აღამიანს ჩვენი ქვეყანა დასჯის სიკვდილით. და აკი დაისაჯნენ კიდეც. სხვებიც დაისჯებიან, ვინც ეცდება მოგვისპოს მზესავით ნათელი ჩვენი ბედნიერი ცხოვრება. ვინც ახალ ჭეშმარიტებას—სოციალისტურ ქვეყანას ზურგს შეაქცევს—სასტიკად დაისჯება.


აი, მიდის 25 აგვისტოს „არსენა“. თეატრი სავსეა. გახტანგოვის ქუხა შეკრულია. პსურთ მოხვდნენ თეატრში, მაგრამ შენობა საშუალებას არ იძლევა დასტიოს ამდენი ხალხი. მე, როგორც ავტორს, მსურს ყველანი დაესწრენ, მიხარიან უცხო ხალხის ასეთი ლტოლვა ჩვენი თეატრისადმი, მაგრამ საშუალება არ არის. მრავალი გამოჩენილი მოღვაწე, მწერალი, ისტორიკოსი გარედ ჩეხება. მუსიკოსი, რომელიც თურმე დიდიხანია დაინტერესებულია ჩვენი მუსიკით და ჰსურს გაიგოს თუ ახალგაზრდა ი. ტუსკიამ, როგორ გამოიყენა ხალხური მუსიკა, ყველანი უკან ბრუნდება, რადგან თეატრი ისე გაჭიდილია, რომ ნემსიც კი არ ჩავარდება.

დათავდა ამ დღის წარმოდგენა.

ამ დღეს მე ბედნიერი ვიყავ. თეატრი თამაშობდა შესანიშნავად, საზოგადოება აღტაცებით და ყვავილებით ეგებებოდა, როგორც რეჟისორს აკაკი ვასაძეს, ისე ყველა აქტიორს; მთავრობის და პარტიის ხელმძღვანელები იმ დღეს თითქმის ყველანი დაესწრენ და ყველანი გვილოცავდნენ დიდს გამარჯვებას. დღეს ეს წარმოდგენა გარდაიქცა დიდ ზეიმად.

როდესაც სპექტაკლი გათავდა, ყველა საპატიო სტუმარი, მთავრობის და პარტიის ხელმძღვანელები დარჩენს თეატრის კოლექტივის გასაცნობად და სასაზღროდ.

გახტანგოვის თეატრის დიდ ფოიეში სპექტაკლის გათავების შემდეგ ერთმანეთს მთელი თეატრის მუშაქები შევხვდით ხელისუფლების და პარტიის ხელმძღვანელებს. მე აქ ვერ ავწერ ყველა სიხარულს და ერთ-



„არსენა“. ესკიზი მხატ. გ. ბაკუ რაძის

მანქანათ გაბასებას, მაგრამ გადმოგცემთ პირადად რაც მე სამუდამოდ დამახსოვედა.

სპექტაკლის შთაბეჭდილებით კამათობდნენ ამხანა-გები ვოროშილოვი და კაგანოვიჩი. სწორედ ამ დროს მე მივეღ მათთან.

ამხანაგი კაგანოვიჩი ხმა მაღლა ლაპარაკობს:

— მე ვუმტკიცებ მას (ვოროშილოვს) რომ აქ ამ სპექტაკლში არის შილლერის სული (დუხ).

მე ვუპასუხებ:

— რად უნდა იყოს ეს საკვირველი, ლაზარ მოსეს ძევ,— როცა მე მოწაფე ვარ შილლერის, ვსთარგმნე მისი საუკეთესო ნაწარმოები და ვსწავლობდი გერმანიაში. შილლერი ჩემი მასწავლებელია!

— ჰა, კლიმ! ხომ გესმის, მე მართალი ვარ. კაცს გერმანიაში უსწავლია.

— იცით რა მომწონს თქვენს პიესაში? — ამბობდა ანთებული კაგანოვიჩი — გმირობა და გმირული ბრძოლა, როგორც პიროვნებების, ისე მთელი მასის. ჩენ ასეთი პიესა გვახარებს.

ამხანაგმა ვოროშილოვმა ხელი ჩამკიდა და თავისთან ახლო დამსვა და მითხრა;

— დღეს ჩენ დიდი სიამოვნება და აღტაცება მი-ვიღეთ. ენა არ მესმოდა, მაგრამ ყველაფერი გავიგე.

ამ დროს ჩამოერია ამხანაგი კაგანოვიჩი:

— თქვენი თეატრი ე. ი. ჩენი თეატრი, არ არის უბრალო თეატრი და თქვენ ასე მოკრძალებით ნუ ლაპარაკობთ, ეს თეატრი პირველი რანგის თეატრია, მე არც მახსოვე, რომ ისტორიული პიესით ასეთი აღტაცება მი-მელოს. ეს ისტორიული კი არა, დღევანდელი ამბავია!

ამხანაგ კაგანოვიჩს აწყვეტინებს ამხანაგი ვოროშილოვი:

— ამ პიესამ ისე გამიტაცა, რომ მზად ვიყავ ლო-ჟიდან სცენაზე გადაესულიყავ და დაჩაგრულ გლეხებს და არსენას მივშველებიდი, აი, ეს არის მთავარი! პიესა იდე-ოლოგიურად სავსებით გამართლებულია! ეს ჩენი პიესაა. ეს უნდა გადაითარგმნოს და დაიდგას მოსკოვში, არა მარტო მოსკოვში, ყველა რესპუბლიკის დიდს თეატრებში! ესეც არ ქმარა, ეს უნდა გადაითარგმნოს და გაიგზავნოს ესპანეთში!

ამ დროს მთელი თეატრი ფოიეში იყო. ამხანაგი ვოროშილოვი ათვალიერებდა ყველა მსახიობებს და მე-კითხებოდა ვინ, რომელ როლს თამაშობდა. უკვირდა, როცა ასე ახალგაზრდებს გაცნობდი.

იქ იყენენ მთავრობის ყველა საპატიო ამხანაგები, ხელოვნების კომიტეტის თავმჯდომარე ამხანაგი კერუენ-ცევი, მისი მოადგილე ამხანაგი ბოიარს კი და პრესის წარმომადგენლები. თეატრმა არაჩეულებრივი ხალისით შეასრულა ი. ტუსკიას ჰიმნი სტალინზე. ამხანაგ ბორ. გორდელაძეს, აკაკი ვასაძეს დიდი მადლობა გადაუხადეს, როგორც საქართველოს ხელოვნების საუკეთესო მესვე-ურებს.

გასტროლი დასრულდა დიდის წარმატებით. გაზე-თებში იწერება წერილები თეატრზე და ავტორზე. „პრავ-და“ და „იზვესტია“ უთმობს მეთაურებს ქებით და აღფრ-თოვანებით აღსავსეს: „მხოლოდ სტალინის ცოქაში შეიძლება გამოაშვარავდეს პატარა ერების კულტურა და შესაძლებლობანი“.

და მართლაც ამ ოცდა ხუთი წლის წინად გამო-ვიტირეთ ჩენი თეატრი, არ გვქონდა არც ბინა, არც სალსარი და ვისხედით ჩენ „მდინარესა ზედა ბაბი-

ლონისათა“ და ვგოდებდით, რომ დაინგრა ჩენი კერა, აღარ არის მწერლობა, აღარც თეატრი — ვიდოდით მა-ხოვრად, ხოლო დღეს არა თუ საქართველოში, არამედ მოსკოვში ჩენი ხმა და სახელი ისმის კიდით-კიდემდე. კაცს უნდა ჰქონდეს თვალი, ეს დაინახოს და უნდა ესხას ყურნი, შეისმინოს.

მე გიამბეთ მხოლოდ გასტროლების იმბავი. ვიდრე ჩენი წარდგენა მოხდებოდა ფუსტივალზე, არ შემიძლიან გამოვტოვო ერთი ფრიად შესანიშნავი ფაქტი საზოგადოდ თეატრის და პირადად ჩემს ცხოვრებაში.

მთავრობის და პარტიის წევრებმა დიდი აღტაცება მიიღოს რუსთაველის თეატრისაგან. ამის გამო თეატრის აქტივი ხელისუფლების მიერ მიწვეულ იქმნა სალამოს შეხვედრაზე, რათა იქ უფრო ახლო გასცნობოდნენ თვი-თეულ ჩენგანს. სალამო იყო ენით გამოუთქმელი და კალმით აუწერელი.

თეატრის მთავრი აქტივი თავისი დრამატურგებით ვიმყოფებით მთავრობისა და პარტიის ხელმძღვანელთ შორის ამხანაგ სერგო ორჯონიქიძესთან. აქვე არიან მოსკოვის თეატრის საუკეთესო ძალები. ძალიან გულთბილად ვერძნობდით თავს. მთავრობის წევრები გვესაუბრებოდენ მომავალ მუშაობის ირგვლივ და გვამხნევებდნენ, რომ ასეთი გმირული ამბები, როგორიც არის „არსენა“ მასისთვის უსგად გვეჩვენებინა.

ამხანაგების: მოლოტოვის, კაგანოვიჩის, ვოროშილოვის, ორჯონიქიძის, ანდრეევის, ეჭოვის, ხრუშჩევის სიტყვები არა მარტო ჩენი გამამხნევებელი სიტყვები იყო, არამედ ყველა რესპუბლიკებისა, სადაც უკვე ხორციელდება ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკა, და რის შეობებითაც თვითეულმა ნაციონალურმა რესპუბლიკების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. არ დამავიწყდება ამხანაგ სერგო ორჯონიქიძის, კაგანოვიჩის და ვოროშილოვის სიტყვები. მათ მე ასე ახლო არ ვიცნობდი, ასე ახლო მე პირველად ვნახე და ნეტა ყველანი მათს მაგალითს მიებაძევდეთ მსჯელობაში და ვიქნებოდეთ ასე სადა, უბრალო ადა-

მეგობრული შარჟი



ს. შანშიაშვილი. მხატ. გ. ბაკურაძე

მიანები, როგორადაც ეს დიდი ხალხი იყო სრულიად მისაწვდომი და უბრალო.

ამ გარემოებამ მე აღმაფრთოვანა და ექსპრომტად ვკადრე მათ:

„შორს გავარდნილა შენი სახელი,
ბავშვაც კი იცის ვინ არის“ სერგო,
ასე პირისპირ, ასე გულდაგულ
თქვენთან შეხვედრა შეც წილად მერგო!

დღეს მოლოტოვიც ჩვენ შორის არის,
წითელ არმიის მარშალიც ვნახეთ:—
ვოროშილოვი—რკინის მარჯვენა—
კაგანოვიჩი ნათელი სახით!

როცა შორს ვიყავ, შუდამ ენატრობდი:
ნეტავ მაჩვენა, ეს რა ხალხია,
რომ დაბრულება არ გააჩნიათ,
მტერთა სიმაგრე გადულახიათ?

მე თქვენს მზერაში ვხედავ დიდს სტალინს,
ის ხომ იმედოვ ყველგან ხმოვანებს;
სიზმარშიაც კი განუყრელია,
მძღვე ჰანგებისთვის აგვაფრთოვანებს.

თუმც გვახვევია მტერი მრავ-ლი,
ახლო ეზოშიც გვისაფრდებიან,
მაგრამ მშრომელი დარაჯად დგანან,
მედგარ ბრძოლისთვის აენთებიან.

საფრთხე თუ გველის, მტკიცე ფიცს გაძლევთ,
დაგტოვებთ კალას, სცენაზე ტრიალს;
რიგში ჩავდგებით ვოროშილოვთან
და თოფი იწყებს მტერებისთვის გრიალს.

ლენინის აღთქმას დავიცავთ სისხლით,
—დღეს ხელოვანმა სხვა ბრძოლაც იცის!—
არ დავთმობთ ყოფნას ტკბილს და სამურს,
არ დავთმობთ მტკაველს საბჭოთა მიწის!

მაშ გამარჯვება მებრძოლ გაუქაცებს!
სხვა სიხრული არც გვინახია!
დიდხანს სიცოცხლე იოსებ სტალინს!
მრავალუამიერ შემოგაბიან!

ამხანაგ ვოროშილოვს და კაგანოვის ამ ექსპრომტიდან ის ადგილი მოეწონათ, როცა მათ აკავი ხორავას თარგმანი მოისმინეს, სადაც ვამბობ: „მე თქვენ მზერაში ვხედავ დიდი სტალინს, სიზმარშიაც კი განუყრელია“.

მოახლოვდა ფესტივალის დღე 5 სექტემბერი. ჩვენზე წინ უცხოელებს მოსკოვის თეატრებში უჩვენეს თავიანთი წარმოდგენები. 5 სექტემბერს დადი თეატრის ფილიალში მიდის „არსენა“. თეატრი ძალიან დიდია თავის მოცულობით ბევრ მაყურებელს იტევს, მაგრამ ისეთი კრიზისია ბილეთების შოგნისა, რომ მე გარედ ვრჩები. მარტო უცხოეთიდან ჩამოსულია შვილასი მაყურებელი. მათი ჩამოსულით გაივსო სასტუმროები. მოდიოდენ გემებით, მატარებლებით და პაროპლანებით. დეპეშა დეპეშაზე მოდიოდა: იუწყებოდენ ჩამოსვლას. ისე დადგა საკითხი, რომ სასტუმროებში ადგილი აღარ იყო.



ზალ ბაჩათაშვილი. ესკ. მხატ. გ. ბაკუ რაძის

5 სექტემბერს საოპერო დიდი თეატრის ფილიალის დარბაზი გაქცედილია. ვის არ ჰქონდები და რა ენაზე არ გესმის ლაპარაკი! ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული, ლატვიური, შვედური და სხვა მრავალ! ამ დროს მე მხოლოდ ცნობისმოყვარეობად ვარ გადაქცეული და სტუმრებს შორის კენტად დავდივარ, ვის იცნობ? ვის დალაპარაკები?

ჩემი ყურადღება სცენისკენ არის მიბყრობილი. მსახიობები, როგორ გრძნობენ თავს. ასეთი ამბით ხომ არ შეკრონენ. ან თამაშის დროს, ხომ არ დაიბნევიან. ვზიგარ განუმებული პარტერში და აგერ იხადა უარდა. პიესა მიღის, როგორც აწყობილი სიმურნიური კონცერტი, რომელსაც გამოცდილი დირიჟორი ხელმძღვანელობს. თვითეული მსახიობი ჩემს თვლში თითქოს გაიზარდა, მაგრამ იქნებ ეს მარტო მე მეჩვენება. მაგრამ ჩემს გვერდით ვხედავ უცხოელებს და ისინიც ასე ღია თვალებით უცქერიან. ზუა წარმოდგენაში მსახიობებს ტაშის ცემით იწყვეტინებენ. „არსენა“ მესამე აქტის შემდეგ დარბაზში ზეიმი გაიმართა. მსახიობებს იწვევენ დაუსრულებლად. საიდანლაც დაიძახეს: „ავტორ! ავტორ!“ და ვინ რა იცის, რომ მე იქვე პარტერში ვზიგარ. დრამატურგმა კირ შონშა თვალი შემასწრო და დაიძახა: „აი, აქ ზის ავტორი!“ მე უცხოესულობა ვიგრძენ, მაგრამ მაინც წამოვდეგ და ახლო მყოფებს თავი დავუკარ. იქუხა ყოველ მხრიდან ტაშმა და ყოველ მხრიდან, მალა იარუსიდან, თუ პარტერიდან ჩემსკენ გამოშვედილი იყო ათასი ხელი, ჩემი თავი სიზმარში მეგონა, მაგრამ ეს ცხადი იყო, რადგან მოდიოდნენ, მელაპარაკებოდნენ, ფაქტისმილებს მაწერინებდნენ. ერთმა უცხოელმა, ვინმე შედელმა თეატრალმა მოიყვანა ჩემთან ქალი, რომელმაც რუსული რცოდა და უნდა ჩემთვის გადმოეთარგმნა, რაც უცხოელს ეინტერესებოდა და მესმის, რომ ის უცხოელი გერმანულად ეკითხებოდა: მე მთარგმნელი აღარ დამჭირდა და დავუწყებ გერმანულად ლაპარაკი. უცხოელმა გაკვირვებით შემომხედა, როგორ თქვენ გერმანული იცით?

ამ დროს მე მომაგონდა ალექსანდრე ყაზბეგი, ცხვარში მგზავრებს ფრანგულად რომ გამოელაპარაკა.

მეოთხე აქტი დასრულდა და მე ამხ. ანგაროვს ველაპარაკებოდი; უცბად მოვარდნენ ჩემთან: „წამოდი ჩეარა“. წამიყვანეს კერუნცევმა და გორდელაძემ. შემიყვანების დაგენერაციის მიზანი არ იყო.



3892

ორდენისანი დრამატურგი
ალექს გაგაშვილი

საქართველო
კულტურული
მუზეუმი
მუზეუმი
მუზეუმი

ვანეს მთავრობის ლოუაში. ეხედავ მთელი მთავრობა და პარტიული ხელმძღვანელობა იქ არიან. ყველანი ვიცან. შემდეგ მიშიწვია მთავრობის თავმჯდომარებ ამხ. მოლო-ტოვმა თავისითან ახლოს და მელაპარაკ „არსენას“ ორგვლივ, მაძლევდა კითხვას და ვასუხობდი. დაინტერესდა არსენას პიროვნებით, მასალები საიდან აპერიფერ. მე ვუამშე დაწვრილებით. დაინტერესდა აგრეთვე არსენას კინო-ფილმით, თუ როდის იქნება მზადაო. მე ვუპასუხე, რომ ორდენისანი რეჟისორი ჭიათურე ლი, რომელიც სცენარში ჩემი თანავტორია და ერთად ვიმუშავეთ წელიწად-ნახევარი, ეხლა უკვე გადაღებას აწარმოებს და ორმოც პროცენტამდე უკვე გადაღებული აქვს მეთქი. ამხანაგმა მოლო-ტოვმა სურვილი გამოსთქვა, რომ, რაც შეიძლება მალე იქნეს ეგ ფილმი დამთავრებულიო. ძალიან დაინტერესდა აგრეთვე მიტროხინის და დეკაბრისტის როლით. მე ვუთხარ, რომ მიტროხინიც და დეკაბრისტიც მე და ორდენისან რეჟისორს ჭიათურელს უფრო ფართედ გვაქვს სცენარში, ვიდრე პიესაში, რადგან მე პიესა ამის საშუალებას არ მაძლევდა მეთქი. ამის შემდეგ კიდევ ვისაუბრეთ სხვა-დასხვა თემებზე, რაც მკითხველმა გაზეთებიდან იციან.

ამხანაგ მოლოტოვს ძალიან მოეწონა „არსენა“, ბოლოს სთქვა:

—მასალა თვითონ თხოულობს, რომ მის სიუჟეტზე ოპერა დაიწეროსო. ხელი ჩამომართვა და გამარჯვება მომილოცა. მთავრობის ლოუიდან გამოველ, ჩაგრამ სად მივდიოდი, აღარ ვიცოდი, სანამ ამხანაგებმა არ შემო-მაბრუნეს ისევ პარტერში.

ამხანაგმა კაგანოვიჩმა ლოუაში განაცხადა, რომ მე უნდა „არსენა“ ჩემს სტახანოველ რკინისგზელებს უუჩენოო, იქვე იდგა ამხანაგი ანგაროვი და სთქვა „მაშ მე მოსკოვის პარტაქტივს ვუჩენებო“.

პროგრამით ჩვენ ხუთში გვითავდებოდა წარმოდგენები, მაგრამ ექვს სექტემბერს დილით რკინისგზელებისთვის, ხოლო ამავე დღეს სალამოთი მოსკოვის პარტაქტივისთვის იქმნა გათამაშებული.

ვერ წარმოიდგენთ ეს დღე რა იყო თეატრის მსახიობებისათვის. თვითეული მსახიობი ნასროლ ყვავილებში ითარებოდა. მიპენდათ თაიღულები კულისებში. მიპენდათ აუარებელი ტკბილეულობა საჩუქრად. ბოლოს რუსთაველის თეატრს ხელოვნების კომიტეტშა მოუწყო დიდი ბანკეტი, სადაც მოწვეული იყო ოთხას კაცებე.

მოსკოვიდან გამოგვისტუმრეს განსაკუთრებული მატარებლით. ორდენისან თეატრს ხვდებოდნენ გზა და გზა. დიდი შეხვედრა მოხდა ბაქოში და შემდეგ კიროვაბადში (განჯაში). განჯაში შეხვედრა მით იყო ორიგინალური, რომ ჩვენმა მსახიობმა დ. მედვიამ მოულოდნელად საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ლიტერატურულ თურქულ ენაზე, რამაც დიდი ოვაცია და აღტაცება გამოიწვია.

ამრიგად დაჯილდოვებულნი და გამარჯვებულნი ჩამოველით ტფილისში. ეს ჩვენი გამარჯვება არის საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის გამარჯვება ხელოვნებაში. ეს გამარჯვება მათია, რომელიც ანხორციელებნ ლენინსტალინის იდეებს და ხალხი ამ იდეებით გაკვლეულ გზაზე მიჰყვთ. ეს გამარჯვება უშუალოდ არის მისა ვინც დაუღალავად ზრუნავს ამიერ-ევკასიაში მშრომელთა ასაღორძინებლად და კერძოდ საქართველოს მშრომელთა კულტურის ასაყვავებლად. ვინც ჩვენს მუშაობაში ყოველდღიურად მონაწილეობას იღებს და კონკრეტულად გვხელმძღვანელობს — ეს არის ჩვენი ამხანაგი და დიდი სტალინის ნაცადი მოწაფე ამხანაგი ლავრენტი ბერია.

საქართველოს სახელმწიფო კინოშრეწველობა



„არსენა“. დადგმა-ორდენისან რეჟ. მ. ჭიათურე ლეი ის

რუსთაველის თეატრის მორიგი გამარჯვება უმოქმედებითი გარდაქმნის ახალ გზაზე

არსენა, რომლის დრამატული გასცენიურებაც მოგვცა რუსთაველის თეატრმა, ქართველი მშრომელი ხალხის პირმშოთ, მის მიერ ლეგნდებსა, ლექსებსა და სიმღერებში მრავალგზის შექმნილი. ხალხმა იგი გმირის შარაგანდედით შემოსა, აამაღლა და ისე გადმოსცა შთამომავლობას. რუსთაველის თეატრმა იგი ხალხს დაუბრუნა, მისი სოციალური ტკივილების შუაგულში მოაქცია, მისი ჭირითა და ლხინით აავსო და ისე წარმოუდგინა მაყურებელს.

შემთხვევითი როდია, რომ მთელი საუკუნის მანძილზე „არსენას ლექსი“ წარმოადგენს მუდამ ახალ, მუდამ დაუშრეტელ წყაროს ხალხური შემოქმედებისა, სიტყვა-კაზმული მწერლობისა, თეატრისა და კინოსი. ამის მიზეზია მისი ხალხურობა, მისი სისადავე და უბრალოება. ამის მიზეზია თვით ის მოძრაობა, რომელმაც წამოაყნა უტუ მიქავები, არსენები და მათგვარი სახალხო გმირები, რომლებშიაც ხალხს სამართლიანად ხედავდა თავის გულშემატკიფარს, ქომაგს და მეთაურს. ამის მიზეზია თვით არსენას პიროვნება, რომელიც ხალხს ანდამატივით იზიდავდა და მასში ინტერესს იწვევდა.

შემთხვევითი როდია, რომ ბატონიშვილის დროინდელი სოციალური უკულმართობის გამო ყაჩაღად გაგარდნილი გლეხის ბიჭები ხშირად იხსენებენ არსენას და მისი საქციელითაც ამართლებენ თავიანთ მოქმედებენინის როდენის რუსთაველის თეატრი



„არსენა“. არსენა — როდენინანი მხატ. ა. ხორავა

ბას. გავიხსენოთ თუნდაც ილიას კაკო ყაჩაღის სიტყვები:

„არსენა ჩევნი, ის მხნე არსენა, ჩევნამდინ ძმაო, ზღაპრად მოსული, ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა, ის იყო ჩემი სული და გული“...

ხალხს უყვარდა არსენა, რადგან არსენასაც „გლეხკაცი, როგორც ძმა ჰყვარებია“. უყვარდა და ხალხს „არსენობა ენატრებოდა“.

ამიტომ მიიზიდა ამ თემაზ ქართული მწერლობის ისეთი კორიფეული, როგორიც იყვნენ ილია და აკაკი, ვაჟა და ყაზბეგი. მათ შემოქმედებაში ჩევნ ვხვდებით „არსენას ლექსის“ მოტივების გარკვეულ გავლენას, როგორც მდიდარი ქართული ფოლკლორის გამოყენების შედეგს, ზოგჯერ კი მისი იდეური გავლენის შედეგსაც. აკაკი წერეთელს პიესის ბეჭდვაც კი დაუშენდა (1868 წელს) „არსენას“ სახელშოდებით, ხოლო ყაზბეგის „არსენას“ მრავალი თეატრის სცენა მოუვლია საქართველოში.

ცნობილია ის დიდი დაინტერესება და ყურადღება, რომელიც არსენას პიროვნებამ და ეპოქამ საბჭოთა პერიოდში მიიქცა. ეს გასაგებიც არის: გამარჯვებული ხალხი იხსენებს, აღადგენს და აფასებს თავის გმირებს, კლასთა ისტორიულ ჭიდილში დაცემულთ. საბჭოთა მწერლებიდან მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“ მეოთხეულთა ფართო წრის საყვარელი წიგნი გახდა. დაბოლოს, იგი საბჭოთა სცენაზეც ამეტყველდა ჯერ კოტე მარჯანიშვილის ფერიულ სპექტაკლში განსხეულებული, შემდეგ კი მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

მაგრამ ახლა სულ სხვაგვარად ალაპარაკდა იგი რუსთაველის თეატრის სცენიდან, ალაპარაკდა მეტი სიმართლით, დამაჯერებლობით და სადათ, ვიდრე მას აქმდე ულაპარაკნია. ამაშია დრამატურგ შანშიაშვილის გამარჯვება...

... რუსეთის იმპერიალიზმი ცეცხლით და მახვილით მიიკვლევს გზას აღმოსავლეთისაკენ. ქართველი თავადაზნაურობა წარმოადგენს მის ადგილობრივ დასაყრდენს ამ ლაშქრობაში. ქართველი მშრომელი ხალხის, გლეხობის ზურგზე გადადის მთელი ამ ყაჩაღური ომებისა და დარბევის აუტანელი ტვირთი.

მრავალგვარი ბეგარა და გადასახადი, პიროვნების დამცირება და მისი ადამიანური ღირსების ფეხქვეშ გათელვა, ბატონიშვილის მთელი საშინელებანი მე 19 საუკუნის 30-იან წლებში—ი ფონი, რომელზედაც დრამატურგმა გაშალა არსენას მოქმედება.

მათრახის პოლიტიკით აობრებული, გულშეწუხებული ხალხი ღელავს და ბობოქრობს. ღელავს არსენაც ხალხს რჩეული შვილი, მართალი და უბრალო ადამიანი. მოვლენათა ლოლიკურ განვითარებას ხალხი მიჰყავს აჯანყებამდე, ხოლო არსენა, მოწინავე და გამბედავი ადამიანი ბელადობამდე. ასე უკავშირდება გმირი მასას, არსენა ხალხს, ასე იქმნება ერთი მთლიანი ძალა აჯანყებული გლეხობის სახით. რომელიც სამკვდრო-სასიცოც

ხლო ბრძოლაში უპირდაპირდება ქართველ თავადაზნაურობას და მის მფარველ რუსეთის იმპერიალიზმს. არსენა არ წარმოადგენს ხალხის გამოთიშულ და მის ზევით მდგომ მეთაურს, განყენებულ გმირს. არა, იგი ხალხთან არის და უმთავრესად ხალხის ნებისკოფის კარნახით მოქმედობს. ამგვარად, პიესის მთავარ გმირად დრამატურგმა და ოეატრმა გამოიყვანა ხალხი, მასა, რომელმაც თვისი წრიდან გამოჰყო არსენა. სოციალური დრამის ცენტრში დგას არა არსენა, არამედ ხალხი. ეს გარემოება პიესას ერთგვარად მატებს სოციალურ ღირებულებას და წარმოადგენს ისტორიული მასალისადმი სოციალისტური რეალიზმის თვალსაზრისით მიდგომის ერთეულთ მაგალითს.

პირველი ვარიანტით არსენა მოკლებული იყო სიტყვებს. იგი უფრო მეტს ფიქრობდა, თავისთვის უფრო მეტს განსჯიდა, ვიდრე მოქმედებდა. ავტორმა და ოეატრმა ეს ნაკლი მეორე ვარიანტში მთლიანად გამოასწორეს და სცენაზე ვხედავთ არსენას, თავისი გმირული საქმეებით, ცოცხალი, ცეცხლოვანი და გულწრფელი ტემპერამენტით.

ს. შანშიაშვილის პიესა „არსენა“ რუსთაველის თეატრის კოლექტივმა გაშალა, როგორც დიდი სოციალური სიმძაფრის ოპტიმისტური დრამა, რომელშიაც, მართალია ერთერთი მთავარი მომქმედი გმირი—არსენა კვდება, მართალია მოძრაობა, ჯერ კიდევ სტიქიური, ჩამოუყალიბებელი და რაც მთავარია—ხელმძღვანელ ძალას—პროლეტარიატს მოკლებული, მარცხდება, მაგრამ გამარჯვებისადმი რწმენა, ისტორიული აუცილებლობის რენის კანონით ნაკარნახევი, ხალხში მაინც სცოცხლობს. ხალხმა იცის, ისე როგორც მაყურებელმა, რომ დამარცხება დროებითა, დადგება დრო და ხალხი გაიმარჯვებს. ამ უდიდესი ოპტიმიზმით არის გაუღენთილი მთელი პიესა, თვით არსენაც, რომლის სიკვდილი ჩვენ სიმბოლიურად წარმოგვიდგენს ბრძოლაში დაცემული გმირის მოწოდებას ახალი იერიშებისაკენ.

ხალხურ ლექსში არსენას შემთხვევითი პირი ჰქლავს კუჭატნელი. რუსთაველის თეატრში არსენა კვდება ნათლი-მამის—ფარსადან ბოდბისეველის მიერ გასროლილი ტყვიით, რაც საგსებით სწორია და კანონზომიერი. პიესაში სწორად არის მოხაზული ბოდბისეველის—სოფლის ამ ადრინდელი კულაკური ელემენტის სოციალური სახე. და სავსებით ლოგიკურია მის მიერ იმ ტყვიის მუხანათური გასროლა, რომელმაც არსენა იმსხვერპლა, ხოლო ფარსადანს ალბად ახალი ოქროები შემატა. სხვა ძალა, გარდა ფარსადანისა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ არსენას და ხალხის აშკარა ან ფარულ მტრებს, აქ არც შეიძლებოდა გამოჩენილიყო, სხვას არც შეეძლო თოვი მიეშვირა ხალხის გულისათვის. ბოდბისეველის ტიპის ამგვარი მოხაზვა ხელს უწყობს პიესის დრამატული კვანძის სწორად გახსნას.

სოციალურ ძალთა მწვავე დაპირისპირების ფონზე იშლება მთელი დრამა. ერთი მხრით ერთი მოჭა ქართველი თავადაზნაურობა (ზაალ ბარათაშვილის მეთაურობით), რუსეთის იმპერიალიზმის წარმომადგენლებით ზურგამაგრებული, მეორე მხრით ხალხი-მასა, უკიდურეს გაჭირვებამდე მიყვანილი. მძაფრად და რელიეფურად მოხაზვას დრამატურგს და თეატრს შეურიგებელი წინააღმდეგობა ამ ორ ანტაგონისტურ ძალას შორის. მთელი სპექტაკლი, პირველიდან უკანასკნელ მოქმედებამდე, სწორედ ამ წინააღმდეგობით არის გაუღენთილი, მით



„არსენა“. ზაალ ბარათაშვილი — ორდენისანი მსახ. გ. დავითაშვილი

სუნთქვას. ეს წინააღმდეგობა წითელი ზოლივით მიყვება მთელ პიესას და განსაკუთრებულ სიმძაფრეს მესამე მოქმედებაში აღწევს. ეს მოქმედება, სადაც კონკრეტულად ხდება შეტაკება ამ შინაგანი წინააღმდეგობის გამოვლინების საფუძველზე, წარმოადგენს სპექტაკლის ერთეულ კულმინაციურ წერტილს, როცა მაყურებლებს აღარ ყოფნით თავშეკავების გრძნობა, როცა ბევრი მათგანი, უკვე თვალებზე ცრემლებმომდგარი, მზად არის ყიუინით შეიჭრას სცენაზე, რომ ხალხთან და არსენასთან ერთად დაიცვას აოხრებული, პატივაყრილი და განაწამები სოფელი.

სოციალურ ძალთა ამ სასტიკი შეჯახების ფონზე ვითარდება მოძრაობა გლეხობისა, რომელიც თავისი უბედურების მიზეზს ბუნდოვნად ხდავს „რაღაც სხვაში“, მაგრამ რომელსაც ჯერ კიდევ მეფიოდ ვერ წარმოუდგენია ეს „რაღაც სხვა“, ვერ ჩამოუყალიბებია მოძრაობის მიზნები და გზები. სწორედ ამაში მდგომარეობს გლეხთა იმ გამოსხლების სტიქიურობა, რომელიც საქართველოში არაერთხელ მოხდარა მე-19 საუკუნეში. აქ არსენას პირადი ტრაგედია მხოლოდ ფრნია სოციალური გარემოს და ხალხის ტრაგედიის საჩვენებლად. ამდენად არსენას პირადი ტრაგედია იქცევა ხალხის, მასის ტრაგედია და პირიქით.

ამგვარად გაივო დამატურგმა და თეატრმა არსენას ისტორიული პიროვნება. ვიმეორებთ, ეს გაეხდა საცემით მართალია.

დრამის სოციალური კვანძის გახსნისა და ისტორიული სიმართლის გამოჭედვისათვის, პიესის მხატვრული განსხვაულებისათვის დიდი შრომა გაუწევია თეატრის მთელ კოლექტივს რეჟისორ აკაკი ვასაძის მეთაურობით.

დიდი პათოსით გამთბარი ისტორიული დრამა თავისი მრავალრიცხვანი მდიდარი სახეებით, რაც იშვიათია ქართულ დრამატურგიაში, სადაც და კონკრეტულად გახსნა თეატრმა და რეჟისორმა, რომელმაც გმირული, მონუმენტული სიმფონიის სპექტაკლი შექმნა. გასაძის რეჟისორულ მუშაობაში მკაფიოდ არის ხაზგასმული დრომის სოციალური სიმძაფრე, ზუსტად გამოკვეთილია ტიპები და მომენტები, რომელმაც მათ უხდებათ მოქმედება და რაც მთავარია — ჩამოქნილია მთავარი მომენტები გმირი — მასა.

დრამის გმირულ რომანტიკას რეჟისორი და მთელი კოლექტივი ანვითარებს სოციალისტური რეალიზმის გზით. თვითეული სცენა შინაგანი აზრით გამიზნულია და გაზომილი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რეჟისორმა ვასაქმე გამოაქანდაკა მკეთრი სახეებით, შესაფერისი სცენიური ხერხებით და საშუალებებით, აქტიორის მოქმედების აზრით დატვირთული, ჯანსაღი სოციალური ოპტიმიზმის გმირული სპექტაკლი, რომლის დიდ წარმატებას არანაკლებ უწყობს ხელს მხატვარ ირ. გამრეკელის მონუმენტული კონსტრუქციის სადა დეკორაციები და კომპოზიტორი ი. ტუსკიას დიდი ხალხური პათოსით აღსავს მუსიკა.

მაგრამ მთავარს, მაინც მსახიობთა იშვიათ კოლექტივს და მის მოხდენილ თამაშს უნდა ვუმაღლოდეთ. ამ სპექტაკლში რუსთაველის თეატრის მსახიობი თავისუფლად, მთელის ხმით აღმარაკდა და სცენაზე თავისი მოქმედება დაუმორჩილდა აზრს, სპექტაკლის საერთო იდეას.

„არსენას“ ბრწყინვალე თეატრალურ გამარჯვებას ადასტურებს ის გარემოება, რომ იგი განახლებული სახით აგრძელებს რუსთაველის თეატრის ძირითად შემოქმედებით ხასს. მსახიობისათვეს ეს ნიშნავს თავის დაღწევას იმ თავგრუდამხვევ „პლასტიურობისა“ და სცენაზე ზემდეტი და უაზრო ხელმისაგან, რაც თეატრის ძეველ ხელმძღვანელობას მიაჩნდა ქართული ნაციონალური ტრილის ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ მხარედ. მაშინ აქტიორი რეჟისორის ხელში იყო უბრალო ტიკინა, რომელიც სცენაზე ასრულებდა უაზრო, „გარეგნულ ეფექტის მისაღწევ მოძრაობას და შინაარსიდან სცლიდა სპექტაკლს.

„არსენათი“ თეატრის მთელმა კოლექტივმა ერთ-ხელ კიდევ ცხადჰყო ძეველი ხელმძღვანელობის აქტიორული შემოქმედებითი ხასის უვარევისობა და მსახიობი წარმოგვიდგინა უბრალოდ, სადაც და ჩვეულებრივად, ისე როგორც უნდა მოქმედებდეს და აზროვნებდეს რეალისტური თეატრის მსახიობი, რომლისთვისც მთავარი ის არის, რომ აზრი, შინაარსი, იდეა რაც შეიძლება მხატვრულად და მოხდენილად მიიტანოს მაყურებლამდე. ამაშია „არსენას“ დიდი აქტიორული გამარჯვება.

ამაშია ჩვენი რესპუბლიკის ნიჭიერი მსახიობის აკ. ხორავას გრწყინვალე გამარჯვებაც არსენას მეტად ღრმა ფსიქოლოგიურ და გმირულ როლში. დრამატურგმა პიესაში, მსახიობმა ხორავამ კი სცენაზე დაარღვიეს არსებული ტრალიციული წარმოდგენა არსენაზე, როგორც ყაჩალად გავარდნილ აღამიანზე, რომელიც უმთავრესად ინდივიდუალურად მოქმედებს. ხორავას არსენა გმირია, მაგრამ იგი გმირად არ დაბადებულა. იგი ხალხმა წამოაყენა და მან აირჩია აჯანყების მეთაურად. მასის და პიროვნების წოლიანობის ამგვარი გაგება ბევრად ართულებს არსენას როლის შესრულების სიძნელეს. ხორავამ, ამ უდიდესი დიაპაზონის მსახიობმა, დასძლია ეს სიძნელე, მან წარმოგვიდგინა მართალი და უბრალო, ჩვეულე-

ბრივი აღამიანური თვისებებით აღჭურვილი ვაჟაპატ გლეხი, რომელიც სოციალური პირობების წყალობით გახდა გმირი.

ისტორიული სახეების შესანიშნავი გალერეია შექმნებს მსახიობებმა. აქ არის ზალ ბარათაშვილი — რესპუბლიკის სახალხო არტისტის გ. და ვითა შვილი ის შესრულებაში, ავყია და ოდნავ კეუმხიარული თავადი, გლეხობის სასტიკი მტერი და გამანადგურებელი, აქ არის მსახიობ დ. ხუცი შვილი ის მიერ ნიჭიერად განსახიერებული პაპა ონისე (არსენას ბაბუა), საუკუნეთა ხალხური სიბრძნით შემკული, დინჯი და მართალი მოხუცი, რომელსაც ცხოვრების მწარე სკოლა გამოუვლია და ახლა მზად არის სოფლის გადასარჩენად გასწიროს თავი. გლეხური სახეების იმ გალერეიიდან, რომლიც „არსენაშია“ დახატული, პაპა ონისე ცველაზე მეტად დამაჯერებელი და ტიპიურია. მსახიობმა ხუციშვილმა ოსტატურად დაიჭირა მისი დამახასიათებელი თვისებები და მაყურებელს უდიდესი გულრწფელობით და სისადავით წარმოუდგინა ამ ტრაგიული მოხუცის სიმპატიური სახე.

მ. ჩიხლაძემ გივის (არსენას მამა) როლში დაამტკიცა, თუ როგორი ჩქარი ტეპით იზრდება ეს მსახიობი. ამ როლში იპოვნა მსახიობმა თავისი თავი და გამოამჟღავნა, რომ მისი სახით ჩვენს სცენას ეზრდება ნიჭიერი ტრაგიკოსი. მაყურებელი მღლვარებას ვერ იკავებს, როცა სცენაზე გაიმის მისი ტრაგიკული, მაგრამ მრისხანე პროტესტით აღსავს ფოლადისებური ხმა,

ცალკე უნდა ავლნიშნოთ მსახიობების — მაჩაბელის და ჯავახი შვილის თამაში. ალალმართალი და გულუბრყვილო, მკვირცხლი და ენერგიული, ერთგული და თავდადებული სოფლელი ბიჭი — აი სახე, რომელიც მალენინის ორდენის რუსთაველის თეატრი



„არსენა“. ნენო — ორდენისანი მსახ. მ. ჯაჭანაშვილი

ჩამდებობა შექმნა შესანიშნავი უბრალიებით. მისი სიტყვები წყაროს წყალივით მორაკრაკებს სცენიდან, მისი სილადე იტაცებს მაყურებელს, მისი ბავშვური გულისწუხილი და შიშის კანკალი აღავსებს ყველას უდიდესი ზიზლით სისხლის-მსელ ქართველ თავადებისა და რუსეთის იმპერიალიზმის აგენტებისადმი. სადა ბავშვური და გულუბრყვილო მაჩა-ბელის თამაში საერთოდ, როგორც გულუბრყვილო და ბავშვურია გლეხის ბიჭი ზურიკ.

მაგრამ ყალბია მსახიობი იქ, სადაც იგი შორდება გლეხის ბიჭის გულუბრყვილობას და ყალბ პათოსს ამჟავნებს. მესამე მოქმედებაში, როცა იგი წინ გაიშვერს სისხლიან ხელებს და მოკლედ გაძმოგვცემს მკელელობის ამბავს. აქ იგი ჰარგავს უბრალოებასა და გულრწფელობას და მეტისმეტად თეატრალურ პოზაში გვევლინება.

უბრალო, თითქმის შეუმჩნეველი როლი აქვს ჯავა-ხიშვილს „არსენაში“ მაგრამ მისი მოხდენილი, სადა და გულრწფელი თამაში უბრალო გლეხის ბიჭის ამ როლს შესამჩნევს ხდის. სიხარულით შეგვიძლია აღნიშნოთ, რომ ამ ორი ახალგაზრდა მსახიობის სახით რუსთაველის თეატრი ზრდის სცენის ნიჭიერ ისტატებს.

არ შეიძლება არ აღვაფრთოვანოს ყველა დანარჩენი მსახიობის ბუნებრივმა და მოხდენილმა თამაშმა. მაყურებელი მღელვარებას ვერ იყავებს, როცა ბარონ როზენის რევერანსები და დესპოტური სული სცენაზე ლაპარაკებს მსახიობ და. მეტავიას სახით; როცა ცეცხლოვანი, დიდი ტემპერამენტის დიშო (მსახიობი სტ. ჯაფარიძე) სტოვებს არსენას ბანაქს; როცა ზაალის ხუმარა მესტვირე გონჯას (მსახიობი მ. აფხაძე) ომახიანი და ირონული ხმა გულს უმაგრებს სასოწარევე-თილ ხალხს; როცა რუსეთის მშრომელი შვილი მიტრონინი (მსახიობი ბ. წულაძე) ვაჟა-ფურად დაახლის მიწაზე თოფს, რომელიც მას კაპიტან სლეპცოვის (მსახიობი ლ. კაზაშვილი) ბრძანებით სასიკვდილოდ უნდა მიეშვირა არსენასათვის. ყველა ეს მსახიობი და საერთოდ მთელი კოლექტივი თავისი მოხდენილი თამაშით ქმნის თითქმის უნაკლო, დასრულებულ სახეებს, აჯანყებულ ხალხთან ერთად აღლვებს და აბობოკრებს მაყურებელს და ამგარად აღწევს ბრწყინვალე გამარჯვებას.

სცენა თავისუფალი, სრული და სადა. დეკორაციები, მთელი მხატვრობა დიდი სიზუსტით გაძმოგვცემს. ეპოქის სტილს და მსახიობს უქმნის პირობებს შეუფერხებლად გეგმაშეწონილად განვითაროს მოქმედება და თვითეული მოძრაობით ხაზი გაუსვას გარკვეულ აზრს. მხატვარ. ირ. გამრეკელის მონუმენტალურ დეკორატულ ნამუშევრიდან განსაკუზრებით აღსანიშნავია მრავალფეროვანი და სადა დეკორაციები ზაალ ბარათაშვილის სასახლისა, სოფლის საკრებულოსი (პირველი მოქმედება—სცენა მუხის ქვეშ) და აჯანყებული ბანაკი. (თუმცა ამ უკანასკნელს არაფერს მატებს ორმხრივი კიბე, რომელიც შეინიდან ეშვება ციხეში. იგი ზედმეტად ტვირთავს სცენას. უმჯობესია აქაც მეტი სივრცე მიეცეს მსახიობს, რომ მოქმედება მთელი სისრულით გაიშალოს).

„არსენას“ მუსიკა ჩვენი კომპოზიტორებისათვის ბევრის მასწავლებელია. იონა ტუსკიამ ჯერ კიდევ „შე-

მოდგომის აზნაურებში“ დაგვანახა ჩვენ ქართული ხალხური მუსიკის დიდი შესაძლებლობანი, „არსენაში“ კი მთელი სიმძაფრით ააშეტყველა ამ დიდი მესიკალური სუნჯის მარგალიტები. სკექტაკლში მუსიკა ულერს ქართული ხალხური ჰანგებით და სახეების გახსნას, მოქმედების განვითარებას ემსახურება. ამ მიზნით კომპოზიტორს გამოუყენებია ხალხური სიმღერები („ჰე მუმლი და მუხა-საო“, „ჩაუხტეთ ბარათაშვილს“), რომელიც დიდი პათოსით და ექსპრესით ულერს და ამაღლებს სკექტაკლის გმირულ პათეტიკას.

წლევანდელმა სეზონმა, „პლატონ კრეჩეტმა“, „შემოდგომის აზნაურებმა“ და განსაკუთრებით „არსენამ“ მყაფიოდ გვიჩვენა, თუ რა დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი გააჩნდა ამ თეატრალურ კოლექტივს, რომელსაც ახმეტელი ბორკავდა და გასაქანს არ აძლევდა. „არსენამ“ გვიჩვენა, თუ რას ნიშნავს თეატრის მთელი კოლექტივის რეესისრისა და დრამატურგის შეთანხმებული, კოლექტიური შემოქმედებითი მუშაობა ამხანაგურ ატმოსფერეროში და რა დიდ გამარჯვებას გვიმზადებს ის.

„არსენათი“ რუსთაველის თეატრის განახლებულმა ხელმძღვანელობამ ერთგვარად შეაჯამა განვლილი სეზონი და დაგვანახა, თუ რა დიდი შემოქმედებითი აყვავების გზას დაადგა ეს კოლექტივი. ყველაზე მეტად ჩვენ ის გვახარებს, რომ „არსენაში“ რუსთაველის თეატრის კოლექტივმა მიიგნო თავის განახლებულ შემოქმედებით გზას, რომელიც „ანზორით“ და „ყაჩალებით“ დაიწყო და თეატრი მტკიცედ შესლა სოციალისტური რეალიზმის პოზიციაზე. „ანზორის“ და „ყაჩალების“ შემდეგ რუსთაველის თეატრში ჩვენ არ გვინახავს ასეთი გმირული პათოსის მონუმენტალური სიმფონია და იგი ახლა „არსენას“ სახით ვიხილეთ. ამიტომ წარმოადგენს „არსენა“ თეატრის ბრწყინვალე გამარჯვებას.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სახეომსაბჭოს 13 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე ჩაატარა ეს სეზონი რუსთაველის თეატრის კოლექტივმა. შან დაამტკიცა, რომ ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ქართული თეატრის შექმნა შეიძლება არა „ლამარას“ და „თეონულდის“ გზით, არა იმ კორპორატული კარჩაკეტილობის და რეჟისორული დიქტატურის გზით, რომლითაც თეატრი ახმეტელს მიჰყავდა, არამედ „ყაჩალების“ და „არსენას“ გზით, სოციალისტური რეალიზმის, კოლექტიური შემოქმედებითი მუშაობის ფართო საბჭოთა სახოგადოებრიობასთან შეიიდრო კავშირის და ბოლშევიკური თეოთერიტიკის გზით, რომლითაც ეს თეატრალური კოლექტივი ახლა მიდის. „არსენაც“ სწორედ ამ შემოქმედებითი გარდაქმნის ახალი გზით მსვლელობის შედეგია.

ეს გზა კიდევ ბევრ ახალახალ გამარჯვებას მოუტანს, როგორც რუსთაველის, ისე სხვა თეატრებს, რომელთა შემოქმედებითი მუშაობის ძირეულ გადახალისებაში 13 სექტემბრის დადგენილებამ და ამხანაგ ლ. ბერიას ინიციატივის და დახმარებამ ითამაშა გადამზუდებითი როლი.



სალაში ირდენოსან საქართველოს ლინიის ირდენის რუსთაველის სახელობის თეატრის

რუსთაველის სახელობის ქართული სახელმწიფო დრამატიული თეატრის დაჯილდოვების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დაჯილდოვებულ იქნას შ. რუსთაველის სახელობის ქართული დრამატიული თეატრი ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე გ. პეტროვსკი.
სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდიგარი ი. აკულოვი.

მოსკოვი, კრემლი 1936 წლის 5 სექტემბერი.

სსრ კავშირის სახალხო არტისტის სახელწოდების დაწესების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენა:

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაწესდეს სსრ კავშირის ხალხთა ხელოვნების ყველაზე გამოჩენილი მოღვაწეებისათვის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საბჭოთა თეატრის, მუსიკის და კინოს განვითარების საქმეში, სახელწოდება „სსრ კავშირის სახალხო არტისტი“.

2. „სსრ კავშირის სახალხო არტისტის“ სახელწოდების მინიჭება მოხდება სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით სსრ კავშირის სახელმისაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის წარდგენით.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე გ. პეტროვსკი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდიგარი ი. აკულოვი.

მოსკოვი, კრემლი 1936 წლის 6 სექტემბერი.

სსრ კავშირის სახალხო არტისტის სახელწოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენა:

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელწოდება:

კონსტანტინე სერგეეს-ძე სტანისლავსკის—რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი;

ვლადიმერ ივანეს-ძე ნემიროვიჩ-დანჩენკოს,—რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი;

ვასილ ივანეს-ძე კაჩალოვს—რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი;

ივანე მიხეილის-ძე მოსკვინს—რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი;

ეკატერინე პავლეს-ასულ კორჩაგინა-ალექსანდროვსკაია—რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი;

მარიამ შიხეილის-ასულ ბლიუმენტალ-ტარინას—რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი;

ანტონინა ვასილის-ასულ ნევდანოვას—რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი;

მარიამ ივანეს-ასულ ლიტვინენკო-ვოლგემუტს—უკრაინის სსრ სახალხო არტისტი;

პანას კარპის-ძე საკავანსკის—უკრაინის სსრ სახალხო არტისტი;

აკაკი ალექსის-ძე ვასაძეს—საქართველოს სსრ სახალხო არტისტი;

აკაკი ალექსის-ძე ხორავას—საქართველოს სსრ სახალხო არტისტი;

კულიაშ ბაისეიტოვას—კაზახსტანის ასსრ დამსახურებულ არტისტი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე გ. პეტროვსკი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდიგარი ი. აკულოვი.

მოსკოვი, კრემლი 1936 წლის 6 სექტემბერი.

რუსთაველის სახელობის ქართული სახელმწიფო დრამატიული თეატრის მუშაკთა დაჯილდოვების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილ ება.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენის: ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის დაჯილდოვებულ იქნან:

შრომის ზოთოები დროში რჩდეთ:

დავითა შვილი გიორგი მიხეილის - ძე — საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტი; შანულა შვილი სანდრო ილიას - ძე — დრამატურგი.

საპატიო ნიშნის რჩდეთ:

გამრეკელი ირაკლი ილიას - ძე — რუსთაველის სახელობის თეატრის მხატვარი, საქართველოს სს რესპუბლიკის ხელოვნებათა დამსახურებული მოღვაწე; ტუსკია იონა ირაკლის - ძე — კომპოზიტორი, საქართველოს სს რესპუბლიკის ხელოვნებათა დამსახურებული მოღვაწე;

აფხაზე ემანუილ ელისეს - ძე — საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი; მჟავია დიმიტრი გრიგოლის - ძე — საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი; ჯავახიშვილი ნატალია გრიგოლის ასული — დამსახურებული არტისტი; ჯაფარიძე სტეფანე შელიტონის - ძე — თეატრის არტისტი; საღარაძე გიორგი ილარიონის - ძე — თეატრის არტისტი; ჯაჯანაშვილი მარიამ სვიმონის ასული — თეატრის არტისტი; თუშიშვილი თამარ იაგორის ასული — თეატრის არტისტი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე გ. პეტროვსკი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდიგარი ი. აკულოვი.

მოსკოვი, კრემლი 1936 წლის 5 სექტემბერი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ საჭიროდ სცნო მიეცეს რუსთაველის სახელობის ქართული დრამატიული თეატრის მუშაკებს — მოსკოვის გასტროლების მონაწილეთ ფულადი ჯილდო თარ-ორი თვის ხელფასის თდენიბით.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი, რუსთაველის სახელობის ქართული სახელმწიფო დრამატიული თეატრის დირექტორი ე. პ. გორდელაძე და თეატრის დირექტორის მოადგილე გ. ს. გუგუნავა დაჯილდოვებული არიან მსუბუქი ავტომანქანებით. რუსთაველის სახელობის თეატრის განკარგულებაში გადაეცა სატეატრო თავმჯდომარე გ. პ. აკულოვი.

პ. ურანგიშვილი

რესპ. დამს. არტისტი

ვ ა მ ა ყ ღ ბ თ თ ქ ვ ე ნ ი თ

ჭიათურის მუშაკთა თეატრის მთელი კოლექტივი დიდი ყურადღებით ვადევნებდით თვალყურს რუსთაველის თეატრის გასტროლებს მოსკოვში და ვამაყობდით მათი გამარჯვებებით.

რუსთაველის თეატრი ყოველთვის იყო და არის ტონის მიმცემი რაიონულ თეატრებისათვის. იგი თავის მაღალი კულტურული შემოქმედებით ქმნის ხელოვნების უდიდეს განასახის. ჭიათურელებს, მარგანეცის კლდეთა შორის მომუშავებს ყოველთვის გვჯეროდა რუსთაველის თეატრის კოლექტავის შალალი შემოქმედება. გული სიხარულით ავევენი, როდესაც გაზეთის ფურცლებზე ამოვიერთხეთ ს. ს. რ. კავშირის ცაკის დადგენილება ჩვენი საამაყო თეატრის — უმაღლესი ჯილდოთი, ლენინის ორდენით დაჯილდოებისა და მისი ღირსეული ხელმძღვანელობის აკაკი ვასაძის და აკაკი ხორავას სრულიად საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის სახელშოდების მინიჭების შესახებ.

ვამაყობთ თქვენთან ერთად ძვირფას რადენოსნებო! თქვენი ბრწყინვალე გამარჯვება ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარებისა და ა. კ. ბოლშევიკების საამაყო ხეომძღვანელის, სტალინის საუკეთესო მოწაფის საყვარელ ლავრენტი ბერიას უშუალო და ყოველდღიური ზრუნვის ბრწყინვალე შედეგია.

დავეუფლოთ თეატრალური კულტურისა და ხელოვნების უმაღლეს მწვერვალებს და ერთადერთი სწორი სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შეეუქმნათ შალალი კულტურული საზრდო ჩვენი ქვეყნის საამაყო ადამიანებს — სტაბნოველებს.

მალა ავწიოთ ლენინ-სტალინის უძლეველი დროშა, ლახვარი ჩავსცეთ ყველა ჯურის, აქა იქ კიდევ დარჩენილ, კონტრრევოლუციონერებს საზიზღარ ნაშსხრევებს, უფრო მტკიცედ შევმჭიდროვდეთ ჩვენი ბოლშევიკური პარტიის და ხალხთა დინი შელადის შშობლიური სტალინის და მისი თანამებრძოძლების ირგვლივ.

გაუმარჯოს ორდენისან საქართველოს ორდენისან თეატრის ჩვენს საყვარელ ხელმძღვანელს დიდ სტალინის უერთგულეს მოწაფეს ა/კ. მშრომელების სიამაყს ამხანაგ ლავრენტი ბერიას!

ქართული მუსიკის ისტორიის საკითხებისათვის

ამ ნაშრომის დაწერა ამ 31 წლის წინად მქონდა განხრახელი, წყაროებიც შერჩეული და გეგმაც შედგენილი მქონდა, მაგრამ, მოუცლელობის გამო, ამ საკითხზე მუშაობა ვერ შევძელი. მხოლოდ ეხლა ნაწილობრივ მოვახერხე და ამ საკითხს კვლავ დაუბრუნდი.

უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ისეთი საკითხია, რომლისათვის ორმაგი ცოდნა საჭირო. ერთი მხრით აუცილებელია ისტორიული განათლება, მეორე მხრით რასავირელია მუსიკალური მეცნიერების ცოდნაც არის საჭირო.

ჩვენი ქართული მუსიკის შესახებ ზოგი რამ-კი არის დაბეჭდილი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მაინც ჩვენ ძალიან ჩამორჩინონ ვართ. წარსული საუკუნიდან მოყოლებული სულ 4-5 ოდე წიგნია, რომელიც ამ საგანს ეხება. უმთავრესად ხალხური მუსიკის შესახებ მოგვეპოება ჩვენ ცნობები. მასალები შეგროვილი იყო დ. არაყიშვილის და აწ განსვენებული ზ. ფალიაშვილის მიერ. მათ სხვადასხვა მიზნები ჰქონდათ დასახული. ზ. ფალიაშვილს ხალხური შემოქმედება აინტერესებდა იმდენად უმთავრესად, რამდენადაც ეს ახალი მუსიკის აღორძინებისათვის იყო საჭირო. ის ამ ნაწარმოებებს მუსიკის თეორიის თვალსაზრისით არ არკვევდა, არამედ მხოლოდ მოკლედ აქვს დახასიათებული.

უფრო საფუძვლიანად ამ საკითხს დ. არაყიშვილი შეეხო და ქართული ხალხური მუსიკის შესწავლის დარგში მას საქმაოდ დიდი ღვაწლი მიუძლვის. სამწუხაროდ, რუსეთში ყოფნის დროს დაწყებული საქმე მას საქართველოში დაბრუნების შემდეგ არ გაუგრძელებია და ამგარად შეჩერებულია მთელი ის კვლევა-ძიება, რომელიც მას რუსეთში ასე კარგად ჰქონდა დაწყებული.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ძევლი ქართული მუსიკის შესახებ ჯერ კიდევ წარსული საუკუნის შუაწლებში დაიბეჭდა ერთი პატარა ნაშრომი, რომელიც დ. მაჩაბელს ეკუთვნილა და რომელიც თავისი ცნობების მხრით საყურადღებოა. შეიძლება ითქვას, რომ იმ დროიდან მოყოლებული ყველანი, ვინც-კი ქართული მუსიკის შესახებ სწერდა, ამ ნაშრომს ემყარებოდენ. ამაზე იქით ჩვენი მკვლევარების ცოდნა აღარ მიღიოდა. მაჩაბელს ჩამოთვლილი აქვს რადარა სახელები ჰქონდა ქართულ ხმებს, რადარა სიმღერები არსებოდა, რა თვისებების არის ეს სიმღერები და საიდან უნდა იყოს ქართული მუსიკა გაჩენილი. მოკლედ არის წამოყენებული გარკვეული დებულებები, რომლებშიც ავტორი იმ შეხედულებას რცავს, რომ ქართული ხალხური მუსიკა წარმართული ხანის ქართული მუსიკისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. ეს დებულება მერმინდელ მკვლევარებს უკილობელ დებულებად მიაჩნდათ.

უნდა ითქვას, რომ ამჟამად ქართული მუსიკისადმი ინტერესი ძალიან გაცხოველებულია, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთაც. ეს იმით აიხსნება, რომ მეცნიერება მრავალხმიანობის იმ პირველ კერას ექცებს, საიდანაც შემდეგ იგი გავრცელდა სხვაგანაც. ბუნებრივია, რომ ამ საკითხის ძიების დროს ყურადღება საქართველოსკენაც იყოს მიპყრობილი, რათაც ცნობილია, რომ აღმოსავლეთში და დასავლეთში ბევრი ხალხი არ არის, რომელთაც მრავალხმიანი მუსიკა აქვთ. მახლობელ აღმოსავლ

ში საქართველო ერთადერთ გამონაკლისს შეადგენდა წინათაც და ეხლაც. ამიტომ ვფიქრობ, რომ ქართულ მრავალხმიანობის საკითხს მნიშვნელობა მარტო ქართული მუსიკის ისტორიისათვის კი არ აქვს, არამედ საერთოდ მსოფლიო მუსიკის ისტორიისათვისაც.

უკანასნელი ნაშრომი, რომელიც ამ საკითხს ეხება, გერმანულ მეცნიერ მუსიკოს ზიგფრიდ ნადელს ეკუთვნის, რომელსაც სხვადასხვა მოსაზრებები აქვს წამოყენებული და რომელიც ამ საკითხის გადაჭრას ცდილობს, მაგრამ მისივე განცხადებით, ჰიპოთეზებს გარდა, საბოლოოდ დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეუძლიან. მას აღნიშნული აქვს, რომ ქართულ მუსიკას უკველი მსგავსება ემჩნევა დასავლეთ ეკროპის მუსიკასთან. მსგავსება იმდენად დიდია, რომ ბუნებრივად იბადება საკითხი, თუ საიდან მომდინარეობს ეს მსგავსება, საქართველოდან დასავლეთშია გადატანილი, თუ, პირიქით, დასავლეთიდან საქართველოში არის შემოტანალი.

მრავალხმიანობის სადაურობის საკითხის შესახებ არა ერთი თეორია არსებობს. უკანასნელი თეორია ამ-ტკიცებს, რომ მრავალხმიანობა გაჩენილი არის ინგლისში და საერთოდ ჩრდილოეთ ქვეყნებში, სადაც შრავალხმიანობა ჯერ კიდევ წარმართობის დროს უნდა ყოფილიყო. თითქოს აქედან მაშასადამე ის თანდათან საქართველოშიც უნდა გადმოსულიყო, მაგრამ ზიგფრიდ ნადელი რასავირელია კარგად გრძნობს, რომ ეს მოსაზრება სათუთა. ოვით მას აქვს აღნიშნული: თუ მრავალხმიანობა ჩრდილოეთი ჯანმრთელობის მომდინარეობს და წარმოშობით ინდონევროპულია, რაღაც დაემართოთ თეორია, რომლებიც საქართველოს ჩრდილოეთი ცხოვრობდენ და რომლებიც სწორედ ინდოევროპულ მოდგმას ეკუთვნიან, მაგრამ, ერთხმიანი სიმღერის გარდა, არაფრი აქვთ. ამგვარად ჩრდილოეთიდან მომდინარეობის შესახებ თეორია საეჭვოა არის.

მეორე მხრით ის ფიქრობს, რომ შესაძლებელია მრავალხმიანობა სამხრეთიდანაც მომდინარეობდეს და იმ შუამავლად, რომელსაც საქართველოსათვის მრავალხმიანობა უნდა გადმოეცა, იტალია უნდა ვიგულისხმოთ.

ამ საკითხის განხილვის დროს, ნადელმა ყურადღება იმ გარემოებას მიაქცია, რომ მსგავსება დასავლეთ ეკროპის და ქართული მუსიკის შორის, მხოლოდ მეცნიერების საუკუნებრივ აღწევს, მერმე კი კავშირი წყდება, მსგავსება აღარ არის. ეკროპის მუსიკა სწრაფი ნაბიჯით წინ მიდის, ქართული-კი შეჩერებულია, ანდა ყოველ შემთხვევაში, თუ შეჩერებული არ არის, ეკროპული მუსიკის მსგავსად თავისუფალი განვითარება აღარ ემჩნევა, ამგვარად ცხადია, რომ კავშირი უკვე აღარ უნდა ყოფილიყო.

ნადელს აგნიდება, რასავირელია, შუალარად გაგებული ცნობა, რომ დასავლეთ ეკროპასა და საქართველოს შორის კავშირი სწრაფი მეცნიერების საუკუნეში წყდება, მაშასადამე პოლიტიკური გარემოებით უნდა აიხსნებოდეს ის, რომ ქართული და დასავლეთ ეკროპის მუსიკის განვითარების შორის კავშირი შეწყვეტილაო. ეს გარემოება მას აფიქრებიებს, რომ ქართული მუსიკის შრავალხმიანობა მართლაც დასავლეთიან უნდა იყოს დაკავშირებული, მაგრამ აქაც, როგორც ფრთხილ მეცნიერს შეეფერება, ნადელი იმ გარემოებას აქცევს ყურადღებას,

რომ, თუ ქართული მრავალხმიანობა დასავლეთის კულტურის გავლენის შედეგია, რაღა დაემართა საბერძნეთს, რაღა დაემართა ასურეთს და სომხებს, რომელიც დასავლეთ ევროპასთან ქართველებზე უფრო ახლო იდგნენ და რომელთაც ამისდა მიუხედავად ერთხმიანობის მეტი არა-უერი არ გააჩინათ. აქც ამგვარად წინააღმდეგობა არის, გაუგებარი ხდება, როგორ უნდა გადმოსულიყო დასავლეთ ევროპიდან ის მრავალხმიანობა, რომელიც ასე აინტერესებს თანამედროვე მეცნიერებას მუსიკის ისტორიის დარგში.

დ. არაყიშვილი ამტკიცებდა, რომ ქართულ მუსიკასა და დასავლეთ ევროპის მუსიკას შორის შეგახება ბოლოს დაბოლოს არც არის, ქართულ მუსიკას თავისი საკუთარი განვითარება ჰქონია, დასავლეთ ევროპის მუსიკას თავისი საკუთარი განვითარება აქვთ. ამ შემთხვევაში ის იმ დებულებას ემყარება, რომელიც თავის დროზე უკვე მაჩანაც ჰქონდა გამოთქმული, რომ წარმართულ ქართულივე მუსიკიდან უნდა ჰქონდეს ქართულ საეკლესიო მუსიკასაც მრავალხმიანობა ჰქონისებული და მხოლოდ ამ ხალხური შემოქმედების ნაყოფია იგი. მრავალხმიანობის ძველადვე საქართველოში არსებობის საბუთად დასახელებული აქვს ერთი ცნობა, თითქოს მეათე საუკუნეში ანტიოქიის პატრიარქის დელფაციამ გაოცებულმა სიონის საყდარაში ტფილისში მრავალხმიანი გალობა მოისმინა. ამით მტკიცდება, რომ მრავალხმიანი გალობა საქართველოში უკვე მეათე საუკუნეში ყოფილაო. ამ ცნობას დ. არაყიშვილი თავის ქართულად გამოცემულ სახელმძღვანელოში, „ქართული მუსიკის ისტორიას“ რომ უწოდებს, არ იმეორებს და არა სჩანს, თუ რა მიზეზია, რომ გამოტოვებული აქვს, ეს საბუთი დამაჯერებლად აღარ მიაჩინა, თუ თავის ცნობას მცდარად სუვლის.

ზოგტრიდ ნადელი-კი ამ ცნობას რმეორებს და ემყარება, რომელიც, რასაკიორველია, მართალი რომ ყოფილიყო, ამ საკითხის გადასაჭრელად სრულებით გადამწყვეტი იქნებოდა. ზოგტრიდ ნადელი ამბობს მხოლოდ, რომ მე ამ ცნობის სისტორიის შემოწმება ვერ შევძეს.

ყველა, ენც ქართულ მუსიკის ისტორიაზე მუშაობდა, ისტორიაში ძალიან სუსტად იყო მომზადებული: ქართული წყაროების ძათი ცოდნა მე-19 საუკუნეს არ სცილდება. ერთად ერთ გამონაკლის პოლიევქტი კარბელაშვილი წარმოადგეს, რომელსაც დაწერილი აქვს პატარა წიგნი „ქართული კილოები“. მას ქართული წყაროებიდან აქვს ამოლებული ცნობები, მაგრამ უმთავრესად საეკლესიო მუსიკის შესახებ და ხშირად მცდარადაც გაგებული.

როდესაც ამ საკითხზე მუშაობა დავიწყე, როგორც ისტორიკოსმა, ჩემ მოვალეობად ამ ნაკლის შევსება მივიჩნიე. მუსიკის ისტორიის დაწერა არ შერძლება ისტორიის უცოდნელად და წყაროების გამოუყენებლივ. მე გადაწყვეტი გამომეტვია, სად გვხვდება ცნობები ქართულ ხმების შესახებ, რამდენი ხმა იყო გალობის და სიმღერის დროს საქართველოში და რაღმონიცდელი და სადაური წარმოშობის უნდა იყოს ჩვენშე მრავალხმიანობა.

ამაზე მუშაობამ მე დამარტმუნა, რომ მაჩაბელზე გაცილებით უფრო აღრინდელი წყაროების დასახელებაც და გაცილებით უფრო საფუძვლიანი დებულებების წამოუნდაც შეიძლება.

ცნობილია, რომ ორი, ხმიერი და საკრავიერი, მუსიკის დარგი არსებობს. ყველანი ამტკიცებენ, რომ ქართულად ხმიერი მუსიკისათვის ჩვენ გვაქვს ორი სიტყვა გა-

ლობა და სიმღერა, რომელთაგან პირველი საეკლესიოს, მეორე საერთოს ჰქონდა და ნიშნავს ეხლაცაო. ეს უცილებელ კეშმარიტებად ითვლება და ამავე დროს ამტკიცებენ, რომ ქართული საეკლესიო მუსიკა წარმოშობილია საერთოდან, რომ ორივე ერთი შთამომავლობისაა. მაგრამ ბუნებრივად იბადება საკითხი, თუ ერთი შთამომავლობა ჰქონდა, ორი სახელი რატომდა იყო და თუ ორი განსხვავებული სახელია, განა ეს სწორედ იმის მომასწავებელია არ უნდა იყოს, რომ ქართული საერთო და საეკლესიო მუსიკა ერთი წარმოშობისა არ უნდა ყოფილიყო?

ამგვარად პირველი საკითხი, რომელიც უნდა გარკვეული ყოფილიყო: სწორე, თუ არა, რომ ხმიერი მუსიკისათვის თავდაპირველად ორი სახელი არსებობდა. ადვილად შეიძლება დამტკიცდეს, რომ ძეველ ხანაში ჩვენ მხოლოდ ერთი სახელი გვითხოდა. საბუთების საშუალებით შესაძლებელია დანამდვილებით დამტკიცდეს, რომ მეთერთმეტე საუკუნეზე აღრე ქ. შ. „სიმღერა“ და „მღერა“ სრულებით ხმასთან დაკავშირებული არ არის: „მღერა“ ძეველ ქართულში თამაშობას ნიშნავდა, მაგალითად: ძეველ ტექსტებში ჩვენ გვხვდება „პოროლს“ ანუ „შუბს ამღერებდა“, ე. ი. ათამაშებდა. ჩვენ ეხლაც დაცული გვაქვს „კამათლის მღერა“, ე. ი. კამათლის თამაშს კამათლის მღერა ეწოდება. ამგვარად მღერა თავდაპირველად სრულებით ხმასთან არ იყო დაკავშირებული და ერთადერთი სიტყვა, რომელიც ჩვენ ძეველს ქართულში მოგვეპოვა, „გალობა“ არის. გალობა საერთოსაც და სასულიეროსაც ნიშნავდა და არამც თუ საერთოს და სასულიეროს, თვით ფრინველების ხმაურობისთვისაც კი სხვა სახელი არ არსებობდა. ჩვენ ეხლაც კი არ ვიტყვით „მომღერალი ფრინველი“, არამედ მგალობელი. „შაშვი მგალობელი“ და არა მომღერალი, ქართული ზღაპრები ხომ ჩვეულებრივ ამით იწყება. სრულებით ცხადია, რომ სიმღერა მერმინდელი ტერმინი არის, გალობა კი ერთადერთი ძეველი ტერმინია. ამ გარემოებას, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით უაღრესი მნიშვნელობა აქვს.

ეხლა ხმების სახელები. როგორც მოგახსენეთ, წინა მკელევარები მაჩაბლის ნაშრომს ეყარებოდნ, ჩვენ კი გაცილებით ამაზე ანდრინტელი ცნობები მოგვეპოვება. ჯერ ერთი, არსებობს პატარა, მაგრამ ძალიან სცყვრადებო ნაშრომი, რომელიც იოანე ბატონიშვილს ეკუთვნის. მას მუსიკის სახელმძღვანელო ჰქონდა დაწერილი, რომელიც მართალია დაუბეჭდავი დარჩა, მაგრამ მაინც ერთის მხრით იმაში, მეორე მხრით კი „კალმასობა“-ზი ფრიად საცურადებო ცნობები მოიპოვება, ურომლოდაც ამ საკითხზე მუშაობა შეუძლებელი იყო. მაგრამ მაინც ის მეცხრამეტე საუკუნის დამდეგის ცნობაა. ამის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მეორეამეტე საუკუნის დამლებესაც უკვევლია ასეთივე სახელები უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც წინათ როგორი იყო, ამაზე დამტკიცებით ამის გადაწყვეტა არ შეიძლება.

იოანე ბატონიშვილის ცნობებით ჩანს, რომ საქართველოში ეკვსხმიანი სიმღერა და გალობა არსებობდა. ეკვსხმიანი განსაკუთრებული საგალობლისა და სიმღერებისათვის ყოფილია, ჩვეულებრივი სიმღერა-კი სამხმიანი იყო. სამხმიანზე ნაკლები შემოქმედებას არ ახდენს კარგ შთაბეჭდილებას, — ამტკიცებს იოანე ბატონიშვილი. მას ამ ხმების სახელებიც იკავებიან ჩამოთვლილი, პირველი-მთქმელი, მეორე-მოახილი, მესამე-ზილი, მეორე-მოახილი ხმაში არ არის. მაგრამ არა არ არის ამ გველაზე დაბალი ბანი, ანუ ბანი, მეხუთე დაბალი ბანი, ანუ ბანი, მეხუთე დაბალი ბანი, ანუ შემდეგი და მეექვსე-დვრინი (ყველაზე დაბალი ხმა). მას თავის 25

მეორე ნაშრომში სხვანაირად აქვს ნათქვამი: იქ მეორე ხმის სახელად თქვა, ანუ მთქმელი გამოდის, პირველი ხმის სახელი-კი დაწყები არის. როდესაც კითხულობ ამ ნაშრომს, ეს ადგილი არეული ცნობის შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ ითანე ბატონიშვილის ამ ცნობებში არავითარი შეცდომა არ არის, იმისდა მიუხედავად, რომ იქ ორი ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობა მოიპოვება და პირველი და მეორე ხმის სახელები თითქოს არეულია. ეს სახელები არეული არის ამამადაც. ხალხური შემოქმედების შეგროვებამ დამარწმუნა, რომ გრძელება ძველი მდგომარეობა: რომელი არის მაქმელი, რომელია მოძახილი, ამას ადვილად ვერ გაარჩევ. ეს, როგორც დავრწმუნდი, ბუნებრივი არის და ქართული მუსიკის განვითარების გარკვეული საფეხურების ანარეკლის შედეგი გახლვთ.

როგორც ამ სახელებიდან ჩანს, პირველი, მეორე, მესამე ხმების სახელები ქართულია, და მხოლოდ ზილის სახელი არ არის ქართული. ზილი სპარსული სახელია, დანარჩენი ხმების ყველა სახელები-კი ქართული სახელებია.

ითანე ბატონიშვილის ცნობით რომ დავმაყოფილებულიყვით, ჩვენ ულება გვექნებოდა გვეთქვა, რომ ქართული მრავალშინიანობა მეორამეტე საუკუნეშიც არსებობდა. ამაზე წინათ იყო, თუ არა, ამისი დამამტკიცებელი საბუთების წამოყენება იყო საჭირო. ამის ძიების დროს გადავიკითხე მრავალი სხვადასხვა ნაშრომი, რომლებშიც მეგულებოდა, რომ ამის შესახებ ცნობები უნდა ყოფილიყო.

დავით გურამიშვილს ამ საკითხის გასაშუქებლად ფრიად საყურადღებო ცნობები აღმოაჩნდა. მას ლექსები აქვს დაწერილი და რასაკვირველია არავის ფიქრად არ მოუვიდოდა, რომ მისი ცნობები შესაძლებელია მუსიკის ისტორიისათვის ყოფილი გამოყენებული, მაგრამ, ამისდა და მიხედავად, მაინც ფრიად საყურადღებო ცნობებია. ამ ცნობების მნიშვნელობა რომ უფრო ნათელი იყოს საზოგადოებისათვის, აქვე მოვიყვა;

„შოთა მღერს, მეფე თემურაზ,
არჩილ მოსახის ძმერება,
მეფე ვახტანგ და იაკობ
[მალლა] ზილს მიეტკბურება,
ბეგთაბეგ, ნოდარ, ოთარი,
ონანა ბანს ეუბნება
და დვრინვენ ყარან და მამუკა,
მე მსურის მათი ყურება“.

აქ, როგორც ხედავთ, მომღერალთა მთელი გუნდი არის დასახელებული: „შოთა მღერს, არჩილ მოსახის, ვახტანგ მეფე და იაკობ ზილს მიეტკბურება, ბეგთაბეგ, ნოდარ, ოთარი და ონანა კიდევ ბანს ეუბნება და ყარან და მამუკა და დვრინვენ. ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებას, რომ ყველა ხმების შესახებ არ არის ნათქვამი, რომ ორ-ორი მღერის. ზოგ ხმას ერთი მღერის, ზოგ ხმას ორი და რამოდენიმე. სრულებით ცხადია, რომ „შოთა რომ მღერს“- პირველი ხმა არის, მეორე ხმას „არჩილი მოსახის“. ცხადია, ის მოდახილია. ეს ის სახელია, რომელიც ეხლაც გვაქვს შენარჩუნებული. შემდეგ არის ზილი და დვრინი, სულ ხუთი ხმა არის.

ამისდა მიხედვით შეგვიძლიან დავამტკიცოთ, რომ შეთვრამეტე საუკუნის დამდეგს და რასაკვირველია შეჩვიდმეტე საუკუნის დამლევსაც საქართველოში ხუთხმანი გუნდი უკვე არსებულა.

მაგრამ ამაზე შეტის თქმაც შეიძლება, რათგან შესაძლებელია დამტკიცდეს, რომ ექვსხმიანი გუნდიც ყოფილა, ეს ცნობა იმავე გურამიშვილს მოეპოვება. ზამთრის დამარცხების და ზაფხულის გამარჯვების ლექსში ის ამბობს:


„ამბობს ტორუა, გალობს ბულბული,
ტკბილად მოძახების ოფოფს გუგული,
შაშვი ამბობს ზილსა,
შმენი იქრთობს ძილსა,
დვრინა კედანი,
სხვანი მფრინველნი ამბობენ ბანსა“

აქ უკვე ფრინველების გუნდია წარმოდგენილი: „ამბობს ტორუა“, - მაშასადამე, ის მთქმელი არის. „ტკბილად მოძახების ოფოფს გუგული“- მეორე ხმაა, მოძახებილი. „შაშვი ამბობს ზილსა-ზილია, შემდეგ კედანი დვრინა კედანს; დანარჩენები ყველა ბანს ეუბნებიან, ცხადია, რომ თითო ხმაა ბანამდე, ბანს კი სუყველა ამბობს, და ეს ქართული მუსიკისათვის მართლაც დამახასიათებელია. პირველი, მეორე ხმა უმეტეს ნაწილად ხალხში თითო მომღერლის მოვალეობას შეადგენს, ბანი კი სუყველამ უნდა სთქვას: „ბანი გვითხრით ბიჭებო“.

აი აქედან ჩანს, რომ მრავალხმიანი გუნდი ძველ საქართველოში იშვიათ მოეპოვენას არ წარმოადგენდა.

ბესიყსაც მოეპოვება ამაზე ცნობები. ბესიყს მართლია უფრო დაცინების კილოთი აქვს გაღმოცემული, მაგრამ მინც ხმების სახელებისათვის საყურადღებო ცნობაა.

„აიოს თეოს, აიოს“, ამას ხშირად ხმობს გაიოს, სტეფანა უტირაცუებს, შეაწყობს ტაღის ხმაიოს, მაიორს ზილი წილად ხვდა, უსულით სული დგმაიოს, ბასის ტაღი მანუჩარ გვრგვინავს ყვავის ხმით „ვალალ ვაიოს“. თუ ამ ცნობებს ჩაუკეირდებით, ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ უკვე მეჩვიდმეტე საუკუნის დამლევს საქართველოში ექვსხმიანი სიმღერა და გალობა ყოფილა და შემდეგი სახელები ჰქონია: პირველის-მთქმელი, ანუ დამწყები (მთქმელის გარდა, დამწყებიც არის ამ სიტყვის სახელად) მეორეს-მოძახილი, ანუ მაღალი ბანი, მაგრამ ისეთი შემთხვევებიც გვაქვს, როდესაც ამ მაღალ ბანად



ხელოვნების დაშ. მოღვაწე
ლოტბარი სანდრო კაშაშაძე

პირველი ხმა ჩანს. შესამე-სამხმიან გუნდში არის განი, ოთხმიან გუნდში კი უკვე ჩატარება ზოდი, შემდეგ ე.წ. „და და ბალი განი“, ზოგიერთ შემთხვევაში „შემდე-გად“ წოდებული და „დვრინი“. განსაკუთრებულ შემთხვევაში მოხსენებულია აგრეთვე კრინიც. კრინი ყოველთვის მონაშილეობას არ იღებდა.

რა მხრივ არის ეხლა ეს საყურადღებო? ჯერ ერთი, საშუალებას გვაძლევს გადავწყვიტოთ, რომ მეჩვიდმეტე სუჟექტში მრავალმიანობა საქართველოში იყო, ე. ი. იმ დროს, როდესაც რუსეთის და ევროპის გაფლენა სრულებით შეუძლებელი იყო: შემდეგ საყურადღებოა აյ ის გარემოებაც, რომ გუნდიც ორ თანასწორ ჯგუფად იყოფა: პირველი-მაღალ ხმათა ჯგუფია, მეორე-კი დაბალ ხმათა ჯგუფია. მაღალ ხმათა ჯგუფი სხვანაირად არის განაწილებული ექვსხმიან ჯგუფში, ვიდრე სამხმიანში.

სახმიანი შესდგება დამწყებისაგან, მოხაზილისაგან (აგრედვე დამწყებად, ან და მაღალ ბანად წოდებული-საგან) და შემდეგ ბანისაგან, ხოლო ექვსხმიან ჯგუფში პირველი და მეორე ხმა იგივე არის, მაგრამ მესამე ზილია, შემდეგ არის დაბალი ბანი, ანუ შემდეგი.

ამ ცნობების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ზილის გაჩენა უჭირებული რომელიანობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. სამხმიანში ზილი არ არის, მაგრამ რა წამს მრავალმიანი გუნდი ჩატარება, ზილიც ჩატარება.

ამგვარად, თუ ჩვენ იმის გამორკვევა შევძელით, თუ როდის ჩატარება ზილი ქართულს სიმღერაში და გალობაში, მაშინ საშუალება გვექნება გადავწყვიტოთ, თუ როდის უნდა გაჩენილიყო რომელიანი, ხუთხმიანი და ექვსხმიანი გალობა-სიმღერა.

მაგრამ ვიდრე ამ საკითხის განხილვას შეუდგებოდეთ, საჭიროდ მიმართოთ ზოგადად აღვნიშნო, თუ როგორ იყო საერთოდ მოწყობილი გალობა-სიმღერის ხელოვნება.

ასესობდა გარეკვეული მოძღვრება, იყვნენ ხელოვანი, რომლებიც ამაზე მუშაობდნენ, იყვნენ მასწავლებლები და იყვნენ მცენიერი, რომლებიც ამას არკვევდნენ. ასესობდა გუნდები და გუნდებს თავიანთი ლოტბარები ჰყავნდათ. ამ გუნდებს გარდა, ასესობდა ხმიერი და საკრავიერი მუსიკის მწყობრიც, როგორც მაშინ უწოდებდნენ, ე. ი. ორკესტრი, რომელშიც მონაშილეობას იღებდნენ სხვადასხვა საკრავები. ჩვენ მრავალი ცნობები მოგვეპოვება, რომ მწყობრი, ე. ი. ორკესტრი, ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მარტო ერთი საკრავი კი არ უკრავდა, არამედ სხვადასხვა საკრავი.

არ შეუდგები სხვადასხვა საკრავების სახელების ჩამოთვლას. მრავალი სახელები გვაქს, რომლებსაც ვერ იპოვის ადამიანი ვერც ერთ აქამდე ასესობულ გამოკვლევაში ქართული მუსიკის შესახებ. აქედან ცადი შეიქნება, რადგინ საყურადღებო ცნობა აკლია იმ ნაშრომებს, რომლებიც ქართულ მუსიკის ისტორიას ეხება.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საკრავები სხვადასხვა ჯგუფებად იყო დაყოფილი. ერთი ჯგუფი არის ძალებიანი, ანუ როგორც ჩვენ ეხლა ვაბბობთ, სიმებიანი საკრავები. სიმი მეთვრამეტე საუჟუნის დამღევს ჩატარება. სიმი ქართული ისტყვა არ არის, სპარსული ისტყვაა. ქართულში ჩვენ გვქონდა „ძალი“, რომელიც წარმოადგენს უმთავრესად ნაწლავისაგან დაგრეხილს სიმს, როგორც ჩვენ ეხლა ვაბბობთ. შემდეგ შემოდის უკვე სხვა სახელებიც. სახელდობრ ჩატარება ე, წ. „ალყა“, რომელიც აგრედვე ქართული სახელი არ არის. ჩატარება აგრედვე აბრეშუმისაგან დამზადებული ძალი, რომელსაც „ლარი“

ეწოდება. ლარი არ ნიშნავს რასაკვირველია იმას, რასაც ძალი ნიშნავდა, და სახელის სხვადასხვაობა იმ ნივთიერების სხვადასხვაობასაც მოასწავებს, რომლისაგანაც კეთდებოდა.

ძველ ქართულში საკრავების სახელებს განსხვავება ემჩნევდა იმისდა შიხედვითაც, თუ რამდენი ძალი ჰქონდა საკრავს. იყო ორძალიანი, სამ, ოთხ, ხუთძალიანი და ცხრაძალიანიც. სპარსეთიდან შემოსული ტერმინი „თარი“-ც სპარსულად ნიშნავს ძალს, იქც იყო დუთარი, სეთარი, ჩართარი, ე. ი. ორძალიანი, სამძალიანი, ოთხძალიანი.

ეხლა მოგახსეხებოთ საკრავების შესახებ. ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ქართულ საკრავებში იყო „ებანი“, რომელიც ძველი სახელია და რომელიც უძველეს ძეგლებში გვხდება. შეორმეტე საუკუნის შემდეგ უკვე მწიგნობრულ სიტყვად არის ქცეული და მის მაგიერ შემოდის ჩანგი, რომელიც, რასაკვირველია, ჩინუთილან კი არ მომდინარეობს, როგორც ჩვენს სახელმძღვანელოებში სწერია, არამედ სპარსეთიდან. ჩანგი სპარსული სახელი არის და შემდეგ ჩანგი ვრცელდება საქართველოშიც. „ვეფხის ტყაოსანში“ უ. რუსთაველი ჩანგს ხმარობს, ებანი არა აქვს ნახმარი, მაგრამ შავთელი და ჩახრუხაჟე ებანსაც იხსენებენ. ხშირად მგოსანს აგონდება რითმისათვის ისეთი სახელები, რომლებიც ცხოვრებაში ჩვეულებრივ მივწყებული არის, ასე რომ ამაზე დამყარება შეუძლებელია. ებანი იმ დროს მხოლოდ მწიგნობრული სახელი იანგის ნახმარი, მაგრამ გარდა, იყო ქნარიც, რომელიც ებრაული სახელია და შესული არის ბერძნულშიც. სომხურშიც არის და აკად. ნ. მარრი ფიქრობდა, რომ ქნარი სომხურის გზით უნდა იყოს შეთვისებული ქართულში, მაგრამ ბიბლიის ერთერთ ძეველ ხელთაწერში შემხვდა ხმოვანი ფორმა „ქენარი“. ხმოვანი ფორმა ებრაულის დამახასიათებელია და ამიტომ შესაძლებელია ებრაულიდანაც მომდინარეობდეს.

ებანის, ქნარის და ჩანგის შემდეგ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ფანდურს და ჩონგურს. უნდა აღინიშნოს, რომ ჩანგი საქართველოში გავრცელებული ყოფილა მე-17-18 საუჟუნემდე. ამეამად შენახულია მხოლოდ სვანეთში და ამ საუკუნის დამდგომს, როგორც დ. არაკიშვილს აქვს აღნიშნული, სამეგრელოშიც ყოფილა. შენახულია ეხლაც, თუ არა იქ, ამის თქმა არ შემიძლია.

ჩანგი და ებანი რასაკვირველია მოსაზიდავი საკრავები იყო. მოზიდვა ეწოდებოდა, როდესაც ადამიანს თითო უნდა მოეკიდა ძალებისათვის, გამოეჭიდა და გაეშვა. ჩამოსაურავ საქარავთა ჯგუფს კი ეკუთვნის ფანდური და ჩონგური. ფანდურის შესახებ ჩვენ ძეველ წყაროებშიც მოვეპოვება ცნობა და ძეველი საკრავი უნდა იყოს. ფანდური ამეამად მთაშია შენახული, ასესობდა ორძალიანი და სამძალიანი ფანდური, ჩანგური-კი სამძალიანი, ანუ სამლარიანი და ოთხიმიანი, ანუ ოთხლარიანი არსებობს. ჩვენ ერთნაირად ეხმარობთ ჩონგურს და ჩანგურს და თითქოს ერთიდაიგივე უნდა იყოს, მაგრამ იოანე ბატონიშვილის შრომიდან ჩანგი, რომ მათ შორის ასესობითი განსხვავება იყო. ჩონგური სხვა იყო, ჩანგური სხვა. განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ძალების რაოდენობითაც და საერთოდ მუსიკალური შესაძლებლობითაც.

ბუნებრივად იბადებოდა საკითხი, რა სახელები ეწოდებოდა ამ ძალებს, ანუ სიმებს. ვერცერთ წყაროში თქვენ ამის შესახებ ცნობას ვერ იპოვით იმას გარდა, რომ პირველი, მეორე, მესამე და მეოთხეო. ეს რიცხობ- 27

რივი სახელები არის, ანდა კიდევ დამწყები, შემდეგ მოძახილი და ბანი. ისიც ცხადია, რომ ესეც საკრავის ძალების სახელი არ არის, არამედ ხმების სახელებია გამოყენებული საკრავის ძალებისათვის.

ქართული მუსიკის განვითარებაში ორი დიდი საფეხური მოჩანს: ერთი, როდესაც საკრავებს განსაჟუროებული მნიშვნელობა ჰქონია და, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, ქართული ჰარმონიის შექმნისათვის ძირითადი მნიშვნელობა ჰქონდა,—მეორე მერმინდელი, როდესაც საკრავიერი მუსიკის განვითარება ჯერ ჩერდება, მერმე თანდათან ქრება. ამჟამად ხომ შეიძლება ითქვას, რომ ძევლი ქართული საკრავიერი მუსიკა უკვე გადავარჩებულია. იმ დროიდანვე მოყოლებული გასაოცარი სისტრაფით ვითარდება ქართული ხმიერი მუსიკა, ის სჯობნის საკრავიერს. ეს კარგად ჩანს და მტკიცდება იმითაც, რომ ძევლად საკრავის სიმებს თავისი სახელები ჰქონია,—ეხლა კი აღარავის ახსოეს და, თუ ხმარობს ვინმე, მხოლოდ-დამხოლოდ ხმებისაგან აღებულ სახელებს: დამწყები, მოძახილი, ბანი, ზილი. სრულებით ცხადია, რომ პირველი არა-ფრის დამწყები არ არის, მეორე არაფრის მომძახებელია, ამიტომაც სრულებით შეუფერებელი სახელებია. ცხადია, რომ ასეთი სახელები ძველად არ შეიძლებოდა ყოფილიც.

უეჭველია, რომ ძევლ საქართველოში შეუძლებელია საკრავების ძალებს თავისი სახელები არ ჰქონდათ. რადგან ეს სახელები თანამედროვე საქართველოში არსად არა ჩანდა, ისევ ძევლი წყაროების მიხედვით უნდა გამოგვერკვია და გამოგარკვიეთ კიდეც, რომ მართლაც სამძალიანი და ოთხალიანი საკრავის ძალების სახელები ყოფილა, ამაზე მეტი-კი ჩვენ არ ვიცით, ჯერ-ჯერობით მაინც არ ჩანს. სამძალიან საკრავში ყველაზე უფრო წყრილს სხირპანე რქმევია, მეორეს უირი, მესამეს ბანი. ბანის გარდა, ბოხიც იხმარება, ისევ როგორც მოშვერცელი და ბანი და ბანი გარებობის ზე მიმდინარეობს.

თოხალიან საკრავს ემატება კიდევ ზილი. საყურადღებო გარემოებაა, რომ აქაც, ისევე როგორც ხმიერ მუსიკაში, ზილი ჩნდება მხოლოდ, როგორც მეოთხე წევრი ქართული მუსიკისა. მანამდე ზილი არ არის და, რა წამს მეოთხე უნდა გაჩნდეს, მეოთხე წევრად ზილია. ზილი პა-

ტარა სიმია, მისთვის თავისუფალი ადგილი საკრავზე არ არის, ამიტომ საგანგებოდ გაკეთებულია პატარა. ჯორაკი, რომელზედაც გაჭიმულია სიმი. საბა: აქვს ნათევამი, რომ ამ ჯორაკს ზიგიძირტი ეწოდება. ამჟამად ზილს სხვა ადგილი უკავია. ზილი ზოგიერთ შემთხვევაში პირველი სიმი არის, ზოგიერთ შემთხვევაში მეორე. სრულებით ცხადია, რომ ზილი სპარსულიდან არის შეთვისებული.

როგორც მოგახსენეთ, ძველი საკრავები მხოლოდ სამსიმიანი ყოფილა. პირველი ძალის სახელი სხილპანე ყოფილა, რაც გაჭიმულს ნიშნავს,—მესამე ყოფილა ბოხი. ბოხი მსუქანს ნიშნავს: ეს სიტყვა პონიერთან არის დაკავშირებული, ე. ი. ეს ისეთი ხმაა, რომელიც ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს მსუქანი იყოს. შუა ძალის სახელი ძალიან საყურადღებოა. მას ეწოდება უირი. ბუნებრივად იბადება საკითხი, ზილთან ხომ არ არის ეს სახელი დაკავშირებული, სპარსულიდან ხომ არ მომდინარეობს? მაგრამ ეს სრულებით შეუძლებელია. უირი არის სამძალიანი ქართული საკრავის სახელი. ზილი კი ოთხიმიანის კუთვნილებას წარმოადგენს. ამასთანავე ზილი მაღალი ხმის სიმის გამომხატველია,—უირი კი მეორის, რომელსაც მოძახილს უწოდებენ. ამგვარად არაფერი საერთო უირს სპარსულთან არ უნდა ჰქონდეს. მაში რა უნდა იყოს აქ. ბუნებრივად იბადება საკითხი, რომ აქ ჩვენ უნდა გვჭონდეს მდებარეობის გამომხატველი სახელი. უირი მეგრულად და წანურად ორს ნიშნავს და სწორედ ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული: საიდანაც არ უნდა იანგარიშოთ, პირველიდან, თუ მესამიდან, შუალა ყოველთვის მეორე იქნება. ამგვარად ამის გამომხატველივე უნდა იყოს შუალა ძალის ეს სახელიც. ეს საყურადღებო გარემოებაა იმ მხრივ, რომ უეჭველია ძევლი ხანის სახელი უნდა იყოს. ჩვენ ამის მსგავსად ორის აღმნიშვნელი სხვა ტერმინებიც მოვცემოვება ქართულში, მაგალითად ორპირად მოქნილი ტყავის აღსანიშნავად და ასეთივე სახელი გვაქვს სხვა შემთხვევებშიც.

ეხლა ბოხი, როგორც მოგახსენეთ, ეს სიტყვა პონიერთან არის დაკავშირებული. პოხერი ძევლი სიტყვაა, მეათე საუკუნის შემდეგ მუგნობრულ სიტყვად უნდა იყოს მიჩნეული.



ოასავლეთ საქ. მომღერალთა გუნდი ქ. პათარე- ბის ხელმძღვანელობით

ამის შემდგომ ჩვენ შეგვიძლიან უკვე სხვა საკითხებზეც გადავიდეთ. რაკი ჩვენ უკვე ვიცით ხმებისა და ძალების სახელები როდის ჩნდება, რა დროის არის ექვს ხმიანი, ხუთხმიანი, ოთხმიანი გუნდი, ბუნებრივად იბადება საკითხი, თუ რა დროისა უნდა იყოს საერთოდ მრავალხმიანობა, რა დროიდან არის ის გაჩენილი.

ამ საკითხის გადაწყვეტა ადგილი საქმე არ არის. ადგილი საქმე არ არის იმიტომ, რომ ჩვენ ცნობები ძეგლებში შეიძლება გვერდეს კიდეც, მაგრამ ძეგლები გამოცემული არა გვაქვს და შესწავლილიც არ შეიძლება იყოს.

ამ საკითხის გამორკვევაზე მუშაობის დროს ყურადღება ერთ ტერმინს, ბანს, მივაჭირო.

„დაბადებაში“ მეუეთა მეორე წიგნში, მე-14₁₅ მუხლში არის ნათქვამი: „ორლანთა შებანებულითა“. მეორე რედაქციაში არის „ორლანთა შეხვებილითა“. ბერძნულ ტექსტში სწორედ ხმათა შეხვებაა ნახმარი, მაგრამ არც ებრაელებს, არც ბერძნებს მრავალხმიანობა არ ჰქონიათ და, რასაკვირველია, აქ მრავალხმიანობა არ არის ნაგულისხმევი. მაგრამ ეტყობა ქართველ მთარგმნელს ხმათა შეხამება სხვანაირად, თუ არ როგორც მრავალხმიანობა, უკვე ვეღარ წარმოდგინა და მას ამიტომაც ნახმარი აქვს „შებანებულითა“. ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ იმ დროს, როდესაც ეს ტერმინი ნახმარი იყო, ბანიც უნდა ყოფილიყო.

მაგრამ აქ საყურადღებო ის არის, რომ ბანი თავდაპირველად და ძველად სხვას ნიშავრა, ვიდრე ჩვენ ეხლა გვესმის. ბანი ჩვენ გვესმის, როგორც დაბალი ხმის სახელი, ძველ ქართულში კი ბანი აკომპანიმენტს ნიშავდა. შებანება, ან ხმის, ანუ საკრავის აყოლებას ნიშავდა. ეს რომ ასეა, მის დასადასტურებლად მრავალი ხალხური ლექსის მოყვანა შეიძლება, მაგალითად „ბანი გვითხრით, ბიჭებო“, ერთი, რომელიც მთავარ ჰანგა და სიტყვებს ამბობს, გაიძახის „ბანი გვითხრით, ბიჭებო“. ის იმას კი არ გულისხმობს, რომ მხოლოდ დაბალმა ხმაშ, არამედ, რომ ყველამ უნდა იმღეროს, და აქ პირველი და მეორე ხმაც ბანად არის ნაგულისხმევი. ეს რომ ასე არის, იქიდანც ჩანს, რომ ქართულ ტერმინოლოგიაში მოძახილუ ზოგიერთ შემთხვევაში „მაღალი ბანი“, ბანს-კი ჩვეულებრივი, ანუ, „დაბალი ბანი“ ეწოდება. ამგვარად სამხმიან გალობაში, თუ სიმღერაში ხმა მხოლოდ ერთია, ბანი-კი ორი არის, მაღალი და დაბალი. მთავარი მნიშვნელობა ქართულ მრავალხმიანობის გამორკვევის დროს სწორედ ბანს აქვს, რადგან სრულებით ცხადია, რომ მრავალხმიანობის ყველაზე უძველეს ფორმა შებანება არის. ერთი რომ მღეროდა, ან გალობდა, დანარჩენები, როგორც ჩვენ ეხლა ვამბობთ, ბანს აძლევდნენ, ე. ი. ხმას აყოლებდნენ. როდესაც ეს გაჩნდა, ამით უკვე მრავალხმიანობის საფუძველი ჩაეყარა. ასეთი მრავალხმიანობის საყურადღებო, ყველაზე უფრო მარტივი, სახე მოთქმით ტირილში მოგვეკვება. როდესაც მიცვალებულს დასტირიან, ერთი მოთქმით სტირის, დანარჩენები ბანს აძლევდნენ. ამას თავისი სახელი ჰქონდა. ამას „ზრუნი“ ეწოდებოდა. ამცვარად, ზრუნი შებანების ყველაზე უძველეს სახეს წარმოადგენს. ორი ხმა არის: ერთი გოდებს, დანარჩენ, ბანს ეუბნებიან. სრულებით ცხადია, რომ, ვინც ჰქონდებს, ის მოძახილის. ამგვარად, პირველი სახელი და პირველი ხმა, რომელიც უნდა გაჩენილიყო, „მოძახილია“ და თუ თქვენ ძველ ქართულ ხალხურ სიმღერებს აიღებთ და განხილავთ, დარწმუნდებით, რომ ყველგან მთავარი ჰანგის მთქმელი მოძახილია, პირველი ხმა მეორე-ხარისხოვანია.

ამგვარად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პირველად მოძახილი არის გაჩენილი. მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს, რომელიც სრულებით დამარტიმუნებელი იქნება, რომ პირველად მოძახილი არის გაჩენილი. საიდან არის წარმომდგარი „მოძახილი“? „შემოძახილ“ -ისაგან. გეორგიინებათ, ხალხი ამბობს ხოლმე: „გუთურუ შემოძახათ“, „ჰუროველა შემოძახათ“. ამგვარად ერთხმიან სიმღერასაც „შემოძახება“ ეწოდება. მაშასადამე, ვინც სიმღერას ამბობს, ის მოძახილის მთქმელია, ვინც ბოხ ხმას ამბობს, ის ბანს ეუბნება.

ესლა ბანის შესახებ. როდის უნდა იყოს იგი გაჩენილი? ზილი მეჩვიდმეტე საუკუნის ძეგლებში მოგვეპოვება, როგორც ჩვეულებრივი სიტყვა. უნდა ვითიქროთ, რომ მე-16 საუკუნეშიც უნდა ყოფილიყო. აქედან უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ უკვე მე-16 საუკუნეში საქართველოში ოთხმიანი გუნდი ყოფილა, იმიტომ, რომ ზელი მხოლოდ ოთხმიანი გუნდის წევრი არის. ეხლა სამხმიანი როდისლა გაჩნდა? სრულებით ცხადია, რომ ქართველებმა ქრისტიანობის მიღებისთანავე ისევე, როგორც სხვებმა, ისეთი გალობა შეითვისეს, რომელიც მაშინ დღედა ეკლესიაში იყო. რადგანაც ქრისტიანობა მომდიანარებდა პალესტინიდან და ებრაელებს მხოლოდ ერთხმიანი გალობა ჰქონდათ, ეს ერთხმიანი გალობავე შეითვისეს ბერძნებმა, რომელებმა და სომხებმაც. ამგვარად ცხადია, რომ ქართველებსაც თავდაპირველად საეკლესიო გალობა ერთხმიანი უნდა ჰქონდათ. როდის ლაშორდა ეს ქართული გალობა თავის პირვანდელ შეთვისებულ გალობას და როდის შეიძლება ქცეულიყო მრავალხმიანად?

ამ საკითხის გადაწყვეტისათვის წინასწარ უნდა გამორკვეული გვერდეს, თუ როდის დაშორდა ქართული ეკლესია იმ მეზობელ ეკლესიებს, რომლებსაც ერთხმიანი გალობა ჰქონდათ: სომხურს, ბერძნულს? სომხებთან კაშშირი შეწყვეტილი იყო მე-7 საუკუნის დამდეგს. ცხადია, რომ ამ დროიდან გოყოლებული სომხურსა და ქართულ გალობას შორის, თუნდაც მანამდე განსხვავება არ ყოფილიყო, უნდა უნებლივიდ უფსკრული გაჩენილიყო. მაგრამ მარტო ეს საქმარისი არ არის. ერთხმიანი გალობა მარტო სომხებს არ ჰქონდათ, არამედ ბერძნებსაც ჰქონდათ და აქვთ ეხლაც. ჩვენ შეგვიძლიან დანამდვილებით ვთქვათ, რომ მე-10 საუკუნეში უკვე ქართული და ბერძნული გალობა ერთმანეთისაგან განსხვავებული ყოფილა. ეს ნათლად ჩანს მიქელ მოდრეკილის კრებულიდან. რომელშიც ავტორის ნათქები აქვს: „შევკრიბენ ძლისპირინი ესე... რომელი ვპოვენ ენითა ქართველთა, მეხურნი ბერძული და ქართული“ ო.

ამგვარად ბერძნული სხვა იყო და ქართული სხვა. ქართულსა და ბერძნულ გალობას შორის ასეთი განსხვავება რომ არ ყოფილიყო, რასაკვირველია, ის არ აღნი შნავდა ასეთ რამეს. მას საუბარი სიტყვების შესახებ კი არა აქვს, არამედ ჰანგის შესახებ, და რადგან ის ჰკრეფ-და იმას, რაც წინ დ იყო, ჩვენ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ მეცხრე საუკუნეშიც ბერძნული და ბერძნული გალობა ერთმანეთისაგან განსხვავებული ყოფილა. ეს ნათლად ჩანს მიქელ მოდრეკილის კრებულიდან. რომელშიც ავტორის ნათქები აქვს: „შევკრიბენ ძლისპირინი ესე... რომელი ვპოვენ ენითა ქართველთა, მეხურნი ბერძული და ქართული“ ო.

ამგვარად ბერძნული სხვა იყო და ქართული სხვა. ქართულსა და ბერძნულ გალობას შორის ასეთი განსხვავება რომ არ ყოფილიყო, რასაკვირველია, ის აღნი შნავდა ასეთ რამეს. მას საუბარი სიტყვების შესახებ კი არა აქვს, არამედ ჰანგის შესახებ, და რადგან ის ჰკრეფ-და იმას, რაც წინ დ იყო, ჩვენ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ მეცხრე საუკუნეშიც ბერძნული და ბერძნული გალობა ერთმანეთისაგან განსხვავებული ყოფილა. ეს ნათლად ჩანს მიქელ მოდრეკილის კრებულიდან. რომელშიც ავტორის ნათქები აქვს: „შევკრიბენ ძლისპირინი ესე... რომელი ვპოვენ ენითა ქართველთა, მეხურნი ბერძული და ქართული“ ო.

და ბერძნულ მუსიკას შორის უკვე არსებითი განსხვავება იყო, რომ განსხვავება გვარობის განსხვავებას წარმოადგენდა, შეიძლება გიორგი ხუცეს-მონაზონის მე-11 საუკუნის ცნობა იქნეს გამოყენებული. გიორგი მთაწმინდელი, საქართველოში ოთხი წლის განმავლობაში ყოფნის შემდეგ, ისევ ათონის მთაზე დაბრუნდა და თან 80 ობოლი წაიყვანა. როდესაც ის კონსტანტინეპოლიში მივიდა, მას განსაკრიის კისისართან სათხოვარი ჰქონდა. კეი-სარისათვის რომ ეამებინა და სათხოვარი მას ადვილად შეესრულებინა, გიორგი მთაწმინდელს ამ 80 ობოლისათვის „ბერძნული გალობა“ უსწავლებია და როდესაც თავისი ოთხვენა, „პიტაკი“ (და არა პატაკი, როგორც ახლა შეცდომით ხმარობენ) წარუდგენია, მაშინ კეისარს უთქვამს, აბა ეს ბაშვები ავალობე. მას უგალობებია. ისტორიკოსი მოგვითხოვბს, რომ კეისარს მათი გალობა მოსწონებია და უთქვამს: „კარგად გისწავლებიათ ბერძნულსა გვარისა ზედა“. აქედან ჩანს, რომ მე-11 საუკუნის შუა წლებში ქართულ და ბერძნულ საეკლესით გალობათა შორის განსხვავება უკვე არსებობდა, ბერძნული სხვა იყო, ქართული სრულებით სხვაგარი ყოფილა.

მაგრამ ესეც მაინც საკმარისი არ არის. ჩვენთვის საყურადღებოა თითონ ბანის სახელი. როგორც ალვინუნე, შებანება ნიშნავს ხმის შეწყობას. რაკი ხმის შეწყობა იყო, ცხადია ორხმიანობა მაინც უნდა ყოფილიყო. რა დროისა არის ის ტექსტი, რომელშიც ჩვენ „შებანება“ გვხვდება? „დაბადების“ უძველეს თანგმანში სიტყვა „შებანებული“ არ არის. „შებანებული“ გვხვდება მეთერთეტე საუკუნის რედაქტირაში. ამგვარად, ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ მეთერთმეტე საუკუნეში უკველია, მაგრამ საფიქრებელია, რომ ამაზე ადრეც ორხმიანობა მაინც უკვე იყო.

ეხლა ცხადი გახდება, რომ ორხმიანობა საქართველოში იმაზე ადრე არის გაჩენილი, ვიდრე დასავლეთ ეკრანასთან შეიძლებოდა კავშირი ყოფილიყო, ხოლო კავშირი ქართულ და რომის ეკლესის შორის იწყება მხოლოდ ათონის მონასტრის დაარსების შემდეგ. როდესაც ქართველებმა ითანება და ექვთიმებ რომანული მონასტრის ათონის მთაზე დაარსებას ხელი შეუწყეს. აი იმ დროიდან მეგობრული ურთიერთობა დამყარდა ქართველებსა და რომიდან მოსულ ბერებს შორის, ბანი-კი ჩვენ იმაზე ადრე გვქონდა.

მრავალხმიანობა რომ დასავლეთ ეკრანიდან მომდინარეობდეს, ეს რამეში მაინც უნდა ჩანდეს, უნდა ხმის სახელებს მაინც ეტყობოდეს. როგორ შეიძლება, რომ ასეთი მნიშვნელოვანი გავლენა ყოფილიყო და არც ერთი ხმის სახელი მაინც არ მიაგავდეს? თავიდან მოყოლებული ბოლომდე-კი არცერთის სახელი არ მოგვეპოვება, არც სამხმიანსა და არც ექვსხმიან გუნდში, რომელიც დასავლეთ ეკრანის სახელს მიაგავდეს. ამგვარად დასავლეთ ეკრანის მუსიკის გავლენის არავითარი დამამტკიცებელი საჭირი არა ჩანს.

რაკი უკვე ვიცით, რომ პირველად მოძახილი, შუალა ხმა, უნდა იყოს გაჩენილი, მერმე-კი ბანი, ეხლა შემდეგ საძებნელ საკითხს წარმოადგენს, თუ რომელი უნდა ყოფილიყო მესამე ხმა? როგორ გაჩნდა იგი. მთელ სიძნელეს პეტრის ტერმინების არეულობა. საქმე ის არის, რომ მოძახილს ეწოდება პარალელურ სახელად მალალი ბანი. თუ ეს მალალი ბანი არის, მაშინ „მთქმელი“ ვინდა არის? „მთქმელი“ პირველი ხმა გამოდის. მაგრამ ძველ ქართულ ხალხურ სიძლერებში ასე არ არის, იქ ჰანგ

მეორე ხმა, მოძახილი, ამბობს. როგორც მე მოგახსენეთ, იმანე ბატონიშვილის ცნობაშიც ზოგან „მთქმელი“ მეორე ხმის სახელი არის, ზოგან-კი პირველი ხმის სახელი გამოდის. თუ მოძახილი მაღალი ბანია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ჰანგის მთქმელი პირველი ხმაა, მეორე და მესამე ბანები არის და ესეც იმ მოსაზრების დამამტკიცებელია, რომ ქართულ მუსიკაში ბანი განსხვავდება მხოლოდ სიძლილის მხრივ. მართლაც საყურადღებო გარემოებაა, რომ ჩვენ ასეთი ტერმინები გვაქვს: „მაღალი და დაბალი ბანი“, ერთი მართლაც მაღალა მღერის, მეორე-კი დაბლა მღერის. მაგრამ ამაზე უფრო საყურადღებოა ეხლანდელი რაჭული ტერმინოლოგია ფერხულის შესახებ. რაჭაში ეს ტერმინოლოგია იმგვარადვე არეული, როგორც საქართველოს სხვა თემში. რომელია მოძახილი, რომელია დამწყები, ვერ გაიგებს ადამიანი. ფერხულში-კი სრულებით მეაფიოდ ჩანს, ფერხულში ჰანგს მეორე ხმა მღერის და ის იწყებს, მერმე „მაღალა“ და „ბანი“ უერთდება. სამი ცნობა არის ფერხულის შესახებ და სამივე ასეთი ცნობა: მეორე ხმა ჰანგს ამბობს, რაკი ის იწყებს, ის დამწყებად ითვლება. „მაღალი“ რაღა არის? „მაღალი“ პირველი ხმა გახლავთ. შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა, რომ აქ მაღალი პირველ ხმას იმიტომ ეწოდება, რომ ის წვრილი ხმით მღერის, მაგრამ ეს შეცდომა იქნებოდა. მაღალი აქ ძველი ტერმინოლოგიის ე. ი. „მაღალი ბანის“ ნაშთია. ჰანგის მთქმელი და დამწყები არის მეორე ხმა, მოძახილი, პირველი ხმა-კი არის მაღალი ბანი, ხოლო მესამე ხმა ჩვეულებრივი ბანი, ანუ დაბალი ბანი არის.

ამგვარად, თავდაპირველად ჰანგის მთქმელი შუალა ხმა იყო, ბანს ძველად ეუბნებოდა დაბალი ხმა და მრავალხმიანობის განვითარების შემდგომ საფეხურს წარმოადგენს „მაღალი ბანი“, რომელიც იმასე მღეროდა, რასაც ბანი, მხოლოდ ოქტავით უფრო მაღალი. ეს რომ სწორედ ასე იყო, ეს შეიძლება დავამტკიცოთ ერთი ძველი სიძლერით, მე მოგახსენებთ ხალხურ სიძლერაზე „თებრონე მიდის წყალზედა“. ასეთივე სხვა სიძლერებიც არსებობს, მაგრამ ამგამად მხოლოდ ამ ერთს გასახელებ იმიტომ, რომ ეს ჩაწერილია. ამ სიძლერებს ყურადღება ზიგფრიდ ნადელმა მიაქცია, მაგრამ ვერ გაიგო, თუ რა-



მეორე ხმა ხალხურ მოძახილთა გუნდის ხელმძღვანელი
რემა შელევია

ტომ იყო ასეთი შეუთანასხვებლობა ხმების სახელების მხრივ. ამ სიმღერის ჰანგს ამბობს მოძახილი, ბანი დაბალია, პირველი ხმა კი იმეორებს იმასვე, რასაც ამბობს ბანი, მხოლოდ ოქტავით უფრო მაღლა. რა უნდა ეწოდოს ამ ხმას? ცხადია, ბანი, რადგან იმასვე მღერის, რასაც ბანი, მაშასადამე იგივე ბანია. მაგრამ რანაირი ბანი? — ბანი, რომელიც დაბალი ხმით მღერის? არა, ამას თავისი სახელი უნდა ჰქონდეს: რაკი ის იმასვე მღერის, რასაც ბანი, მხოლოდ ოქტავით ბანზე მაღლა, ამიტომ ცხადია, რომ ის „მაღალი ბანი“-ა. აი ამით აიხსნება, რომ რაჭული ფერხულის ტერმინოლოგიაში ჩვენ პირველი ხმის სახელად „მაღალი“ გვაქვს. „მაღალი“ აქ იმის გამომხატველი-კი არ არის, რომ წყრილი ხმით მღერის, არამედ იმის მაუწყებელია, რომ მაღალ ბანს ამბობს. ამგვარად მრავალხმიანობის მესამე საფეხურად უნდა მაღალი ბანის გაჩენა მივიჩნიოთ. შემდეგ იწყება ამ წყრილი, პირველი ხმის თავისუფალი, დამოუკიდებელი განვითარება. რა უნდა სწოდებოდა მას, ვითარება წყრილ ხვას ძევე ქართულში? რასაკირველია, კრინი. ძევე ქართულში კრინი კრინთან არის დაკავშირებული, ე. ი. წყრილთან. ეს სიტყვა რომ ძეველისძეველი სახელი არის, ამის დამტკიცებით არ ზეგაწუხებთ, მაგრამ ამის დამტკიცება უცილობლად შეიძლება. როცა ჩალალი ბანის თავისუფალი, დამოუკიდებელი განვითარება დაიწყო, დაბალი ბანისაგან დამოუკიდებლად, მას თავისი სახელიც უნდა გასჩენოდა და მე ვფიქრობ, რომ კრინმანჭული, სწორედ ის სახელი უნდა იყოს, რომელიც მას უნდა დარქმეოდა. იგი კრინმანჭულიდან არის წარმომდგარი, ე. ი. ერთის მხრით ჩვენ გვაქვს „გაბმული ბანი“, მეორე მხრივ „მანჭული ბანი“, რომელიც უკვე მოძრავი არის. აი ამ დროიდან მოყოლებული პირველი ხმა ამ სამხმიან გუნდში შედის და მონაწილეობას იღებს, უკვე როგორც თანასწორი წევრი. ამ დროიდანვე მოყოლებული, რასაკირველია, მეტოქეობა უნდა დაწყებულიყო პირველსა და მეორე ხვას შორის და იძროიდანვე უნდა არეულყოყო ის ტერმინოლოგიაც, რომელიც ჩვენ ეხლა გვაქვს. მართლაც სიმღერების ერთ ჯვეუშე ჰანგს მეორე ხმა კი არა, არამედ პირველი ხმა ამბობს, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ქართული მრავალხმოვანი მუსიკის განვითარების მეორე ხანის სიმღერებია.

ამის შიხედვით შეგვიძლიან სიმღერების სიძველეც-კი
განვასხვაოთ: ორდესაც ჰანგს პირველი მღერის, ის
მერმინდელი უნდა იყოს, ორდესაც მოძახილი ამბობს
ჰანგს, ასეთი სიმღირა შეკვეთი ძველი უნდა იყოს.

სახელებიც პირველის რომ „მთქმელი“ არის, მეორე ხანის ტერმინი არის. როდესაც პირველმა მეორე ხმას ჰანგის თქმის უბისატესობა წაართვა, აი ამ დროიდან მოყოლებული ტერმინოლოგია აირია, თუ გნებავთ, კი არ აირია, არამედ ხალხს ახსოებს, ხალხმა იცის, თუ, რომელ სიმღერას როგორი ხმა ამბობს, და ამის მიხედვით „მო-ძახილა“ და „მთქმელს“ განსხვავებულად სხვადასხვა ხმას უწოდებს.

ქართული მუსიკის განვითარების თანდათანობით
საფეხურები ამგვარად გვეხატება. ასეა-თუ-ისე, მრავალ-
ხმიანობის განვითარების საფეხურები ზოგადად შექვე გა-
მორკვილო გვაჩის.

შინაგანდელ მკვლევარებს, როგორც აღნიშნული
მქონდა, გამოთქმული ჰქონდათ მოსაზრება, რომ ქარ-
თულ საეკლესიო გალობის მრავალხმიანობა საერთ
მრავალხმიანობისაგან მომდინარეობს. მათ საბოთად ის

ქეონდათ მოყვანილი, რომ ქართული საეკლესიო საგა-
ლობლები გასაოცრად მიაგავს საეროს. მარტო ეს თა-
ვისძა-თვად დამაჯერებელა არ არის. განა არ შეიძლე-
ბოდა ხალხური სიმღერები საეკლესიო საგალობლების
გავლენით ყოფილიყო გაჩენილი? მუსიკის ისტორიიდან
ჩვენ ამის არა ერთი მაგალითის დასახელება ჟეგვიძლიან.
ამიტომ მარტო მსგავსების დასახელება არ ქმარა, არა-
მედ რაიმე სხვა დამაჯერებელი საბუთია საჭირო. ჩვეუ-
ლებრივ ასე ამბობენ, რომ ხალხური შემოქმედება მრა-
ვალხმიანობას სტიქიურად ჰქონიდათ. რასაკვირველია, შე-
საძლებელია მრავალხმიანობის პირველი საფეხური სტი-
ქიურად ჰქონილი იყოს, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია,
რომ ქართული მუსიკა ჰარმონია და ყველა ის საფეხუ-
რები, რომლებიც ქართულ მუსიკას გავლილი აქვს ერთ-
ხმიანობიდან მოყოლებული ექვსხმიანობამდე, მთლიანად
სტიქიურად ყოფილიყო ჩამოყალიბებული. ჟეგველია, სა-
ქართველოშიც იყვნენ ისეთი პირები, მუსიკოსები, რომ-
ლებიც მუშაობდნენ ამაზე. მეტის თქმაც შეიძლება, კომ-
პოზიტორებიც-კი იყვნენ. ჩვენ გვაქვს კიდევაც ჟენახული
მიქაელ მოღრეკილის საგალობლების კრებული და შემ-
დევდროინდელი ხელნაწერები მოვცეპოვება. ამ კრებუ-
ლის შესახებ ყველაზე ვრცელი ცნობები პოლივეკტ კარ-
ბელაშვილს და ვასილ კარბელაშვილს აქვთ. ისი-
ნი თითქოს იმას კითხულობდნენ კიდევაც, მაგრამ ეს უფ-
რო გაუგებრობის ნაყოფი უნდა იყოს, ვიდრე სინამ-
დვილე. გასაოცარია, რომ იმათაც, ვინც ქართული მუ-
სიკის ისტორიის შესახებ სწერდა, გამოკვარვით ამ სა-
გალობლების შესახებ გამოქვეყნებული ერთად-ერთი,
თუმცა პატარა, მაგრამ მაიც საყურადღებო გამოკვლევა.
სახელდობრ მუსიკის გამოჩენილ ისტორიკოსა და ქველ
საგალობლების მქონევარს ფრანგ თიბოს აქვს პატარა
წერილი ქართული საგალობლების შესახებ გამოქვეყნე-
ბული. მას აქვს ონიშნული ორი გარემოება, რომ ქარ-
თული საგალობლების ნიშნები დასავლეთ ევროპის, რო-
მის, ეკლესიის ნიშნებს მიაგავს და ბერძნულისაგან გან-
სხვავდება, — ეს საყურადღებო გარემოებაა. ეს მსგავსება
მართლაც უცილობლად სჩანს. განსხვავება დასავლეთ
ევროპისა და ქართველ საგალობლების ნიშნებს შორის
იმაში მდგომარეობს, რომ ქართული ნიშნები სტრიქონს
ზევითაც და სტრიქონს ქვევითაც იწერება, დასავლეთ
ევროპისა კი სტრიქონს ზევით. ნიშნები დასავლეთ ევ-
როპისას მიაგავს, მაგრამ სისტემა (ზევით და ქვევით რომ
არის) ბიზანტიისას მიემსგავსება. ის გარემოება, რომ
ნიშნები სტრიქონს ზევით და ქვევით არის, მოწმობს,
რომ აქ სრულებით გარკვეული, დასავლეთ ევროპული-
საგან განსხვავებული, სისტემა არის, რომ ქართულს
თავისი სისტემა შეუძლია.

საყურადღებოა თიბოს მეორე მოსაზრება, რომ
ქართული სისტემა სულ ათი ნიშნისაგან შესდგება, რო-
მელიანან ხუთი სტრიქონს ზევით იწერება, ხუთი კი
სტრიქონს ქვევით. ესეც გარკვეული სისტემაა, რომელიც
რასაკირველია მხოლოდ მაშინდელ მუსიკის შეცნიერებს
შეეძლოთ შეექმნათ. ეს გარემოება იმ მხრივაც არის სა-
ყურადღებო, რომ ერთგვარ საშუალებას გვაძლევს იმედი
ვიქონიოთ, რომ ეგვების ამ ნიშნების სახელები, როგორმე
გამოირკვეს. პ. კარბელაშვილს აქვს ნათქვამი, რომ, რო-
დესაც მე გვალობდი, სადაც ხმის ამაღლება მქონდა,
აქაც ამაღლებული არისო, სადაც დაღაბლება მქონდა,
აქაც დადაბლებულიათ და წიგნის ბოლოს დართული
აქვს ამის დამამტკიცებული ნიმუში. უნდა მოგახსნოთ, 3

რომ, ან ნოტები სწორად არ უნდა იყოს დაწერილი, ან ჩანაწერი სრულებით ამას არ ამტკიცებს, რასაც კარგელაშვილი მძმობს, სადაც მე შეწყვიტე ხმა იქაც ნიშანი არისო. საგალობლის ხელნაწერში მართლაც ნიშანია, მაგრამ ნოტებში არავითარი პატივის ნიშანი არ მოიპოვება, არ სჩანს, რომ ხმა უნდა შეწყდეს. ამას გარდა, სადაც ამაღლება უნდა იყოს, იქ დადაბლება გამოდის. ერთი სიტყვით არ სჩანს, რომ ოდნავადაც მაინც მიგნებული იყოს ამ საგალობო ნიშნების აღმნიშვნელობა. მაინც შესაძლებელია იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ნიშნების წაკითხვა მოხერხდება. უნდა გათვალისწინებული გვქონდეს მხოლოდ ერთი სამწუხარო გარემოება. ნიშნების სისტემა ბოლო დროშდე არ ყოფილა. საგალობო ნიშნებიანი ხელნაწერები მხოლოდ გარკვეულ ხანაში გვხდება, გარკვეული ხანის შემდეგ უკვე ნიშნების ხსენება არ არის და ამის მაგირ სრულიად სხვა რამ ჩნდება, რომელსაც ძველ სისტემასთან არავითარი კავშირი აღარა აქვს.

ეს მეორე სისტემა იმაში მდგომარეობს, რომ შედგენილი იყო მთელი ნაშრომი, რომელსაც ეწოდება ნუსხა ჭრელისა და რომელშიც ჩამოთვლილია, რომ ეს და ეს ამას ჰავასო და ასე იგალობეთო. საგალობლები განაწილებულია და ჩამოთვლილია პირველი მარცვალი ამ ჰავასა ჰავას, მეორე მარცვალი ამ ჰავასა და ასევე შემდეგაც. ცხადად ეტყობა, რომ ნიშნების წაკითხვა აღარ სცოდნიათ და უნდოდათ, რომ მნემონიკური მეთოდის საშუალებით როგორმე დასწავლებინათ. ეს რასაკირველია უკვე საგალობლების ნიშნების სისტემა კი არ არის, არამედ ე. წ. სუროვატია. ნიმუშად რამდენიმე ამონაწერს წაგირითხავთ: „მოვედით თაყუანის-უკაცეთ და შეუვრდეთ ჭრისტესა ღმერთსა ჩუქნა“; „მო“-„აღიმსოსა“ ჰავას, „ვედით“ — „კაცო ღმერთისა“ ვრთ, — მეორედ მოვედით „მცირე ორის საბრუნავით უნდა, მესამეზედ გათავდება“. ან კიდევ „რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩუქნი და ჩუქნ ვართ ერი შენი“: თავი „ყოვლად წმიდაოსავით“ დაიწყება, „შენ ხარ ღმერთი“ — „ახაია მოჰყება“ და ჩვენი დაეტანება, „ჩვენ ვართ ერნი შენია“ და სხვაც ასევეა.

ასეთი მდგომარეობა ყოფილა მეთვრამეტე საუკუნეში. მე დრო არ მქონდა, რომ ყველა ხელნაწერები გამჟინჯა. საფიქრებელია, რომ მეჩიდმეტე საუკუნეშიც ეს ნიშნები უკვე დავიწყებული ჰქონდათ. თუ მეჩიდმეტე საუკუნიდან, გინდ მეთვრამეტე საუკუნიდან დავიწყებულია, როგორლა უნდა გამოარკვიოს ადამიანმა ამ სისტემის ნიშნები? ეს დიდ სინდენელეს წარმოადგენს. დასავლეთ ევროპაშიც დიდის გაჭირვებით ახერხებენ ამას, იმისდა მიუხედავად, რომ იქ ტრადიცია დაცული იყო, ძველის აღგენენა მაინც ძალაან დიდი შრომის შემდეგ მოხერხდა.

ზემოაღნიშული ჭრელის ნუსხას დიდი ნ. შრომიდან 24 სახელია ამოკრეფილი. ამ 24 სახელის გადაკითხვა ადამიანს დაარწყენებს, რომ ამ ნუსხაში საყურადღებო სახელებია, რომელიც კუველა ჰავას და არ შეიძლება მიჩნეული იყოს, არამედ რომელებშიც აქა-იქ უეჭველია ძეელი საგალობო ნიშნების სახელებიც შერჩენილი ჩანს. შემდგენელს, როგორც ეტყობა, ნიშნების სახელები ჯერ კიდევ სცოდნია, მაგრამ ის ადგენდა იმ უკიც ხალხისათვის, რომელსაც ნიშნების წაკითხვა აღარ შეეძლო. სწორედ ამიტომ შეუდგენია ასეთი მნემონიკური სახელმძღვანელო, რომელშიც განმარტებული იყო დაახლოვებით, თუ როგორ შეიძლებოდა,

რომ ესა თუ ეს ჰანგი ემლერა ადამიანს. ეს 24 სახელ შემდეგია: ხელმწიფე კილო, ბოხუმი, საკექენი, სამი საბრუნავი, მცირე საბრუნავი, უცხო, წინთქმა, დიდი წინთქმა, უსტაური, ონი, მცირე ონი, ყოვლად წმიდისა კილო, ასამალობელი, ნონი, დაბანება, ჩაბანება, ჩაუანგული, შეყრილი, მრავალ-გუარი, აპონი, ახაია და დასდებელის კილო.


ეს ნუსხა მოყვანილი აქვს პოლივეკტ კარბელაშვილს, წყაროს ზედმიწევნით დაუსახელებლივ. მე გამოვარვივ, საიდან არის ამოღებული. ია კარგალეთელს დაბეჭდილი აქვს ჭრელი ნუსხის სახელები ავაზე შვიდით მეტი. სახელებია საინტერესო, უეჭველია, ქელი ხელნაწერიდან უნდა იყოს ამოღებული, მაგრამ არც იმას აქვს დასახელებული წყარო და ჯერჯერობით ვერ მივაგენი, თუ რომელი ხელნაწერიდან, ან საიდან აქვს მოყვანილი.

საუგიწრებელია, რომ ჭრელის ნუსხის ამ სახელებში სხვათა შორის ძველი საგალობლების ნიშნების სახელებიც გვქონდეს დაცული, მაგრამ არც იმას აქვს დამატეკიცებელი საბუთი არ იქნება მოძებნილი, ამას დამაჯერებელი ძალა არა აქვს.

ადვილად წარმოადგენთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექვებოდა მარტო ქართულ მუსიკისათვის კი არა, არამედ მსოფლიო მუსიკის ისტორიისათვისაც, რომ ამის წაკითხვა როგორმე მოვეცხერხებინა, რადგან მიქაელ მოდრეკილის კრებულში მარტო ქართული საგალობლები კი არ არის, არამედ ბერძნულიც.

რა გზით შეიძლება დასახული მიზნის მიღწევა? ჩვენ მიქაელ მოდრეკილის კრებულში ნიშნები გვაქვს, ამ ნუსხაში-კი ნათევამია, რომელი „ძლის პირები“ როგორ იგალობება. ეს იმას ჰავას, ამას ჰავასო. ეხლანდელი გალობა უნდა შედარებული იყოს სწორედ ამ კრებულთან და უნდა გამოირჩეს, თუ რომელი ამ ნუსხაში აღნიშნულ სახელთაგანი საგალობლის რომელ ნიშანს უდრის. საგალობლის შემოწმებისათვის დიდი მუშაობაა საჭირო. ამისთვის საქართველოს სხვადასხვა თემში დაცული ძლის პირების გათვალისწინებაც არის აუცილებელი, რადგან ეს ჰანგები ძველი დროიდან მოყოლებული შესაძლებელია არველგან უცვლელად დაცული არ იყოს. ამიტომ თუ საქართველოში ძლის პირების მცირები მცირდე მოხუცებულნი დარჩნილან, უნდა იძილისში ჩამოვიყენოთ და ჩავტეროთ. თუ ჩვენ ამას დროზე არ ჩავიწერთ, მთელ ამ სამუშაოს ეხლავე არ გაეწევთ, მაშინ ჩვენ საგალობო ნიშნების გამორკვევაზე სამუდაბდე უნდა იმედი გადავიწყვიტოთ.

ამ ნიშნებს გარდა, სხვა უფრო როგორ და ნიშნებიც მოგვეცოვება და ქართული მუსიკის განვითარება იმ დონეზე არ შეჩერებულა, რომელზედაც მე-10 საუკუნეში იყო, როდესაც მიქაელ მოდრეკილმა თავისი კრებული შეაღინა. ჩვენ გვაქვს მე-12 საუკუნის დამდეგის ერთი საყურადღებო ცნობა, რომელიც საშულებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, თუ რაოდენ ს მაღლეზე იდგა მაშინ ქართული მუსიკის განვითარება ან დარტების შემოწმებულნი დარჩნილან, უნდა იძილისში ჩამოვიყენოთ და ჩავტეროთ. თუ ჩვენ ამას დროზე არ ჩავიწერთ, მთელ ამ სამუშაოს ეხლავე არ გაეწევთ, მაშინ ჩვენ საგალობო ნიშნების გამორკვევაზე სამუდაბდე უნდა იმედი გადავიწყვიტოთ. ამ ნიშნებს გარდა, სხვა უფრო როგორ და ნიშნებიც მოგვეცოვება და ქართული მუსიკის განვითარება იმ დონეზე არ შეჩერებულა, რომელზედაც მე-10 საუკუნეში იყო, როდესაც მიქაელ მოდრეკილმა თავისი კრებული შეაღინა. ჩვენ გვაქვს მე-12 საუკუნის დამდეგის ერთი საყურადღებო ცნობა, რომელიც საშულებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, თუ რაოდენ ს მაღლეზე იდგა მაშინ ქართული მუსიკის განვითარება ან დარტების შემოწმებულნი დარჩნილან, უნდა იძილისში ჩამოვიყენოთ და ჩავტეროთ. თუ ჩვენ ამას დროზე არ ჩავიწერთ, მთელ ამ სამუშაოს ეხლავე არ გაეწევთ, მაშინ ჩვენ საგალობო ნიშნების გამორკვევაზე სამუდაბდე უნდა იმედი გადავიწყვიტოთ.



ଓଡ଼ିଆରେ ଲାଗୁ ହୋଇଥାଏଇଲା ମହାତ୍ମାଗାନ୍ଧିଙ୍କ ଜୀବନର ଏକ ଅଭିନନ୍ଦିତ ଚିତ୍ର
ମହାତ୍ମାଗାନ୍ଧିଙ୍କ ମୃଦୁତବ୍ୟର
ପାଦପତ୍ର ଓ ପାଦପତ୍ରର ପାଦପତ୍ର

დებისა ხელყოფად გვიბრძანა“-ო, ე. ი. ერთ პირს სა- გალობლების სიტყვების დაწერა ჰქონდა მინდობილი, მე- ორეს-კი ამ ტექსტზე ჰანგი უნდა დაწერა.

აქედან ჩანს, რომ მე-12 საუკუნის დამდეგს და ამაზე აღრეც მუსიკა და სიტყვიერი შემოქმედება საქართ- ველოში განცალკავებული ყოფილა, ორივე შემოქმედების სხვადასხვა დარგები იყო. მაშასადამე ამ დროიდან მო- ყოლებული საქართველოში უკვე კომპოზიტორებიც იყვ- ნენ, რომლების მოვალეობასაც ჰანგის შეთხხვა დაწერა შეადგენდა. ცხადია, რომ თავიანთი თხზულება მათ უნ- და ნიშნების საშუალებით დაწერათ, ამიტომაც უკველია საქართველოს თეორიული მოძღვრებაც უნდა ყოფილიყო, როგორც მუსიკისა ისე ნიშნების შესახებაც. ამგვარად სრულებით ცხადია, თუ რამდენად უსაფუძვლოა იმ პირ- თა მოსაზრება, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ თუმცა ქართულ მუსიკას თავისებურება ჰქონდა (აქვს), მაგრამ თავისი სისტემა მაინც არ შეუმუშავებიათ. თავისი მო- ძღვრება რომ არ ჰქონდა, მუსიკის შემოქმედება შეუძლე- ბელია ძეელ საქათველოშივე დამოუკიდებელ დარგად ქცეულიყო.

შეიძლებოდა ამით დაგვემთავრებია საუბარი, რომ კიდევ ერთი საკითხი არ გვქონდეს განსახილველი.

ქართული მუსიკის განვითარება ასაკითველია არც მე-12 საუკუნით დამთავრებულა. მას თავისი ისტო- რია ჰქონდა შემდგებიც. ამის შესწავლისათვის მუშაობა არის საჭირო. ამისათვის საჭირო არის სპეციალური მომზადება. ჩვენმა მუსიკოსებმა უნდა შეიგნონ, რომ მარ- ტო მუსიკის ცოდნით ასეთს საკითხს ვერ გადასწყვეტენ. ამისათვის ორმაგი ცოდნა არის საჭირო, უნდა ისტორი- კოსიც და მუსიკოსიც იყო. საკმარისი არ არის, მარტო მუსიკოსი იყო, მუსიკოსი ისტორიკოსიც უნდა იყოს. მრავალი გამოკვლევები არის დაწერილი და დაბეჭდილი, რომლებიც ჩვენში სრულებით უცნობია და რომლების

ანგარიშ·გაუწევლობა სრულებით შეუწყნარებელი რამ არის.

თუ ისედაც მრავალი მოვალეობით დატვირ- თულმა მაინც ამ საქმეს ხელი მოვკიდე, მხოლოდ იმიტომ, რომ გამეცეთებია ის, რის გაკეთებაც შემეძლო ამჟამად, ვითარცა ისტორიკოსს და ვითარცა მუსიკის მოყვარულს, რომელმაც ძველი წყაროებიცა და უცხო ენებიც იცის და რომელსაც ამ უცხო ენებზე დაწერილ გამოკვლევების წაკითხვა შეუძლიან. მომავლისათვის ამ დარგის მკვლე- ვარნი უნდა საგანგებოდ მომზადონ. მხოლოდ იმ შემთ- ხვევაში, თუ ჩვენი მუსიკოსები ამ საქმეს სერიოზულად მოჰკიდებენ ხელს, შესაძლებელია, რომ რაიმე გამოვიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზოგადს დასაბუთებულს, თუ დაუსაბუთებელს მოსაზრებებს გარდა, ვერაფერს გავა- კეთებთ.

დასასრულს მინდოდა კიდევ ერთ საკითხსაც შევხე- ბოდი. მარტო მრავალხმიანობა ხომ არ არის საინტე- სო, არამედ თითონ მუსიკის წარმოშობის საკითხიც. რო- გორ არის იგი გაჩენილი? ეს მართლაც საყურადღებო სა- კითხია. ამაზე სხადასხვა თეორიები არსებობს. ქართული მუსიკის, უმთავრესად საკრავების შესწავლის საშუალე- ბითაც ცდილობენ ამ საკითხის გამოკვლევას. ვფიქრობ, რომ ამ საკითხზე მსჯელობის დროს უპირველესად ძეელი ქართული წყაროები უნდა იყოს გათვალისწინებული: ძეელი ქართული ტერმინოლოგიის ცოდნის გარეშეც ამ საქმის გაკეთება შეუძლებელია. გალობა და სიმღერა რომ სხვადასხვა ცნებას წარმოადგენდა ძეელად, ამაზე ჩვენ უკვე დაგრწმუნდით. ძეელად მარტო გალობა იყო, მღე- რა-კი სხვას, თამაშსა ნიშავდა. სიმღერა მხოლოდ შემდეგ- ში იქცა გალობის სინონიმად, მაგრამ ადამიანი რომ ჩა- უკვირდეს სიტყვა სიმღერას, მას გაუადვილდება იმის გადაწყვეტა, თუ საიდან უნდა იყოს წარმომდგარი ქარ- თული მუსიკა.



მეგრულ ხალხურ მომღერალთა გუნდი
რევა შეღების ხელმძღვანელობით

რა წარმოადგენს ხმიერი მუსიკის საფუძველს? „სიმღერა“ მღერისათვის განკუთვნილობას გამოჰქატავს, მღერა თამაშობას ნიშნავდა. მაშასადამე თავდაპირველად ქართული მუსიკა ცეკვასთან და თამაშობასთან ყოფილა განუყრელად დაკავშირებული. ის აქედან მომდინარეობს, ამგვარად არის იგი გაჩენილი. შემდეგ ის თავის პირველ წყაროს დაპორეგბით და დაპორეგბელ დარგად ქცეულა.

ეხლა რომ საკრავიერი მუსიკის წარმოშობას და პირველად სახეს შევეხოთ, ამის მასაგნებად უპირველესად უნდა იმას ჩაუკირდეთ და ვიცოდეთ, როს აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო თავდაპირველად „საკრავი“. ცხადია, რომ საკრავი ისეთი რამ უნდა ყოფილიყო, რისთვისაც უნდა დაეკრა ადამიანს, რომ აეხმაურებინა. მაშასადამე ცხადია, რომ თავდაპირველად იგი იმებიანი არ უნდა ყოფილიყო, არამედ უეჭველია დასაკრავი. ამაზე მეტის თქმა შეიძლება. ჩვენ შეგვიძლიან გამოგარკვიოთ კიდევაც, თუ რა ნივთიერებისაგან უნდა ყოფილიყო ეს საკრავი. მიაქციეთ ყურადღება იმ შეუსაბამობას, რომელსაც ყოველდღიურ სატბრის დროს ჩვენ სრულებით ვერ ვაჩჩნეთ, მაგალითად: „ფანჯური დაუკრაო“ „ფანდურს უკრავსო“, ფანდურს დაკრით-კი არა, არამედ მოზიდვით აახმაურებენ ხოლმე. ამას კიდევ შეიძლება ადამიანი ასეთუისე შეურიგდეს, მაგრამ გამონათქვამს „სალამური დაუკრაო“ კაცი რომ ჩაუკვირდეს, დარწმუნდება, რომ ეს სრულებით შეუსაბამო რამ არის, რადგან მის აახმაურებლად ჩაბერვაა მხოლოდ საჭირო. ცხადია, რომ ყველა ისეთი გამონათქვამები იმ უუძველესი ვითარების ანარეკლს წარმოადგენენ, როდესაც მუსიკალური იარაღის აახმაურებისათვის მხოლოდ დარტყმა, რისმე დაკვრა იყო საჭირო.

ამ გარემოების გათვალისწინების შემდგომ, ბუნებრივად იბადება საკითხი, რატომ ეწოდება სიმს ძველ ქართულში ძალი, რას ნიშნავს ეს ძალი? რაკი დასაკრავი

ყოფილა ის იარაღი, რომელიც ხმის გამომღები იყო, უნებლიერ შეიძლება მოაგონდეს ადამიანს სიტყვა „ძელი“, რომელიც ხეს ნიშნავს. მეგრულად ამის შესატყვისი არის „ჯა“ (მრავლობით რიცხვში ჯალეფი). შილი სრული ფორმა უფველია ჯალი ანუ ძალი იყო. ასეთი საკრავები ველურ ხალხთა შორის, ზოგან ეხლაც-კი არის, შერჩენილი. ასეთ საკრავებს ბერძნულ სახელს ქვილოფონს უწოდებენ. „ქსილოს“ ბერძნულად ხეს ნიშნავს, ხოლო „ფონე“ ხმას. ქსილოფონის შეგავსი უნდა ყოფილიყო ქართულ მუსიკის პრეისტორიული ხანის ის საკრავიც, რომლისაგანაც შემდეგ თანდათანობით განვითარების წყალობით გაჩნდა ძალებიანი და სიმღბიანი საკრავი.

ამგვარად შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ჩვენი ქართული მუსიკის თანდათანი განვითარების საფეხურები, როგორც ხვიერს, ისევე საკრავიერს მუსიკაში.

მინდა ჩვენს მუსიკოსებს კვლავ მოწოდებით მივმართო. ეს ამ-იცანები საინტერესო საგანია. თუ უცხოელებს აინტერესებთ, ვფიქრობ, რომ ქართველებს ეს საკითხი უფრო მეტად უნდა აინტერესებდეთ, მათ მოვალეობას უნდა შეადგინდეს, რომ ამ სავანს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ და ყველაფერი, რაც ხალხში დაცული არის და რის შეგროვებაც ჯერჯერობით შესაძლებელია, მალე შეაგროვონ.

კულტურა სიონს ხალხურ სტრუქტურ შემოქმედებას და ხალხურ სტრუქტურ შემოქმედებასთან ერთად შესაძლებელია გაქრეს ბევრი რამ ისეთიც, რაც პრიმიტიულად ეჩვენება ადამიანს და რაც არც არის საჭირო, რომ შეგვრჩეს სამუდამოდ, მაგრამ, რაც უმჭველად დროულად უნდა აღბეჭდილი და დაცული იყოს იმისთვის, რომ ამის მახედვით ქართული მუსიკის განვითარების შესწავლა და ყველა საფეხურების გამორკვევა-აღდგენა შესაძლებელი გახდეს.



მუსიკალური კომედის თეატრის მუსიკის არტისტები. ა. ჭიათურავისა და დ. ძირიაძის ხელმძღვანელობით
თეატრის გასტროლები დასავლეთ საქართველოში

ქართული თეატრის დაარსების თარიღისათვის *

1

თეატრი მეტად რთული კულტურული ორგანიზაციაა და მის არსებობას ხალხთა ცხოვრებაში აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა. შესაფერ სიმაღლეზე დაყენებული სათეატრო ხელოვნება ერთი უტყუარი და უმთავრესი საზომია, იმისა, თუ ხალხის გონიერივად განვითარების დონე რა სიმაღლეზე სდგას.

სათეატრო ხელოვნებას ჩვენში ფართო ასპარეზი აქვს გაშლილი და იგი განვითარების ისეთ სიმაღლემდე მივიდა, რომ თამამად შეგვიძლია ჩვენი თეატრი დაუპირისპირობით იმ ხალხთა თეატრებს, რომელთა სიღიადე დღემდე ყველასათვის სახარპილო და სანუკეარია.

როდის დაარსდა ქართული თეატრი, განვითარების, როგორი ეტაპები გაიარა და რა პერტუზბაციები განიცადა მან? ყველაფერი ეს ჯერჯერობით თითქმის ბუნდოვანია და ზოგიერთ შემთხვევაში ისტორიის ბურუსითაც კი არის მოცული.


ჩვენ გვინდა სწორედ ამ კითხვებზე გავცეთ პასუხი იმ ისტორიული საბუთების მიხედვით, რომელიც მოგვიპოვება.

2

ქართული საზოგადოება და სხვებიც, ვისაც კი აინტერესება ჩვენი თეატრის თავგადასავალი თითქმის 60 წელზე მეტი იკვებებოდა იმ აზრით, რომ ქართული თეატრი დაარსდა გ. ერისთავის მეთაურობით გასული საუკუნის ორმოცდათიან წლებში და მისი დაარსების თარიღია 1850 წლის „2 იანვარი“, როდესაც ტფილისის ვაჟთა გიმაზის დარბაზში პირველად წარმოადგინეს გ. ერისთავის სამ მოქმედებიანი კომედია „გაყრა“. სწორედ ამ დროიდან გ. ერისთავის ეწოდა პირველი ქართველი დრამატურგი. იმ მაშინდელმა მთავარ-მართებელმა მიხეილ ვორონცოვმა მას მიანიჭა ქართველების მოლიერის ტიტული და კომედია — „გაყრა“ მოინათლა პირველ ქართულ დრამატულ ნაწარმოებათ... ასე ის აზრი საზოგადოებაში დიდხანს ტრიალებდა და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს პრესაში გამოჩნდა ცნობები მეოვრამეტე საუკუნის თეატრის შესახებ, მაინც გ. ერისთავი ითვლებოდა ქართული თეატრის დამაარსებლად.

1900 წლ. 2 იანვარს ქართული თეატრის დაარსების 50 წლის თავის იუბილეც კი გადიხადეს... მაგრამ სიმართლემ თავი ვერ დაიმალა: ისტორიკოს ბერძნოვის ცნობებს მეთვრამეტე საუკუნის ქართული თეატრის ბილეთის შესახებ („შაური ორი-გაბრიელ მაიორი“) დამატა ალ. ორბელიანის და სხვათა ცნობებიც, რომელმაც ძალზე შეარყია საზოგადოებრივი აზრი ქართული თეატრის დაარსების თარიღის შესახებ, ამ მასალების ძიებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის აწ განსვენებულ ზაქარია ჭიჭინაძეს, მან პირველმა დააგროვა ყველა მოფანტული ცნობა და გამოაქვეყნა შურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“ 1911 წელს: მაგრამ ამ ცნობებს ჰქონდა ერთი ნაკლი, რაც საერთოდ ახასიათებს ზაქ. ჭიჭინაძის შრომებს: იგი ვერ იყო სისტემაში მოყვანილი, არ იყო დატვირთული საკმაოდ დამამტკიციურებელი თუ დამაჯერებელი საბუთებით, რის გამოც ყველაში იწვევდა ეჭვს.

მიუხედავად ამისა ზაქ. ჭიჭინაძეს მაინც დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ საქმეში, მან დაურიდებლად შეარყია ტრადიციული, საზოგადოებრივი აზრი ქართული თეატრის დაარსების შესახებ და ეს თარიღი გადაისროლა მეოვრამეტე საუკუნეში — ერეკლე მეფის ეპოქაში. ამ გარემობამ ჩვენი მოღვაწეები ჩააფიქრა, მათ აქეთეკნ გაამახვილეს ყურადღება, ხოლო 1921—1922 წლებიდან კი მოელმა რიგმა მკვლევარებმა დაამტკიცეს, რომ ქართული თეატრი, მართლაც არსებობდა XVIII საუკუნის მეორე-ნახევარში (მიხ. აბრამიშვილი, გ. ლეონიძე, და პროფ. კეკილიძე) ებლა უკვე ურყევი კეშმარიტებაა: ერეკლეს დროს ტფილისში ჩვენ გვერდა სათეატრო შენობა, აქ იმართებოდა ქართული წარმოდგენები, გვყავდა ქართველი მსახიობები, იყვნენ ქართველი დრამატურგები, რომლებიც სწერდნენ ორიგინალურ დრამატიულ ნაწერებს, სთარგმნიდნენ პილებს ქართულს ენაზე და სხვა. ამ რიგად პირველი ქართველი დრამატურგი გ. ერისთავი კი არ იყო, არამედ გიორგი ავალიშვილი, რომელიც გარდა იმისა, რომ სწერდა ორიგინალურ პილებს, აგრეთვე პილებს სთარგმნიდა უცხო ენიდან (სუმაროკვის პილები), პირველი ქართული ორიგინალური პილები „გაყრა“ კი არ იყო, არამედ გ. ავალიშვილის — „მეფე თეიმურაზი“, პირველი რეჟისორი გ. ერისთავი კი არ იყო, არამედ გაბრიელ მაიორი და იგივე გიორგი ავალიშვილი და ასე ამ რიგად.., აღმოჩნდა უფრო მეტრა ქართველი მსახიობები მარტო სათეატრო მოღვაწეები კი რ იყვნენ, არამედ ამავე დროს ისინი იყვნენ უშიშარი ერმორებიც.. და როდესაც 1795 წელს ირანის შაპა ყაჯარი აღმატებანი ტფილის შემოხეია ასაოხრებლად ქართველმა მსახიობმა ვინმე მაჩაბელმა შე-



სახალხო არტ. ალ. იმედაშვილი

* კამათის წესით. რედ.

საქართველოს პირ-სტუდიის ფილმები




შეტცია ურუბეგი



ვიქტორია პატაშვილი




თამარ გასკრება




გოგი ჭირილაშვილი



როდამ ამირჯიშიძე



გოგი ჯალაზონიძე



დავით შრევაგიძე



ალექსანდრე თავთარიძე



არცომ საკანიანი

ადგინა შახიობთა რაზმი და სხვა მოქალაქეებთან ერთად წავიდა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად... რაზმს თვით მაჩაბელი მიუძლოდა სიმჟრითა და საკრავით (იხ. პროფ. ჩუბინიშვილის ქრესტომატია 179—181 გვ.) ამ რიგად სენებულ ეპოქაში ქართული თეატრი არსებობდა და იგი ვითარდებოდა თავის საკუთარი საშუალებებით, ხოლო მისი სასიცოცხლო მაჯის ცემა შესწყდა 1795 წლიდან, როდესაც ტფილისი ააოხრა ირანის სასტიქა მბრძანებელმა. მთელი 55 წელიწადი ქართული თეატრალური ცხოვრება ჩამქვდარი იყო და თუ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში რაიმე ქართული წარმოდგენა დაიდგებოდა ან ქართულს ენაზე რაიმე პიესა გამოქვეყნდებოდა ეს იყო სტიმული იმისა, რომ ქართველ საზოგადოებას ელვიძებოდა სურვილი კვლავ აღდგინა ქართული თეატრი... ამ ნაირად დღეს ცველასათვის უდავოა, რომ ქართული თეატრი არსებობდა მეთვრამეტე საუკუნის მეოთხმოცდახუთმეტიან წლებში და 1850 წელი კი არ არის ქართული თეატრის დაარსების ხანა, არამედ იგი არის ქართული თეატრის აღდგენის ხანა, ანუ 1850 წელი გ. ერისთავი არის არა დამაარსებელი ქართული თეატრისა, არამედ აღმდგენელი.

ესეც არ კმარა: ჩვენ ეს თარიღიც არ გვაკმაყოფილებს. ქართული თეატრის შესახებ ზოგიერთი ცნობა ჩვენ მეტვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდანაც მოგვეპოვება. პირველად მას არჩილ მეფის ნაწერებში ვხდებით 1681 წელს. სახელდობრ მის ნაწარმოებში, რომელსაც ეწოდება: „გაბაასება მეფის თეიმურაზისა და რუსთაველისა“ (ანთოლოგია. ტომი მეორე 1928 წლ. გვ. 97) და თვით ეს ნაწარმოებიც პიესის — დიალოგიური ფორმით არის დაწერილი, ამას გარდა ამავე საუკუნეში თეატრის შესახებ ცნობებს გვაწვდის თავის ლექსიკონში საბა სულხან ორბერიანი... მაგრამ შეგვიძლია თეატრის შესახებ ცნობები უფრო შორეულ ხანაში, სახელდობრ მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში, დავით ალმაშენებლის შეფობის დროს ვეძიოთ. ყველაფერი ეს საფიქრებელია და აი რა მოსაზრებით:

ჭიათურის სახთეატრი



„ოტელი“. ოტელო — რესპ. სახ. არტ. ა. ამედაშვილი

ა) თეატრს ჩვენში დავით ალმაშენებლის დროს იცნობენ. მეფე დავითი, რომელიც იმ ხანად ითვლებოდა დიდ მწიგნობრად და მწერლობაშიც ღებულობდა მონა-წილებას პირველი იხსნიებს თეატრს, მის თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „გალობანი სინანულისანი“, ის, შერვე გალობა — ძილის პირში, მიმართავს რა იესო ნაზარეველის დედას მარიამს, სხვათა შორის ამბობს:

„საკუთრად ღვთის შშობლად გეადაგებთ უხ-რწნელო ქალწულო და გვწამს ვითარმედ პატივი ხატისა შენისა, შენდამი წიაღმავალს ღვთის მეტ-ყველებრ და ცოდვილთა მოკეცვასა ინიშებს მის მიერ ვითარცა თეატრო იგი მრჩობლთა“ და სხვა. (ანთოლოგია. წიგნი პირვ. გვ.—23).

ეს ამონაწერი თანამედროვე ენით, რომ გამოვსთქვათ შემდეგს მივიღებთ: დავითი მიმართავს რა იესო ქრისტეს დედას მარიამს ეუბნება: შენ გვწამხარ, როგორც ღვთის მშობელი უხრწნელო ქალწულო და გვრწამს შენი ხატის სიძლიერე, ვინც შენს წინაშე სალოცავად მიდის და შას მიმართავს ვედრებით, იგი მათხე აშკარა გავლენას ახდენს ისე, როგორც აშკარა გავლენას ახდენს თეატრი ორ ადამიანთა.

თუ ამ ამონაწერს ჩაუკვირდებით და კრიტიკულის თვალით განვცვრიტავთ, ბევრს საგულისხმო ცნობებს ამოვიკითხავთ:

1.—იგი გვაცნობს, რომ დავით ალმაშენებლის დროინდელი ქართველობა თეატრს იცნობდა და მას სახელად უწოდებდა — თეატროს.

2.—იმ დროინდელ საზოგადოებას თეატრის მნიშვნელობაზე ჰქონდა განსაზღვრული აზრიც: დავითი, თვითმეტყრობელი მეფე, მწიგნობარი მწერალი და განუხრელი შართლმადიდებელი ქრისტიანი მას უტილიტარულის თვალთაზრისით უცქეროდა და „თეატრო“ მიაჩნდა ისეთ დაწესებულებად, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანზე, რასაც ადასტურებს ზემოდ მოყვანილი ამონაწერის ბოლო. სადაც ნათქვამია: ცოდვილთა მოქცევასა ინიშებს, ვითარცა თეატრო იგი მრჩობლთა... და თუ იმ ხანად უაღრესი აფტორიტეტი — მეფე თეატრზე ასეთი აზრის იყო, ცხადია სხვებიც ე. ი. იმ დროინდელი ქართველი კულტურული საზოგადოებაც ასეთივე შეხედულების იქნებოდა მასზე.


3.—თეატრი იყო მრჩობლთა ე. ი. იყო ორი ადამიანისა (საბა სულხან ორბელიანის განმარტებით მრჩობლი მიშნავს ორს. ლექს. გვ. 201), ცხადია აქ იგულისხმება ის ამბავი, რომ თეატრში მონაწილეობას ღებულობდა მხოლოდ ორი მსახიობი, რატომ მაინცა და მაინც მრჩობლთა თეატრს იჩსენებს დავითი და არც მეტს, არც ნაკლებს? ამის ახსნა არც ისე ძნელია, თუ საერთოდ თეატრის ისტორიას გადავათვალიერებთ: ძველი საბერძნეთის თეატრში ჩვენ პირველად ვხედავთ სცენაზე ერთს მსახიობს, რომელიც ყველა როლებს ასრულებს, შემდეგ ორს, ბოლოს კი საში. სამი მსახიობი საბერძნეთის სცენაზე უკვე უდიდესი მიღწევა იყო. სამი მსახიობი ურთიერთ შორის ინაწილებდნენ ყველა როლს და თითო მათგანი ასრულებდა რამდენიმეს. სჩანს დავით ალმაშენებელის დროინდელ ქართულს თეატრს ჰქონია ასეთივე მიღწევაც: იქ წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობდა

ორი მსახიობი და ამიტომაც მას ერქვა თეატრო მრჩობლითა.

4. თუ დავით მეფის დროს არსებობდა თეატრო მრჩობლითა, ცხადია ქართულს თეატრს პექნდა და გაუვლია ისეთი ხანა, როდესაც სცენაზე სჩანდა შხოლოდ ერთი მსახიობი, როგორც ძველად იყო საბერძნეთში.

ბ) დავითისავე ხანაში ძლიერ გავრცელებული ყოფილი ჩვენში სანახობა—სახიობა, რის შესახებაც ცნობებს გვაწვდის ჩვენი მატიანე—„ქართლის ცხოვრება“, მაგრამ სანამ ამაზედ ვილაპარაკებდეთ, გავრკვიოთ რა არის თვით სახიობა.

საბა სულხან ორბელიანის განმარტებით „სახიობა—ეს არს მუსიკი მწყობრი და საკრავნი და ხმოვანება ტებილი თუ სიმღერა“ (საბა სულხან ორბელიანი ლექსიკონი გვ. 274), ხოლო სახიობა ძველად ეწყობოდა როკვით ე. ი. ცეკვით. სახიობას ასეთი ვაგებით თუ განვიხილავთ იგი ყოფილა, რაღაც ოპერის მსგავსი სანახობა, რომელთანაც შეერთებულია მუსიკალურ საკრავებზე დამღერება და ცეკვა. თუ სახიობას გავიგებთ საბა სულხანის განმარტებით ის მოგვაგონებს საშუალო საუკუნოების ევროპაში მოხეტიალე არტისტების მენესტროლების და ინსტრუმენტალისტების წარმოდგე-



ბალეტი. „ეგვიპტის დამეები“—მსახ. ვ. ჭაბუქიანი

ნას, რომელიც პირველ ხანებში ატარებდა სახუმარო ხასიათს. თამაში იყო ალეგორიული, რომელთაგან შემდეგ წარმოიშვა ფარსი, Comedia de l'arte და სხვა... ჩვენი სახიობაც ასეთ სანახაობად უნდა იქნეს მიჩნეული.

სახიობა ისტორიულ წყაროების მიხედვით პირველად დავით აღმაშენებლის დროსვე გვხვდება. ამ ხანად თურმე ძლიერ ეტანებოდნენ დროს ტარებას, „საეშმაკო“ სიმღერებს და სახიობას. ამ საქმით განსაკუთრებით გატაცებული ყოფილა იმ დროინდელი მხედრობა, რამაც ჯარში დისკიპლინა შეარყია. დავით მეფე იძულებული შეიქნა ამ გარემოებისათვის მიეცია ყურადღება და მიელო შესაფერი ზომები. მან მართლაც გამოსცა სკეციალური ბრძანება, რომლითაც მხედრობაში აკრძალა სახიობა და სხ. და ისეთი წესით ლაშეარში დაამყარა დისკიპლინა. ეხლა მოვუსმინოთ ამის შესახებ თვით მატიანეს:

„კვალად და მარხვისათვის სადღა სახმარ არს თქმად, რომელსა იგი სახმარ ოდენ იყო და კვალად მონასტერნი და საეპისკოპოსონი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოველსა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიღლებდინა, ვითარცა კანონსა მშვენიერსა, ყოვლად უცდლმელსა და დაწყობილსა კეთილ წესიერებისა ლოცვისა და მარხეისასა. რომეთუ საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება ლეთისა განმარისხებელი და ყოველ უწესობება მოსპობილ იყო ლაშეართა შინა მისთა. (ქართლ. ცხოვრება ზ. ჭიჭრაძის გამოცემა გვ. 372).

რა ელემენტი შეიქრა სახიობაში ისეთი, რომ დავით მეფე იძულებული შეიქნა განსაკუთრებული ბრძანება გამოეცა და ცეკრძალა ის. ეს ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთი კი აშეარაა: მას წარმოდგენების გავლენა მაყურებელზე სჯეროდა და ამიტომაც რაღაც მოსაზრებით სახიობა აკრძალა.

გ) დავით აღმაშენებლის დროს ჩვენში დიალოგიური ფორმით წერაც იცოდნენ.

კირიონი ეპისკოპოსი გადმოგვცეს, რომ იმ ხანად ბერძნულიდან ქართულს ენაზე უკვე იყო თარგმნილი სალგოისმეტყველო წიგნი პაპის გიორგი დიდისა დიონონი. (Кирион. Культурная роль Иверии в истории Руси. Гв. 24, 25). უკვევლია ამას გარდა სხვა ნაწარმოებიც იქნებოდა ნათარგმნი დიალოგიური ფორმით, რადგან ასეთი ფორმა განსაკუთრებით საბერძნებიში და რომშიც ძლიერ იყო გავრცელებული და გარდა პიესებისა, მეცნიერული და ფილოსოფიური ტრაქტატებიც კი იწერებოდა დიალოგიურად. ქრისტიანული რელიგიის საშეალებით ბერძნების და რომის კულტურასთან დახლოება ქართველობას ეჭვს გარეშეა ასეთი ფორმით წერასაც შეაჩვევდა.

როგორი იქნებოდა იმ დროინდელი ქართული პიესები თავისი კონსტრუქციით? ამაზე პასუხის გაცემა არ არის ძნელი: იგი იქნებოდა ძლიერ მარტივი, მოკლებული დრამატიულ ხლართებს, კოლიზიებს, მოქმედებას და სხვა. იგი იქნებოდა ორ მომექმედ პირთა შორის მუსაციფი რაიმე თემაზე, ანუ თანამედროვე თეატრალური თერმინოლოგით რომ ესთეტა—იქნებოდა—დიალოგი... ამის საბუთს გვაძლევს შემდეგი მოსაზრება: ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში—მეოთხმოცდაათიან წლებში, როდენაც ორიგინალური ქართული პიესა დასწერა სათეატრო



ସାହାଲ୍‌ବତୀଳ ପ୍ରତିଷ୍ଠାନ ଏକାଧିକାରୀ
୩୧୮୩୧୯୮୫ ଜାନୁଆରୀ

ხელოვნების ისეთმა მცოდნე კაცმა, როგორიც იყო გ. ავალიშვილი, ამ პრიმიტიულობას ვერ გასცილდა მისი პიესა „უბნობა შევდართა“, რაც წარმოადგენს უბრალო დიალოგებს, და მოკლებულია ყველა იმ თვისებებს, რითაც საერთოდ ხასიათდება, როგორც ანტიური ქვეყნების პიესები, ისე თანამედროვე დრამატიული ნაწარმოებიც... თუ ასე იყო ჰეთვრამეტე საუკუნის მიწურულში, ცხადია დავით ალმაშენებლის დროინდელი ქართული პიესებიც ასეთივე ფორმათ იქნებოდა შედგენილი. ეგ პიესები იქნებოდა შედგენილი „მრჩმბლთათვის“ ე. ი. ორი მომქმედი პირისათვის. ასეთ თვალთსაზრისხე თუ დავდგებით, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ისეთმა ნაწარმოებმა, რომელიც ატარებს პრიმიტიული ფორმით დაწერილ პიესის ჩანასახს, ან და უკეთესი იქნება, რომ ვსრულავთ, რომელიც თავის კონსტრუქციით ჰგავს პიესას ჩვენამდეც მოაღწია. ეს გახლავთ წიგნი: სიბრძნე ბალავარისა.

აღნიშნული წიგნი, როგორც ამტკიცებენ მეცნიერები: აკადემიკოსი ნ. მარი და პროფ. გარონ-როჭენი უკვე იყო გადმოკეთებული სახით ქართულს ენაზე მე-11 საუკუნეში. ქართულ ენიდან კი გადაკეთებულის სახით ითარგმნა ბერძნულს ენაზე და შემდეგ აქედან სხვა ენგზე. („სიბრძნე ბალავარისა“ ექვ. თაყაიშვილის გამოცემა გვ. 134—157).

„სიბრძნე ბალავარის“ დედა აზრი ჩვენში შემოტანილია ინდოეთიდან და შემდეგ დაწერილია ქართულს ენაზე, ქართულის იერით და ქრისტიანული რელიგიის მოთხოვნილებებთან შეტარდებით.

აღნიშნული ნაწარმოები აგებულია შემდეგ შინაარსზე: ინდოეთის ერთ-ერთ წარმართ მეფეს სახელად იბა-5 იეს, დიდი ხნის ნატვრ-ს შემდეგ შეიცა მემკვიდრე—ვაჟი, რომელსაც სახელად დაარქვა იოდასაფა უწინასწარმეტყველებს ბრწყინვალე მომავალი, მხოლოდ ერთხა მათგანმა ყველაზე უფრო მეცნიერმა დაუმატა, როცა იოდასაფი მეფედ გახდება სარწმუნოებას გამოიცვლის და ქრისტიანობას მიიღებსა. ასეთი შინასწარმეტყველებით შეშინებულმა მეფემ—იბანიესმა, ბრძანება გასცა იოდასაფი ცალკე კოშკში მოეთავსებიათ და ისე აღეზარდათ, რომ მას ვერ გაეგო, რა არის ავადმყოფობა, გაჭირვება, სილარიბე, სიკვდილი, სიმახინჯე და სხვ. ისეთი მოვლენები, რომელიც ადამიანის სულიერ განწყობილებაზე მძიმე შთანხეჭდილებას სტოკებს, აგრედე უნდა ჩაენერგათ მისავის მტკიცედ წარმართული სარწმუნოება.., ამავე დღის მან სახელმწიფოს საზღვრებიდან, განდევნა ყველა ქრისტიანები, მის კარისკაცთა შორის იყო ერთი ფარული ქრისტიანი სახელად ბალავარ, რომელიც დარჩა მეფის კარზე. იგი ფრიად ჭევიანი და მეფისაგან დიდათ მიღებული იყო. მეფე იბანიესმა გაიგო მისი ქრისტიანობის ამბავი და წინადადება მისცა კვლავ დაბრუნებიდან წარმართობას, მაგრამ ამაზე ბალავარმა უარით უპასუხა, რის გამოც მეფემ იგი სახელმწიფოს საზღვრებიდან გააძევა. შემდეგ ამისა ბალავარი უახლოვდება სხვა და სხვა საშუალებებით კოშკში მომწყედეულ მეფის წულს იოდასაფს. მას მოაქცევს ქრისტეს სარწმუნოებაზე და აგრედე აუქანის ცხოვრების ყველა იმ საიდუმლოებებს, რომლებსაც მას მანამდე უმაღლედენ...

აი ავ შინაარსზე არის აგებული მთელი ნაწარმოები. მისი ქართული ვერსია დაყოფილია რვა თხრობად და ყველა ეგ თხრობები თითქმის უმეტესად ჩამოყალიბე-

ბულია დრალოგიურ ფორმებში. თხრობაში მონაწილეობას ღებულობენ სხვა და სხვა ადგილის სხვა და სხვა პირები: მეფე, ბალავარი, იოდასაფი, მისი გამზრდელი ზანდანი და სხვ. საილიუსტრაციოდ მოვიყვანთ თხრობის რამდენიმე ნიმუშს:

თხრობა მთხვეს:

ჰრევა მეფე მან:—არამედ ვინ კაცი ადგილსა მას, ანუ შესვლად მუნ შემძლებელ არს?

ჰრევა თანამზრა ხახველ მან:—არვისთვის დახულ არს კარი იგი ვისაცა ენებოს.

ჰრევა მეფე მან:— რა არის გზა იგი მითხარი. ჰრევა მას:—მსახურება ღვთისა მხოლოსა, რომელმან დაბადა ყოველნი დაბადებულნი.

ჰრევა მეფე მან:—და რა გაყოვნებდა აქამოდე თხრობად ჩემდა იგი გზა. ჰრევა თანამზრა ხახველ მან:—ზარი მეფობისა შენისა.

ჰრევა მეფე მან:—უკეთუ საქმე ეგი ესრე არს რათა უდებ ვიქმნეთ და ხელყორი მას და სხვა.

თხრობა მთხვე.

ჰრევა იოდასაფ:—ვინა არს სამოსელი თქვენი?

ხოლო მან რკევა: (ბალავარ:) სამოსელი ჩუენი დყელი დაბებული, ნაევთა შინა შეკრებული.

ჰრევა იოდასაფ:—მიიღე სამოსელი მოყუასთა შენთათვის.

ჰრევა ბალავარ:—არავინ ჩვენგანი დაიუნჯებს სამოსელსა, რამეთუ ერთი იგი მოსიეს, რომელითა დაიყარას უძლურებასა ერთობასა, და რომელი მოელოდეს მწუხარითობან ვიდრე ცისკრამდე სუველისა, რად უხმს მას ორი სამოსელი ეგე, რომელი შენ გმოსიეს?

ჰრევა იოდასაფ:—და შენ ვით არ გმოსიეს, ეგი ვითარი სამოსელი?

მიუგო ბალავარ:—ესე სამოსელი ახლად შეიმოსე, რათა მოვადე შენდა, რათა არვინ განკროეს სახე-სა სამოსლისა ჩემისასა და სხვ.

სანიმუშოდ ეს ამონაწერებიც საქმაოა. ვიმეორებთ თითქმის ასეთი წესით არის დაწერილი სულ მთლად „სიბრძნე ბალავარისა“ და მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გ. ავალიშვილის მიერ დაწერილი პიესა „უბნობა შევდართა“, როგორც დრამატიული ნაწარმოები თავისი ტექნიკით ამაზე შორს არც კი წასულა. „სიბრძნე ბალავარის“—ეს თხრობანი შოგაგონებენ თანამედროვე პიესს მოქმედებებს და ადვილი შესაძლებელია ძველად პიესები თანამედროვე მოქმედებების, აქტების ნაცვლად დაყოფილი იყო თხრობა ბალავარის ერთი თხრობა უდრიდა თანამედროვე ერთ მოქმედებას (აქტს).

4

ყოველივე ზემოთ თქმულისა და მოყვანილ მასალების შემდეგ შეგვიძლია დაგასცენა:

1. დავით ალმაშენებლის დროს ქართველმა იმ დროინდელმა საზოგადოებამ იცოდა თეატრი, იცოდა მისი რაობა და მას სახელად ეძახდენ თეატროს.

2. თეატრის მნიშვნელობაზე იმ ხანად არსებობდა საზოგადოებრივი აზრი, სწომდათ მისი გავლენა მაყურებელზე და საერთოდ თეატრს უყურებდნენ უტილიტარული თვალთსაზრისით.

3. ჩვენში იმ ხანად იყო, „თეატრო მრჩობლთა“ ანუ ორთა თეატრი, ესე იგი წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობდა ორი მომქმედი პირი.

4. „მრჩობლთა თეატრო“ იპ ხანად საკუთრად ქართული თეატრის დამახასიათებელი თვისება იყო, იგი ამ მხრივ განსხვავდებოდა სხვა ქვეყნის, თუ გინდ თვით ძელი საბერძნეთის თეატრისაგან, სადაც ჩვენ ვხედავთ ორზე მეტს შომქმედ პირს.

5. თუ დავით მეფის დროს არსებობდა „თეატრო მრჩობლთა“, ცხადია ქართულ თეატრს გაუელია თუ ჰქონია ისეთი ხანა, როდესაც სცენაზე თამაშობდა მხოლოდ ერთი შახიობი.

6. დავით მეფის დროს ჩვენში იცოდნენ დიალოგიური ფორმით წერა, ამ სახელწოდებით ჯერ კიდევ მეთერმეტე საუკუნეში იყო ქართულ ენაზე თარგმნილი თხზულებანი.

7. „სიბრძნე ბალავარისა“ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ ნაწარმოებად, რომელიც ატარებს კონსტრუქციის მიხედვით, პიესის ჩანასახს, და საფიქრებელია, რომ ქართული პიესები სხენებულ ეპოქაში იწერებოდა დახლოვებით ასეთი ფორმით.

8. დავით მეფის დროს საქართველოში ძლიერ გავრცელებული იყო საჯარო წარმოდგენა — სახიობა. სახიობა ეწყობოდა საკრავებზე დაკვრით, ზედ დამღერებით და ცეკვით, ამ რიგად სახიობა თავის წიაღში აერთიანებს: საკრავებზე დაკვრას, სიმღერას და ცეკვას (როკვას), რაც მოგვაგონებს, დღევანდელ ოპერის მზგავს გასართობს.

9. იმ ხანად იყვნენ განსაკუთრებული პირები, რომ ლებიც მისდევდნენ სახიობას და აქედან არის წარმომდგარი ახლანდელი სახელწოდება — მსახიობი.

ლენინის ორდენის რუსთაველის თეატრი



„არსენა“. გონვა — ორდენისანი მსახ. მ. აფხაძე

10. დავითის მეფობის დროს სახიობობას ე. ბ. წარმოდგენას (შეიძლება, როგორც მაყურებელი და შეიძლება, როგორც მონაწილეობის მიმღები) ძლიერ ეტანებოდა მხედრობა, ხოლო რაღაც მიზეზით ჰეთემ მათ აუკრძალა ეს გასართობი და ასეთი წესით მან ჯარში აღადგინა დისკიპლინა.

11. ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრება იმ ხანად, ისეთ საფეხურზე იდგა და ისეთი ნაბიჯით მიერანებოდა წინ ბიზანტიასთან დაახლოვების გამო და სხვა პირობების მიხედვით, სრულს შესაძლებლობას ქმნის ვითიქროთ, რომ დავით მეფის დროს დაარსდა ქართული თეატრი და გაჩნდა პირველი ქართული პიესა.

12. პირველი ქართული თეატრის მომწყობი და წარმოდგენების გამპართველი იქნებოდა ბიზანტიიდან დაბრუნებული ნაწილი ახალგაზრდობა.

ყველა ზემოდ მოყვანილი საბუთები და აქედან გამოტანილი დასკვნები ეჭვ მიუტანლად გვეუბნება, რომ ქართული თეატრის დაარსების თარიღი დავით აღმაშენებლის ეპოქაში იმაღება, ვინაიდან იმ ხანად ქართული თეატრი უკვე მოქმედობდა და იგრედვე იმართებოდა საჯარო გასართობი — წარმოდგენები ე. ბ. სახიობა.

5

პირველი ქართული თეატრის დაარსების შესახებ თუ ზემოთ სხენებულ დასკვნებს მიყიღებთ, მაშინ სამი საკითხი წამოიჭრება ჩვენს წინაშე.

1. დაახლოებით რომელ წელში დაარსდებოდა პირველი ქართული მელპომენის ტაძარი?

2. საქართველოს რომელ კუთხეში მოეწყობოდა პირველი ქართული თეატრი?

3. რა ხასიათის იქნებოდა პირველი ქართული წარმოდგენები?

აღნიშნულ საკითხებზე დაახლოებით პასუხის გაცემა არ არის ძნელი, როცა ჩვენ ქართული თეატრის დაარსების ხანად დავით აღმაშენებლის ეპოქას მიეღოდეთ და ჩვენც შევეცდებით კიოხებს სათანადო პასუხი გავცეთ.

ა) თეატრის დაარსების თარიღისათვის. დავითი, პროფ. ჯავახიშვილის დადგნომილი თარიღით, უნდა დაბადებულიყო 1073 წელს, ავიდა ტახტზე 1089 წელს, იმედა 35 წელს და გარდაიცვალა 1125 წელს 24 იანვრს. მაშასადამე ქართული თეატრის დაარსების თარიღიც 1089 — 1125 წლების შეახანში უნდა ვეძიოთ. ეხლა შევეცადოთ თარიღის უფრო დაზუსტებას.

დავით მეფემ მუდმივი ლაშქარი დაარსა, პროფ. ჯავახიშვილისევე დადგნილი თარიღით 1118—1120 წელში, ამ უამად მან 40.000 მხედარი გადმიასახლა ყიფა-ლეთიდან, დააბინავა საქართველოში და აქედან შექმნა მუდმივი ჯარი, მაგრამ სანამ ეგ გადმისახლება მოხდებოდა, მას ადგილობრივ უკვე ყავდა შედგენილი 5.000 ჯარის კაცისაგან შემდგარი მუდმივი მხედრობა ე. წ. „მონა საკა“. ამ რიგად 1120 წელს მანც მას უკვე ყავდა 45.000 ჯარის კაცისაგან შემდგარი მუდმივი არმია. ეხლა დავსეათ საკითხი: რომელ წელში აუკრძალა მან ლაშქარს გასართობი — სახიობა? ცხადია აერძალვა მოხდებოდა სწორედ იმ წლებში, როდესაც მას ასეთი ლაშქარი უკვე ყავდა, ხოლო, როგორც ზემოდ მოყვანილ თარიღიდან სჩანს მუდმივი ჯარის ინსტიტუტი მან შემოილო 1118-

1120 წლებში, ასე რომ სახიობის აკრძალვის შესახებ ბრძანება გმოცემულია არა უაღრეს 1118 წლისა, (თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომ დავით ყივჩალების მოყვანაშედე უკვე ყავდა 5.000 კაცისაგან შემდგარი მონა სპა).

მეორეც, დავთმა თავისი ფსალმუნები, რომელშიც იხსენიებს თეატრს, დასწერა იმ დროს, როდესაც იგი სიჭაბუკეს გადაცილებული იყო, ეს მტკიცდება იქიდან, რომ იქ იხსენებს მის „სიჭაბუკის ცოდვებს“ და გმობს თავის თავს ამ ცოდვების ჩადენისათვის, ხოლო „სიჭაბუკის ცოდვათ“ თუ მივიღებთ იმ ჰიპოთეზას, რომ მან პირველი ცოლი გაუშვა და შეირთო მეორე—ყივჩალების მთავრის ასული, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ამ ფსალმუნებს დასწერდა სწორეთ 1118 წლის შემდეგ, როდესაც შეუ ხანს აღწევდა და ჭაბუკის ჭასას დიდი ხნის გადაცილებული იყო და იგი მართლაც ამ დროს აღწევდა 45-46 წლის ასაკს. ამ რიგად სახიობის აკრძალვა და ფსალმუნების დაწერა, რომელშიც იგი იხსენებს თეატრს უნდა მომხდარიყოს 1118-1120 წლებში. ამ თარიღებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნად, რომ ქართული თეატრი უკვე არსებობდა და საჯარო გასართობები—სახიობა იმართებოდა ჩვენში 1118-1120 წლებში და ქართული თეატრის დაარსების ცოტად თუ ბევრად დაზუსტებულ თარიღიდან ხემოდ ხსენებული ხანა უნდა მივიღოთ.

(ბ) სად იქნებოდა „თეატრი“. ეხლა ისმას საკითხი სად აიგებოდა პირველი ქართული თეატრის შენობა და სად გაიმართებოდა პირველი ქართული წარმოდგენა. თუ ჩვენ ქართული თეატრის დაარსების დაახლოებით თარიღიდან მივიღებთ 1118-1120-იან წლებს, მაშინ ასეთი სურათი გვეშლება წინ: როდესაც დავით გამეფა და საქართველოს დედა ქალაქი ტფილი! ითურქებს ეპყრით ხელთ და რეზიდენცია გადატანილი იყო ქუთაისში... და დავითიც გამეფდა ქუთაისში, მან მთელი მეფობის უმეტესი ნაწილი აქ გაატარა, იგი აქედან ლებულობდა ზომებს საქართველოს გაერთიანებისათვის, საქართველოს გაერთიანების ცენტრიც მაშინ ქუთაისი იყო, რომელსაც ამ საქმეში ძლიერ უწყობდა ხელს გელათი, რომელსაც იმდონდელი მოლვაწენი საქართველოს ათინად და მეორე იერუსალიმად უხმობდნენ. ქუთაისიდან დაიწყო საქართველოს კულტურულად აყვავება და პოლიტიკურად გაძლიერება, დავითმა ქუთაისში ყოფნის დროს დასწესა მუდმივი ლაშქარი, და რადესაც საბოლოოდ მოლონიერდა, მერმე დაიწყო ტფილისეს დაბრუხებისათვის ბრძოლა. 1122 წელს მან ტფილისი დაიბრუნა და იქ კვლავ გადატანილი იქნა რეზიდენცია, ხოლო 1125 წლის 24 იანვარს კი დავითი გარდაიცვალა, ასე რომ ტფილისში მან იმედა რაღაც ორი თუ ორ ნახევარი წელიშადი, ხოლო დანარჩენი ხანა თავის მეფობის 32 წელიშადზე მეტი მან გაატარა ქუთაისში. ყველა თარიღებს თუ გავითვალისწინებთ ქართული თეატრის დაარსების თარიღი 1118-1120 წლები ხვდება, იმ ხანას, როდესაც სატახტო ქალაქად იყო ქუთაისი. აქედან კი დასკვნა:

პირველი ქართული წარმოდგენები იმართებოდა ქუთაისში და იქვე იყო აგებული დავით მეფის მიერ ხსენებული „თეატრო მრჩობლთა“.

გ) როგორი შინაარსის წარმოდგენები იმართებოდა? აქ ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ და მოვიყვანთ ზოგიერთ მოსაზრებებს: პიესები იქნებოდა დაწერილი ძლიერ პრიმიტიულად, დიალოგიურ ფორმებში, მოკლებული ყოველნაირს სირთულეს, როგორც ამაზე ზემოდ გვქონდა ლაპარაკი, უეჭველად სალვოსმეტყველ შინაარსის, მისტერიების მსგავსი. შესაძლებელია ჩვენს სათეატრო ცხოვრებაში ძველი საბერძნების დრამატიული ნაწარმოებებიც შემოიჭრა, მაგრამ ეს ძლიერ საეჭვოა, რადგან ვფიქრობთ ფსალმუნების მწერალი მეფე ამ გარემოებას შეებრძოლებოდა ვინაიდან ამ ნაწერებს წარმართული ელფერი აქვს.

* * *

აი ის ყაველა ფაქტური მასალები და ლოგიკური დასკვნები, რომელიც აშკარად გვეუბნება, რომ ქართული თეატრი არსებობდა მეორამეტე საუკუნეზე უფრო ადრე. მისი დაარსების თარიღი უფრო ჭინადროებში უნდა ვეძიოთ, სახელდობრ მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში. საკითხით დაინტერესებულ ყველა მკვლევართა ყურადღება ამ ხანას უნდა მიექცეს. დაუღალავი, ენერგიული და ხანგრძლივი მუშაობა ისტორიის წყვდიადს გაფარტავს და ურყევად გვეტყვის: ქართული თეატრი დაარსდა მეთორმეტე საუკუნეში, სახელდობროციან წლებში და ქართული წარმოდგენის გამართვაც ამ ხანად დაიწყო.

მეგობრული შარჟი



ნაზ ირაკლი
გროველი
1936 იანვარი

პოეტი ტიციან ტაბიძე

ზღაპარი სცენაზე

მხატვრულად მრავალფეროვანი, მეტად მდიდარი, ლრმა აზრიანი ქართული ფოლკლორი ჯეროვანად ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ხოლო ბავშვებისათვის საჭირო ზღაპრების ნიმუშები ხომ სრულიად არ მოგვეპოება (თუ არ ჩათვლით ნ. ნაკაშიძის, დ. კასრაძის მიერ დამუშავებულ ზღაპრებს).

ზღაპარი — ხალხური შემოქმედება — მდიდარი, რთული და თავისებური მასალა. მას აქვს უაღრესად დიდი დადგებითი და აღმზრდელობათი მხარეები. რომელი მწერალი, გამომგონებელი, დიდი საზოგადო მოღვაწე არ ანიყივრა ზღაპარმა — ხალხურმა შემოქმედება! ხალხური შემოქმედების მკეთრი რიტმი, იშვიათობით შეკრული ფორმა, ლაქონიურობა, ეპიზოდების შესანიშნავი თანმიმდევრობა მუდამ ყოფილა და არის ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანის შემოქმედებისათვის საჭირო და აუცილებელი საფუძველი.

პუშკინს, მისი თქმით, ზღაპრებმა ის მისცა, რაც ფრანგულმა ალზრდამ დააკლო. ბავშვობის დროს ის ზღაპრებით ერთობოდა, ხოლო როცა მიხაილოვში ჩაკეტა მეფემ, პუშკინი იქ დაუკვირდა მის ცოცხალ ენას, სურათოვანობას, ოსტატობას, დაუკვირდა მის აზრს და სიმართლეს. შემდეგ მათ გადამუშავებას შეუდგა, გამოიყენა მხოლოდ ფაბულა, მისცა ლირაკული ელფერი და ბევრ ზღაპარში პოლიტიკური აზრი გაამხვილა მეფის თვითშპრობელობაზე: „ზღაპარი ოქროს მამალზე“.

ჩვენი მწერლებიც ხომ უხვად დაწაფულნი იყვნენ ხალხურ შემოქმედებას, ალ. ყაზბეგის, თ. რაზიკაშვილის, ბაჩანას შემოქმედებას ამის ნიშნები ამჩნევია, ხოლო ვაჟა-ფშაველამ ზღაპრის ლაქონიურობა, ზღაპრის თვისება — ანტროპომორფიზმი უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა. აკაცი წერეთელმა კი ზღაპრის ესათუის გმირი, ესათუის საზოგადოებრივი სიტუაცია, თავისი თანამედროვე მანქირებისათვის გამოიყენა და მწვავე გახადა.

ხოლო ყველა დარგის გამომგონებელს სწორედ ზღაპრის გავლენით განვითარებული ფანტაზია ახასიათებს. გამოყენებითი მექანიკის პროფესორი, მხკოვანი ინუენერი კირპიჩოვი დარწმუნებულია, რომ ზღაპრებით განვითარებული ფანტაზიის გარეშე, ის საინუენერო შემოქმედებას მოკლებული იქნებოდა.

ამრიგად, ყოველი შემოქმედის აღზრდისა, ოცნებისა და ფანტაზიის განვითარების საზრდო იყო ხალხური შემოქმედება, რადგან ზღაპარი არ არის მარტო გასართობი ან შესაშინებელი რამ, მას აქვს ლრმა იდეური შინაარსი. ზღაპარი არის ხალხის ცხოვრების გამოხატულება, მისი აზრი საზოგადოებრივ და ადამიანთა ურთიერთობაზე.

მართალია, ბავშვი კონკრეტული მოაზროვნეა, რეალისტი, რომელიც დადგებისაგან ყოველთვის ზუსტს და ლოგიკურ ასანა-განმარტებას მოითხოვს, მაგრამ თუ დავუკვირდებით ბავშვის ყოველდღიურობას, კამჩნევთ რომ ის ყოველ ნაბიჯზე თავის რეალურ გაჩერის ყოველთვის ჭრელ ფარდაგს აფარებს: თავის თამაშობაში უხვად იყენებს ანტროპომორფულ ზემოქმედას, ერთობა თავის თოჯინებთან ან გადაჯდება ჯოხის ცხენზე, ან დაყირავებულ სკამში ჩაჯდება და ჰგონია ნამდვილი ცხენით ან ავტომობილით მიჰქინის, თითონაც არ იცის საითვენ! ასე რომ ის მდიდარ ფანტასტიკურ ილუზიებს ჰქმნის, რასაც არაფერი საერთო არა აქვს სინამდვილესთან. ნახეთ ჩვენი შესანიშნავი საბავშო მწერლის, შიო მღვიმელის შემოქმედება და ამში დარწმუნდებით!

მაგრამ განა ამით ბავშვს არასწორი წარმოდგენა ექმნება სინამდვილეზე? არა. პირიქით, ეს ამდიდრებს ბავშვის შეგნებას და თავისი მრავალფეროვანებით შველის რეალური ქვეყნიერების ათვისებაში.

ამიტომ აძლევდა ლენინიც უდიდეს მნიშვნელობას ფანტაზიას, ზღაპარს, მის ანტროპომორფულ ზემოქმედებას, და მისი შესანიშნავი თქმა: „ბავშვებს თუ არ გაძლევთ ზღაპრებს ისე რომ მამალი, ქათამი არ ლაპარაკობდეს ადამიანის ენაზე, ისინი არ დაინტერესდებიან“, (ტ. XXIII გვ. 325 რუს. გამოც.), ისე უნდა გივიგოთ რომ ჩვენ უნდა შევძლოთ ბავშვის სპეციფიკური, კონკრეტული აზროვნების მიხვედრა, თუ გვინდა ის ავიყვანოთ შეგნების სიმაღლემდე.

ამრიგად ზღაპარი (ძველი იქნება თუ ახალი), რომელიც გამოხატავს კლასობრივ ბრძოლას, საზოგადოებრივ ურთიერთობას, ხალხის სიბრძნეს, სულისკვეთებას, მისწავლებას, ჯანსაღ პერსპექტივებს, — ბავშვს განუვითარებს ოცნებას, ფანტაზიას და სწრაფვას წინ. ამრიგად

მოზარდ გაუსრულებოდა თავათრი



ფანტასტიკური რეალობა შემოსილი რეალურ ფანტასტიკით,—ი ეს მისცემს საბჭოთა ზღაპარს შესანიშნავ შესაძლებლობას.

ა ამიტომ ვაძლევთ დიდ მნიშვნელობას მ.მ. თეატრის უკანასკნელ პრემიერას: „ნაცარქექია“.

მიუხედავად იმისა, რომ ზღაპარი თითქოს მოსიარულეა, ცვლებადია და ადგილად შემგუებელი ახალ გარემოს, გემოვნებას, სხვადასხვა კუთხეს, მხარეს, ვფიქრობთ, რომ ჩვენი „ნაცარქექია“ მაინც განეცნებულად დგას. მას არაფერი საერთო არა აქვს რესულ „ვილაშაკა“, სთან და არც სომხური „ზარმაცი ხეჩისთან“. ამ პატარა, მოკვეთილ ზღაპარში ქართველმა ხალხმა თავისი სიბრძნე ჩააქსოვა.

ყველასათვის კარგად ცნობილ ზღაპარში:—„ნაცარქექია“, რომელიც აშენებულია სულ უბრალო ფაბულაზე რძლისა და მაზლის ურთიერთობაზე, ქართველმა ხალხმა ფიზიკურ ძალას დაუპირდაპირა გონებამახვილება, მართალია ღონის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ხშირად მას თან არ ახლავს გონება, ხერხი. ასეთი იყო ხალხის საყარელი ამირანი, რომელიც მოკლებული იყო მოსახრებას (ვეშაპის მუცელში ყოფნისას, ყამარქალის მამასთან შებრძოლებისას) და სხვისი კარნახით აზროვნებდა. ხოლო მის გასწროვ დადგა ადამიანი, რომელიც ერთ ალაგას ჯდომა, ფიქრი და ოცნება უყვარს, სხვა საქმისათვის კი უშნო, ზარმაცი და გამოუსადევარია. მაგრამ ასეთი ადამიანი ზოგჯერ ღონიერ ადამიანზე მაღლა დგას თავისი გონებით, გამჭრიახობით, მოხერხებით.

ნაცარქექიას სახელი გადაიქცა საზოგადო სახელად ისიც დაცინების დროს.

მიუხედავად ამისა ნაცარქექიას ტიპს ბევრმა მწერლამბარი ჩაავლო ხელი და სხვადასხვა სახით, ნიღაბით, სხვადასხვა სოციალურ ფენაში გააცოცხლა და მუდმივ მოსაგონად გახადა. ამგვარად შეიიქმნა ნაცარქექიას იმიტაცია, შეპრილი სხვადასხვა საზოგადოებრივ სიტუაციებში, სხვადასხვა სახელწოდებებით: ბათა ქექია, აზნაური ლაუნდარელი, ყვარყვარე თუთაბერი, კიკილა, ხოლო აკ. წერეთელს და ალ. შანშაბვილს არ შეუცვლიათ ამ გმირისათვის სახელი თავიანთ ნაწერებში.

ყველა ზემოდ ნაჩენებ ნაწერთა ტიპის სათავე ხალხური ნაცარქექიაა. ჩატმული ყველა დროის თანამედროვე ტანსაცმელში, მოქსოვილი ახალი და ძველი ყოფისა და სოციალური ფენის დაზგაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ნაცარქექია მეტად პრიმიტიული პიროვნება იყო: შშიშარა, ზარმაცი, მაგრამ გამჭრიახი გონების პატრონი, მხატვრულ ნაწარწევებში მას თანდათან ემატება თვისებები:

იხატავდა ჭარსულ დროს,
რომებდა წინაპერებს,
და მით გულს აყოლებდა
გადასულ სიშვარ—ზღაპრებს.

(ა. წერეთელი: „ნაცარქექია“)

ჩერხს ქვეშ წოლა უყვარდა—
მშეანებე ნებიერობა;
ნატვრა და ახსნა სახმრების,
ოცნების მრავალფერობა,
კვეხნა და ჭორის მოფენა—
ეს იყო მისი ხელობა

(ა. ლ. შანშაბვილი: „ნაცარქექია“).

და ასე ზოგი ნაცარქექია შემაპატეულ ხმალს ატრიალებს, ზოგი სხვის კერას მისჯდომია, ზოგი ებრძვის უსაშროობას, ზოგი გარემოებით სარგებლობს და აბობო-

ქებულ ხალხის მეთაურიცა ხდება და ვინ მოსთვლის რა სახით, რა ფარხმალით, რა ენა მახვილობით, რა ტანსაცმელით არ დაიარებოდნენ და აზ დაიარებიან ჩვენს მიწა-წყალზე ეს ნაცარქექიები!

ასეთი ნაცარქექიები კარგი ღონის პატრონსაც სჯობნიანი: ტრაბახით, მკვეთრობით, მოხერხებით ათასი გაჭირვების დროს თავს იძგრენენ და მშრალზე გამოდიან, სადაც საჭიროა იქ თავს იკატუნებენ, ვითომიც ჯანღონით მოისუსტებენ; რა ამბებსაც გაიგებენ, თუ დასჭირდებათ თავისად გაასალებენ, ენა ხმალივით უჭრით: ხან როსტომად მოაქვთ თავი, ხან კი ამირანად; საზოგადო საქმის სახელით თავის პირად საქმეს აწყობენ, რსებითად კი ზარმაცი, მუქთახორა, მშიშარა, უშნო და უქნარები არიან. ამიტომ სახელი ნაცარქექია და ნაცარქექიაობა მეტად სათაკილოა!

* * *

გ. ნახუცრიშვილს და ბ. გამრეკელს, სწორედ ასე პკავთ წარმოლენილი ნაცარქექია, მაგრამ... სწორედ ეს „მაგრამ“ არსებობს ავტორებისათვის. მართალია, ნაცარქექია ულონოა, მხდალი, მშიშარა, მკვეთარაც, მაგრამ თვით ხალხმა მიანიჭა მას შესანიშნავი თვისება: ხერხი, რომელიც ღონება სჯობია. ამიტომ ესეც საჭიროა და ამ თვისების მქონე ადამიანი მავნე არ არის, მათი გამოყენება შეიძლება, აი, ავტორების სურვილი! ამით თითქოს ავტორებს სურთ რეაბილიტაცია მოხდინონ ნაცარქექიის „შელაცული“ სახელისა.

ამიტომ ავტორები ნაცარქექიას გარკვეული მონდომებით აბრძოლებენ ხალხის მყვლეფელებისა, უსამართლობისა, ცრუ მოსამართლეთა და გაუმაძღართა წინააღმდეგ. ამით ნაცარქექია თითქოს თვალსაჩინო ხდება, რომელსაც კარგად აქვს შეგრებული თავისი მოვალეობა: „დამაცადე ჯერ სადა ხარ!“. ასე ემუქრება ბატონს. მას თავისი ღირსებაც შეგნებული აქვს: „ჩემი თავი ტვინით არის სახე, ტვინით. თუ მოვინდომე ჭკუით სოლომონ ბრძენს გავაფუჭებ და ღონით ქაჯეთის მეფეს თხლაშან ბეგსონ“.

პიესა „ნაცარქექიას“ საფუძლად უდევს და ნახუცრიშვილის სამოქმედებიანი საბავშო პიესა: „ნაცარქექია კიყილა“ (ჟურ. ნაკადული 1923 წ. № 10-11), რაც თვით ავტორსაც აქვთ აღნიშნული პიესის დედანზე.

არც დავ. ნახუცრიშვილსა და არც ამ ხსენებულ ავტორთა „ნაცარქექია“ არ შორდება ძირითადად ხალხურ ზღაპრის სუჟეტს, მის ზღაპრულ ელემენტებს.

მაგრამ გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის „ნაცარქექია“ სოციალურ რაც გამოკვეთი და გამოცვლისა და გამოცვლის მიზანი არ არის ასეთი გამოცვლის დროის ასეთი გამოცვლის და ღონით ქაჯეთის მეფეს თხლაშან ბეგსონ“.

პიესის მეტად მარტივი, სადა ლამაზი ენა, მდიდარი, სიტყვიერი გასაგებია უსკრონის პიესის მაყურებლისათვის და სპექტაკლს სწორედ ეს ასევე დიდ ღირსებულებას.

ნაცარქექიას ცნობილ თავგადასავალში შეჭრილია ჩენენში არსებული ერთი ამბაეი: ერთ მდიდარს მოჯამებირს დაქირავებისას ასეთი პირობა ჰქონდა: სამი თვით აუყვანდა მოჯამაგირს. თუ ბატონისაგან რამე ეწყირებოდა მოჯამაგირს ჯამაგირზედაც ხელი უნდა იერო და ათასი მანეთიც ჯარიმა უნდა გადაეხადა. ეს იყო უსაზიზღესი ხერხი სხვისი გაყვლეფისა თავისი სასარგებლოდ. ეს 47

ამბავი ამ პიესაში გამოყენებულია იმიტომ, რომ ნაცარ-ქექია ამ ჩასუქებულ ბატონს შეებრძოლოს იმავე ხერხით, რაც მან (ნაცარქექიამ) შეისწავლა ბატონისაგან.

სწორედ ამ ბატონთან იდგა მოჯამაგირედ ნაცარქექიას ძმა თომა, რომელიც მოთმინებიდან გამოვიდა, შეუკვირა თავის ბატონს და ათასი მანეთი გალით დაუბრუნდა თავის შშიერ თვას. ნაცარქექია ნანობს რომ ის არ იყო ძმის მაგიერ, რათა კისერი მოეგრიხა ბატონისათვის. ეს სურვილიც შალე აუსრულდება. შისი რძალი მართა და- ქინებით მოითხოვს ნაცარქექიას წასვლას ყაფლანთან. აქ ნაცარქექიას ალარაცერი შველის: არც მისი პროტესტი, არც ავადმყოფობით თავის მოქატუნება, ის დაღუპა ტრაბაბმა; მას გააჩნია „ტვინი, ტვინიან ქაცს კი მოხერხება აქვს“.

მართლაც, ნაცარქექია წავა მდიდარ ბატონთან, რომელიც „ხელმწიფოს ხალხს იმიტომ აჭმევს, რომ მერე ვალების აკრეფაში გამოადგეს და ვისაც რამე მართებს მისი ტყავის გაქრობით გამოართვანო“. ეს ბატონი ნა- ცარქექიასაც თავის ჩვეულებრივ პირობას უდებს. ნაცარ- ქექიაც შემპარავად ეკითხება ბატონს: „თუ შენ გეწყინე- ბა ჩემგან და სიტყვა შემომიბრუნო, მაშინი!“ ბატონს ვერ წარმოედგინა მისგან წყენა და ორიათასი მანეთი დაწე- სეს ჯარიძა.

აქედან იწყება ნაცარქექიას ბრძოლის მეთოდი,— ის ანგრექს ყველაფერს: სუფრას გადაბერტყავს ჭურჭლი- ანად, ცხვრის მაგიერ ცხენს დაუკლავს, ცომის მოხელის მაგიერ კულს გაუჯოხავს, ბუხარში ცეცხლის დანთების მაგიერ საბძელს წაუკიდებს, ღორმუცელა შვილს მთლად გადაურევს. ბატონი ჯერ კი თავს იკავებს, არ უნდა ორიათასი მანეთის გადახდა, მაგრამ ბოლოს მოთმინები- დან გამოსული იგდებს ნაცარქექიას ორიათასი მან. თან- ხით. ამგვარად, როგორც ამ ბატონთან, ისე ყაჩალებასა და დევებთან შეხვედრიდნ, მათთან ხერხის გამოყენებით, დოვლათიანი ფულით, ერთი ხურჯინი თვალმარგალიტით, მფრინავი ხალიჩით, ნატვრის სუფრით და ჯადოსანი დოლით ბრუნდება ნაცარქექია შინ.

ნაცარქექიას ბიძგის წამყრელი, მისი რძალი მართაა ის შრომელი ადამიანია, რომლის აზრით: „ვისაც ჭამა უნდა, ის კიდევაც უნდა შრომობდეს. გარეთ გასული ადამიანი რამეს იშვივის, მუშაობას შეეჩევა. გარეთ გა- სული კაცი იცვლება, გაჭირვება გარჯასა და შრომას აჩევს ადამიანს“. ამისათვის რა არის საჭირო? მართას პასუხი შზად აქვს: „საჭიროა ერთხელ მოშორდეს ადა- მიანი თბილ კერას“. აი, ამ ხერხით სურს მართას ნა- ცარქექია შეაჩვიოს გარჯას, შრომას. ამიტომ მას აღარ ძლიერ ამოსუნთქვის და ნაცრის ქექის საშუალებას. ერთხელ ძლიერ ასწყვიტა კერას და როგორლა შეაჩევს. ასეთი ადამიანი ნაცარქექიას მიერ მოტანილ ქონებას სიხარულით როდი ხდება! რადგან „ქარის მოტანილს ისევ ქარი წაიღ ქსო“. მას შრომით უჭამია პური და ისევ ამ შრომით უნდა იცხოვროს.

აი, ამ ბატონისა და შრომის ელემენტების შეტანამ მისცა ზღაპარს სოციალური მნიშვნელობა ჩევნთვის. თუმ- ცა ისიც უნდა ითქვას. რომ ეს შრომის პრინციპი არ არის გამოკვეთილი, მოქნილი: თომა შრომელია, უხვია, ხოლო მართა უფრო გაკაპასებული დედაკაცის შთაბეჭ- დილებას ტოვებს, ვიდრე შშრომელისას, და ამიტომ ზოგჯერ მისი სიტყვები შრომის შესახებ გაყინული რჩება.

გარდა ამისა თვითონ ნაცარქექიასაც ბევრი რამე მიაკუთხნეს ავტორებმა. ხალხის ნაცარქექია არ არის შკე- ხარა, ტრაბახა, გამჭვიადებელი. ის მხოლოდ მოისახებს და ხშირად არც კი იცის მისი შედეგი.

ავტორები კი ნაცარქექიას აზგიადებენ, მას მიაკუ- თხნეს ტრაბახი: დათვებზე ნადირობა, მგლის მოგულდა, დევებთან შებმა. განსაკუთრებით, როცა ბავშვებს უამბობს ნაშინ აზვიადებს იმას, რაც არ მომხდარა. ამ გარემოებამ საუცხოვოდ იმოქმედა მაყურებელზე. ნაცარქექია ვერ გახდა და ვერც გახდება ჩევნი ბავშვებისათვის საყარელი გმირი, ხოლო მას მოსწონს იმდენად, რამდენადაც ნაცარქექია ებრძების ბატონს, სჯობის ყაჩალებს, გააბიაბრუებს მო- სამართლეს, დაამარცხებს დევებს. აი ამ საქმიანობით არის აღტაცებული მაყურებელი, ამიტომ სრულიად არ არის საშიში ნაცარქექიას „გმირობა“, და მის ტრაბახს არ მიბაძავს ჩევნი ბავშვი, რადგან იცის, რომ ის გამოაშ- კარავდება. როგორც მაგ, თომამ შეარცხვინა ნაცარქექია როცა ჯოჯო ბატონი, მისი ცოლი და შვილი, მან მზეთ- უნახავთ დახატა. პიესაში უხვად არის გამოყენებული ხალხური ანდაზები, შაირები, ბევრია მოკვეთილი, მოს- წრებული სატყვები, რაც პიესას სიცოცხლესა და სიხა- ლისეს აძლევს, და ჯანსაღ სიცილი იწვევს. მაგრამ ამასთან ერთად გვხვდება ულაზათო სიტყვებიც: „მოკვარახეცინა“ (ისიც რამდენჯერმე განმეორებული) „იიფ!“ „შეკაცო“ „აწი“ „ვერ მოგართვი ნიახური“, — ყველა ეს სიტყვიერი მასალა არ არის ენამახვილობის ნიმუშები. ამ სიტყვების ამოშროით პიესა არაფეხს არ კარგავს.

ძნელია ზღაპრის სცენაზე გადატანა. ბავშვიც და დიდიც უფრო ძლიერად წარმოიდგენს ნაამბობს, წაკით- ხულს, წარმოიდგენს უფრო მკეთრ სახეებს, პერსპექტი- ვებს, პანორამას, ბუმბერაზობას. სცენაზე კი ბევრი რამ განუხორციელებლი რჩება.

მ. მ. თეატრის ზღაპრის დადგმა მეორე ცდაა. სერ- პინსკის: „მეზღვაური და შეგირდი“ (ანდერსენის ზღა- პრების მონტაჟი), მუშებდავად მისი ეფექტიანობისა, მაიც დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან ბავ- შვებისათვის ბევრი რამ გაუგებარი, მიუწვდომელი იყო, მის ფორმალისტურ მიდრეკილებათა გამო.

ეს გაკვეთილი მ. მ. თეატრის კარგად გამოადგა.

რეუ. ბორ. გამრეკელისა ეს მეორე ცდაა. სერ- პინსკის: „მეზღვაური და შეგირდი“ (ანდერსენის ზღა- პრების მონტაჟი), მუშებდავად მისი ეფექტიანობისა, მაიც დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან ბავ- შვებისათვის ბევრი რამ გაუგებარი, მიუწვდომელი იყო, მის ფორმალისტურ მიდრეკილებათა გამო.

სპექტაკლი თავიდან არ იყო უნაკლო; ეს მაღლ შეა- მჩნია თეატრმა, თვითონ რეესისრმა თავის დროზევე დახვეწა, გაასუფთავა ზედმეტი ადგილებიდან: მოისხნა პიესის გაჭიანურებული ადგილები, უსიცოცხლო პრო- ლოგი, დევებისა და დევ-ჯართა უშნო ცეკვა. შეიცვალა სეფე ქალების ელვერი, გაძლიერდა სინათლის მკეთრი ფერები და ამ გვარად მივიღეთ ლამაზი სპექტაკლი.

უნდა აღინიშნოს რომ რეესისრმის მთელი ყურად- ღება მიპყრობილია ნაცარქექიისაღმი, ამიტომ დანარჩენი მოქმედი პირნი ხელიდან გამოეცალნენ; სცენაზე ადგი- ლი ვერ მოუნახავთ ბავშვებს, თვითონ მართას, სეფე ქალებს მეფის სასახლეში. ეს უსათუოდ სპექტაკლის ნაკლია.

სამაგიეროდ, რეესისრმულად კარგად არის გაკეთე- ბული მეორე სურათი, ცოცხალი, დინამიკური, სოციალუ- რად ძლიერად გამოკვეთილი; მეფის სასახლეში მეფის ძილი, რომელიც წევს როგორც ლეში, არარაობა, უჩი- ნარი; აგრეთვე ნაცარქექიის ხალიჩით მოფრენა, ნატვრის სუფრის გაშლა. ეს რეესისრმის ლირსება.

პიესის გამარჯვება, ცხადია, თვით აქტიორთა თა- მაშე, და განსაკუთრებით ნაცარქექიის როლის შემსრუ- ლებელზეა დამოკიდებული.

შიუხედვებად იმისა, რომ მ.მ. ოქატრის აქტიორთა შემადგენლობა ძლიერია, მათი თეატრალური კულტურა თამაშის სტატობა, ზოგიერთების გამოყენებით, ნელი ტემპით ვითარდება. არა სჩანს ისეთ ცოცხალი სახე-ებისა და ტიპაჟის მოცემა, რომელთა დახმარებით შეიქ-მნება სცენის გარემო ურთიერთობასთან დამოკიდებულება, და სხვა მსახიობებთან კავშირი.

ეს აშერად დაუტყო ისეთი როული ტიპის მოხაზვას თავისი შინაგანი გაგებით, როგორიც ნაცარქექია.

ვერ ვიტყვით რომ მსახ. გ. დეისაძე არ იძლევა ნაცარქექიას სახეს ცოცხალს, მოძრავს, მაგრამ მის მიერ ნაცარქექიას განსახიერება რომ არ გამომდინარეობს მსახიობის ინტელექტუალური და შინაგანი ტემპერამენტის შეერთებიდან, ეს ცხადია. დეისაძე, მართალია, ნაცარქექიას პირით ხშირად ამბობს ხერხი სჯობიაო, მაგრამ ეს ხერხი აქტიორულ და ვერ გამოიყენა.

საზოგადოდ, ნაცარქექია არ არის პათოსიანი. იგი უნდა იყოს სადა, რომელიც ხშირად ვერც კი გრძნობს თავისი ხერხის მნიშვნელობას, არ შეიძლება მსახიობმა ისწავლოს ტექსტი ზეპირად, საჭიროა ამ ტექსტის გამოყენება თამაშით და შეუქმნას თვითეულ თქმას თავისი ნიუანსები.

დეისაძის მთელ თამაშში ერთხელ არა ჩანს პაუზა, იმისათვის, რომ მოიტიქროს რა ხერხით დაიხსნას თავი გაჭირებიდან. ამის მომენტები კი აუარებელი აქვს: ბატონთან, სასახლეში, ტყეში ხეზე დევების ბინაზე. ჯველა ეს ადგილი შესანიშნავია მსახიობისათვის. მსახიობმა თავისი თამაშით მაყურებელი უნდა დააჯეროს: აქტიორულად ოდნავ გაფიქრების შედეგი უნდა იყოს მისი მოქმედება. მსახიობი ზოგჯერ აუბრალობს თავის თამაშს. ტყეში ნაბდის წამოსხმისას, განსაკუთრებით, დევის ბინაზე მარტო თავის თავს ეტრაბახება. ყველაფერს ამას დაუმატეთ მისი კუთხური კილო, რომელსაც დისონანსი შეაქვს პიესის ენობრივ სიშინდეში. მაგრამ, ვფექრობთ დეისაძე ყველა ამ ნაკლის გამოსწორებას, შესძლებს, რადგან ამის მონაცემები აქვს. მას აქვს კარგი მომენტები: — როცა გამწარებული ამბობს: „მოვ დივარ მაგრამ ვაი იმას, ვისაც შევეყრებიო“ ან ტყეში ძილის დროს ბოლევა და სხვ.

რეა. დამს. მსახ. ნ. გვარაძე (ყაფლან) მდიდარი ბატონის ტიპს დამაჯერებლად იძლევა. გულწრფელია და სადა განაკუთრებით, ცხენის დაკვლის ამბის გაგებისას, ხოლო მისი ქალაქელი ვაჭრის კილო ანელება მისი თამაშის სიძლიერეს.

შეტად ცოცხალ სახესა ჰქმნის მ. აბრამიშვილი (იბრუც ტ). ეს „გასიებული“ ქალბატონი, რომელიც გახარებულია თავისი შვილის „ქვევიანურ“ სიტყვებზე მსახიობის მიერ განსახიერებულია ისეთ ადამიად, რომელსაც ჭამის მეტი ქვეყნად არაფერი აინტერესებს. მსახიობი ერთავად მოზაობაშია, მოუსუსფუსეა, მხოლოდ ზოგჯერ დიდად ხმაურობს. კილო არც ამას უვარება და გარეგანი ელფერიც ქართული უნდა ჰქონდეს.

რაც შეეხება გ. კუპრაშვილს (განუშტერი) იგი ღირსეული შვილია თავისი მშობლებისა. გ. კუპრაშვილი სრულ სახეს ჰქმნის ღორმულელა, უქნარა, უჭირა ჭაბუკისას. იშვიათი სტატობით და გულწრფელობით აქვს გაეთვალისწინებული: ჭამის პროცესი, გაშარება, მოხერხებული წინასწარი მოძრაობა გაკვირვების გამოსახტად. მისი გარეგნობა მთლიანად გამოხატავს ღორმულას შინაგან თვისებებს.

საინტერესო გამასხარავების ტრაქტოვებით არის მოცემული მეუე და ხტინგურ. მსახიობი ა. ქერეჭაშვილი მოფიქრებულად უწყობს ხელს ასეთ ტრაქტოვების: მეტად სადა, უბრალო, უტვინო, ქარაფშუტა იყო სრულყოფილია, რის გამოც სრულიად გულწრფელი სიცილის იწვევს მაყურებელში მისი სასაცილო მდგომარეობის დროს: ვარსკალავების დათვლისას, ცეკვისას, ვეზირთან საუბრისას.

გლეხის სადა, უბრალო სახეებს ჰქმნიან მსახიობები: მ. ერებიშვილი (მართა) და ს. გამრეკელი (თომა). ორივეს ახასიათებს მსახიობური ზომიერება და მყაფიო მეტყველება, რაც ასე აუცილებელია საერთოდ და განსაკუთრებით მ.მ. თეატრის მსახიობისათვის.

მოძრავი, მოუსყენაზი, ცელქი და გულუბრყვილობა გავშვის ტიპი მოგვცა ე. ურუშაძემ (თამრო), რომელიც უსიტყვოდაც მეტყველებს.

ზღაპარში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მხატვრის ნამუშევარს.

მ. გოცირიძეს ამ თეატრში რამოდენიმე დადგმა ჰქონდა. მას თითქოს აქვს კულტურა და გემოვნება. მაგრამ „ნაცარქექიაში“ ვერ ვიტყვით ჰქონდეს გამომჟღავნებული ეს მხატვრული თვისებები.

მართალია, მან თავის გაფორმებაში სოციალური აზრი მისცა მეორე სურათს: ბობოლას სახლი დამსგავსა თოვლის სახლს, რომელსაც ლრმა საძირკველი არა ჰქონდა და ისტორიულად ის უნდა დაფუშულიყო, მაგრამ საერთოდ მხატვარს აკლია გამშედაობა; გაქანება და ზღაპრული ელემენტების კარგი მხარეების გამოყენება საღებავისა, შემკულობისა და ეფექტურიანობისა, უფრო უკეთესად, ვიდრე ეს მოგვცა. ამის შესაძლებლობას კი იძლევა: დევის ბინა, ტყე. მართალია, მეფის სასახლე ეფექტურიანია, მაგრამ ის გვაგონებს ძელი ზღაპრების წიგნურ ილუსტრაციებს.

ყოველგვარ გამართლებას მოკლებულია ერთი და იგივე ყინულიანი მთები: ტყეში და სასახლეში. ამით ვერ დავამტკიცებთ იმას, რომ პიესის მოქმედება სწარმოებს ჩვენში, კავკასიის მთების ძირში. აქ სხვა კოლორიტი იყო საჭირო, რომელიც ნათელი იქნებოდა პიესის ადგილმდებარეობის გასაგებად.

ფარდა, რომელიც ქართული მანდილის სიმბოლოთ უნდა მივიღოთ, სრულიად უმიზნოდ გამოიყენება. თვითეულ საგანს კი სცენაზე თავისი არსებობის გამართლება უნდა ახასიათებდეს. სამაგიეროდ კარგია კოსტუმების ღია, ხალისიანი ფერები, რაც ბავშვს მეტად უყვარს.

მუსიკა ვ. შავერზაშვილის მტკიცე ორგანიულ კავშირში იმყოფება სპექტაკლის განვითარებასთან. არის ადგილმდები, საღაც მუსიკალურად ძლიერდება დრამატულური სიტუაცია, მაგრამ ზოგჯერ მუსიკის სიძლიერე ხელს უშლის მსახიობის სცენიური სახის მაყურებლამდე დაყვანაში, განსაკუთრებით მეფის სასახლეში.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ზღაპარი „ნაცარქექია“ მ.მ. თეატრში მიმდინარე სცენის ერთერთი თვალსახიონ სპექტაკლი, რომელიც ჯანსაღ სიცილით და ინტერესით იზიდავს მოზარდ მაყურებელს, იპყრობს ჩის ყურადღებას. ძირითადში სპექტაკლი ისეა გაკეთებული რომ მოზარდის ჯერ კიდევ ნორჩი და სპეტაკლი გონება, რომელიც მიისწავების გაუგებრის გახსნისაკენ, ფართო შესაძლებლობას ჰქონდება, და ფართო მოსაზრების უნარის გამომჟღავებისათვის.

ს. სულაპაშვილი
სახელმწიფო კინო-სტუდიის
დირექტორი

პინო-მსახიობის აღზრდისათვის

ბრძოლა კინო მსახიობთა კადრების აღზრდისაზე ის მჭიდროდ დაკავშირებულია ჩენი კინომატოგრაფიის განვითარებასთან. ჯერ კიდევ საბჭოთა კინომატოგრაფიის განთიადზე იყო ცდები სტუდიების საშუალებით მომზადებულიყო კინო მსახიობები.

ახალგაზრდა ხელოვნებას არ ჰქონდა მაშინ არც თეატრის მრავალ საუკუნიანი გამოცდილება და არც საკუთარი გარკვეული სისტემა კინო-მსახიობის აღზრდისათვის.

მუსკოვის კინომატოგრაფიის ინსტიტუტის გახსნამ აღფრთვანება გამოიწვია კინო-მუშაკებში. იმედი მიეცათ, რომ ინსტიტუტის სააქტიორო ფაულტეტი შესძლებდა მსახიობების გამოზრდას. მართლაც! ინსტიტუტი მრავალი წლების მანქილზე ზრდიდა კინო-მსახიობებს და... სამწუხაროდ ერთი მსახიობიც არ მოუცია ნაციონალური კინო წარმოებისთვის. ორი მიზეზი უშლიდა ხელს ინსტიტუტს მსახიობის აღზრდაში:

1. როგორც რუსეთი, ისევე ნაცრესპუბლიკები ინსტიტუტს უგზავნიდნენ ისეთ ახალგაზრდებს, რომელთაც მსახიობის არავითარი უნარიანობის ჩანასახი არ მოეპოვებოდათ.

2. სამსახიობო ფაულტეტზე ყველაფერს ასწავლიდნენ, გარდა მსახიობის ტექნიკისა.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა ფრონტზე გიგანტურ ზრდასთან ერთად, კინომატოგრაფიაც სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ.

კინოს იდეურ და მხატვრულ ზრდას დაემატა ტექნიკური ზრდაც: მუნჯი კინო ამეტყველდა! სიუჟეტიან ფილმების ბრწყინვალე გამარჯვებასთან დაკავშირებით — კინო-მსახიობის მნიშვნელობა უაღრესად გაიზარდა. რეჟისორების მიერ, „ფოტოგრაფიურ ტიპაჟის“ ქუჩაში ძებნის პრაქტიკას ბოლო მოელო. შემთხვევით გამზღვარი „მსახიობები“ უსუსურები გამოდგნენ ხმოვანი კინოს ტექნიკის ათვისებაში. ამეტყველებულმა კინომ მოითხოვა: პროფესიონალი მსახიობი, რომელსაც უნდა ჰქონდეს სათანადო კულტურა.

1934 წ. 31 ივლისის სახელ. კინო-ფოტო სამმართველოს ბრძანებით წინადადება მიეცა ცალკე კინო ორგანიზაციებს სტუდიების საშუალებით შესდგომოდნენ მსახიობთა აღზრდის საქმეს.

საქართველოს კინოწარმოება ყოველთვის განიცდიდა მსახიობის ნაკლულობას, მით უმეტეს კინოს ამეტყველებასთან დაკავშირებით. სახელმწიფო მმართველობამ გადაწყვიტა მოსარვის და ლენინგრადის მაგალითის მიხედვით სტუდიის დაარსება. მოსკოვიდან მოიწვია ცნობილი მსახიობი და ჰელაგოვი ნიკიტინი, რომელმაც ჩამოყალიბა კინო-ფაზრიკაში ეგრედშოდებული მსახიობთა სახელოსნო ამ სახელოსნოში შტატში მყოფი მსახიობები ჩააბა 1 ტუდიურ მუშაობაში და სულ რამდენიმე თვის მანძილზე კარგ შედეგებს მიაღწია.

სტუდიის შემდგომ მუშაობას საფუძვლად დაედო მოსკოვ-ლენინგრადის სტუდიების გამოცდილება, შედგენილ იქმნა მტკიცე პროგრამები და გეგმები და გაიშალა მუშაობა. მიმდინარე წლის იანვარში მოყიდვის და

მოცხადებულ სახელმწიფოს კინო მსახიობთა სტუდიას აუარებელი მსურველი მოაწყდა. 285 მსურველიდან მიღებულ იქნა მხოლოდ 30 ახალგაზრდა. 1-ლ თებერვალს შესდგა კინო-მსახიობთა სტუდიის პედაგოგიური საბჭოს პირველი სხდომა. საბჭომ გამოიმუშავა მთლიანი მეთოდი მუშაობისა და შეუდგა მეცადინეობას.

კინო-მსახიობთა სტუდიების პრაქტიკაში დღემდი არ დასმულა საკითხი, თუ ძირითადში, რომელ თეატრალურ სკოლას უფრო ეგუება კინო-მსახიობის თამაში; კინო-სტუდიებს დღემდე არ ჰქონია სწავლის გარკვეული სისტემა. არავის უფიქრია მთლიან მეოთოდზე. არ დასმულა საკითხი, თუ სტუდია, რომელ საფეხურის სასწავლებელს ეთანაბრება. არავის შეუჩინევია ყველა ის საკირო და აუცილებელი, დისკიპლინები, ურომლისოდაც შეუძლებელია კულტურული მსახიობის აღზრდა.

ჩვენი ამეტყველებული კინომატოგრაფიის იდეურმა და მხატვრულმა ზრდამ, დიდი კულტურის მსახიობების მიერ შექმნილმა სინთეტიურმა სახეებმა, ნათლად გვიჩვენა, რომ კინო-მსახიობის თამაში ძირითადში დამყარებულია თეატრის მსახიობის ტექნიკის ელემენტებზე. კინოს თეორეტიკოსები ხშირად ცდილობდნენ კინო-მსახიობის თამაში გაენთავისუფლებიათ თეატრის გავლენისაგან. ამ ნიადაგზე წარმოიშვა ლევ კულეშოვის მონტაჟის საშუალებით სახეების შექმნის „თეორია“, მაგრამ ყველა ეს „თეორიები“ მარცხით დამთავრდა, — კინო-მსახიობი ვერ გაექცა თეატრს.



საქ. სახელმწიფოს კინო-სტუდიის დირექტორი
სამსონ სულაპაშვილი

მოწინავე კინო-რეჟისორებმა და თეატრიდან მოსულმა დიდმა მსახიობებმა დროხე აუღეს აღლო მეტყველი კინო ხელოვნების სპეციფიურობას. მათ თეატრიდან შეინარჩუნეს ის, რაც კინოსათვის მისაღები იყო; სცენის პირობითი თამაში, (ხმა, უქსტი, მოძრაობა, მეტყველება და მიმიკა) შეანელეს, შეუფარდეს მეტყველი კინო ხელოვნების რეალურ ზომიერებას და ამ გზით გააღმავეს კინო-მსახიობის თამაშის ტექნიკა. ჩვენმა კინო-სტუდიებმა, მსახიობის ტექნიკის, როგორც წამყვანი დისკიპლინის, დამუშავების დროს მხედველობაში მიიღეს ეს გარემოება და ძირითადში თეატრის მსახიობის ტექნიკის დაუფლების საფუძველზე გაშალეს კინო-მსახიობის ტექნიკა.

სახეინმრეწვის სტუდიამ მსახიობის ტექნიკის დისკიპლინა იმავე სახით მიღო, როგორც სხვა სტუდიებმა. თეატრალური მსახიობის ტექნიკის შესასწავლად კინო-სტუდიაში მიღებულია ე. წ. მოსკოვის სამხ. თეატრის (სტანისლავსკის) სისტემა ამ საგანს კითხულობს რე. დ. ალექსიძე.


კინო-მსახიობის ტექნიკას კითხულობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კინო-რეჟ. ნ. შენგელაია. პროგრამები თრივე რეჟისორს ერთმანეთთან შეთანხმებული აქვთ და სრული კონტაქტით მუშაობენ. სპეციალური საგნები: დიქტა, მხატვრული მეტყველება, რიტმიულობა და სხვა მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი მსახიობის ტექნიკასთან. პედაგოგებს შორის გამონახულია საერთო ენა და გამომუშავებულია სწავლის მთლიანი მეთოდი. საერთო განათლების საგნებს: ანტიურ თეატრისა და ლიტ. ისტორიას, დასავლ. ეკრ. ლიტ. ისტორიას, სასცენო ხელოვ. ისტორიას, ხელოვ. ისტორიას, ქართულ ენასა და ლიტერატურას, რუსულ ენასა და ლიტერატურას, რანამედროვე თეატრალურ მიმდინარეობებს, კინოს ისტორიას, დრამატურგიას, კინო-დრამატურგიას, რეჟისურიას, პოლიტსაგნებს: პარტისტორიას, პოლიტეკნიკიას, დიამატ-ისტორიას და ლენინიზმს დათმობილი აქვთ.

იმდენივე აკადემიური საათების რიცხვი, რამდენიც სხვა უმაღლ. სასწავლებულში. ყველა ზემო ჩამოთვლილ საგნებში მოწვეული არიან ცნობილი პროფესორები და პედაგოგები. სახეინმრეწვის კინო-მსახიობთა სტუდიის მიზანია: სტუდიის დამთავრების შედეგ ახალგაზრდა მსახიობი გამოვიდეს კულტურულად და პოლიტიკურად სრულიად მომწიფებული ჩვენი საუკეთესო ქვეყნის საუკეთესო მოქალაქე. სტუდიურ მუშაობაში არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს დისკიპლინას. სტუდიელის ზრდისათვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მის ყოველ-დღიურ ყოფაქცევას და შინა დისკიპლინის განმტკიცებას.

ზტკიცე დისკიპლინის წყალობით სტუდიაშ სწავლის დაწყების პირველ დღეებშივე შესძლო სწავლის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება და სასწავლო წლის ღირსეულად დამთავრება. სტუდიაშ მეცადინეობა დაიწყო 1-ლ თებერვალს (მიმდინარე წელს მოასწრო მხოლოდ ერთი სემესტრის გავლა). იქნისის დამლევს განვლილი მუშაობის საჯარო ჩვენებამ გვიჩვენა, რომ სტუდია სწორ გზაზე დგას და ერთი სემესტრის მანძილზე მან იმდენი მუშაობის ჩატარება მოასწრო, რომ კინო-ფოტო ტრესტის მმართველის განსაკუთრებული ბრძანებით აღნიშნული იქნა სტუდიის დიდი მიღწევები. დაჯილდოვებულ იქნენ ღირებული საგნები: ანტიურ თეატრისა და ლიტ. ისტორიას, დასავლ. ეკრ. ლიტ. ისტორიას, სასცენო ხელოვ. ისტორიას, ხელოვ. ისტორიას, ქართულ ენასა და ლიტერატურას, რუსულ ენასა და ლიტერატურას, რანამედროვე თეატრალური მიმდინარეობებს, კინოს ისტორიას, დრამატურგიას, კინო-დრამატურგიას, რეჟისურიას, პოლიტსაგნებს: პარტისტორიას, პოლიტეკნიკიას, დიამატ-ისტორიას და ლენინიზმს დათმობილი აქვთ.

სახეინმრეწვის კინო-სტუდია სრული რწმენით ემზადება მომავალი სასწავლო წლისათვის. გადაწყვეტილია ახალი კადრების მიღება.

1 კურსზე მიღებული იქნება 30 ახალი მსმენელი.



ტფილისის კულტურისა და დასვენების ცენტრალური ბაღი

კულტურისა და დასპონორის ცენტრალური გაღის სეზონის ჯამი

კულტურისა და დასპონორის ორგანიკიძის სახელობის ცენტრალურმა ბაღმა, რომელსაც დასახული ჰქონდა ფრთხო სამუშაო გეგმა, სეზონი მეტად კარგი შედეგებით დასრულდა.

უკვე პირველი მაისის დღეებიდან ბაღი გაივსო დასასვენებლად მოსული მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფებით.

მიუხედავად ადრე გახსნისა, ცუდი ამინჯებისა და ნაწილობრივი მოუმზადებლობისა,—ბაღის კოლექტივის ბეჭითი მუშაობის წყალობით, სეზონის პროცესში ხდება ბაღის მუშაობის გარდაქმნა და გაუმჯობესება, რის შედეგად მივიღეთ ის, რომ დამსწრეთა რიცხვი დღითი-დღე მატულობდა.

ასე ჩაგ. მაისში დაესწრო 90 ათასი კაცი, იგნისში 135.000. სულ სეზონის განმავლობაში 800.00-ზე მეტი კაცი დაესწრო.

ამგვარად ბაღი ნამდვილად გადაიქცა ტფილისის მშრომელთა მასიური თავმოყრის ადგილად,—ერთ-ერთ საუკეთესო და საყვარელ საზაფხულო კულტურულ დაწესებულებად.

ჩელესკინელების ხიდის მხარეზე მდებარე ტერიტორიის ათვისებამ, ტფილისის წარმოების სტანციულებისათვის, დამკვრელებისათვისა და ფრიადოსნებისათვის ერთდღიური დასვენების ბაზის შექმნამ, კულტურულ მასიურ მუშაობის გაძლიერებამ, დიდი დღესასწაულები, სეირნობების, ლიტერატურული საღამოებისა და პოპულარული ლექციების მოწყობამ. სამხატვრო-საკონცერტო-საესტრადო მუშაობის საგრძნობლად გაუმჯობესებამ და აგრეთვე ისეთი სეირნობა — დღესასწაულების მოწყობამ, როგორც იყო „1 მაისი“, „კონსტიტუციის დღე“,



ხელოვნების მუშაკთა პროფესიონალთა სამჯდომარე

გრ. შავგულიძე

„ომის საწინააღმდეგო დღე“, „ავიაციის დღე“, „საერთაშორისო ახალგაზრდობის დღე“—ყველა ამან ტფილისის შერომელებისათვის ბაღი გახდა მხატვრულ სანახაობათა და მასობრივ მომსახურეობის კერად.

სეზონის განმავლობაში სულ 200-ზე მეტი მხატვრულ-მასიური ღონისძიება იქნა ჩატარებული.

დამსწრეთა ზრდასთან ერთად იზრდებოდა ბაღის ფინანსური და სამნეო ბაზაც. მიმდინარე წელს ბაღმა 400.000 მანეთის მოგება ნახა, რომელიც უმაღლესი ორგანოების დადგენილების თანახმად, ბაღის შემდგომი კეთილმოწყობისა და გაფართოებას მოხმარდება მთლიანად.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ასეთი დიდი მოგება შედეგია ორგანიკიძის სახელობის ბაღის გამტარუნარიანობის, რაც საშუალებას იძლევა ერთი სალამოს განმავლობაში 30.000 მეტი დამსწრეს გაუწიოს მომსახურეობა.

ბაღის გაფართოებისა და კეთილმოწყობის შემდგომი გეგმა მეტად საძმედო სურათს გვიშლის თვალშინ. მტკვრის ორთავე ნაპირას მდებარე 150-იან ჰექტარის ფართობის ათვისებით კულტურისა და დასვენების ბაღი სოციალისტური ტფილისის უშესანიშნავეს კუთხედ გამოიყერებოდეს იქნება. მტკვრის მარჯვენა მხარეზე ბაღი შეიერთებს საბურთალოს რაიონს, რომელიც საქართველოს სამხედრო გზასა და მტკვრის იმ ადგილებს შორის მდებარეობს, სადაც ბაკტერიოგრაფი შენდება და ელბაქიძის ხიდამდი მიაღწევს. მარცხნა მხარეზე კი ჩელესკინელების სახელობის ხიდიდან სამელანეო კომბინატის ტერიტორიაზე გაიშლება. მთელი ეს ფართობი ათვისებული იქნება სიმწვანეთა გასაშენებლად, დაირგვება დეკორატიული მცენარეები, დენდროლოგიური ნარგავები და ტყე-ბაღები.

კულტურული განმანათლებელი, ფიზკულტურული სანახაობათა ნაგებობითა და მოწყობილობებით ხშირი ქსელით დაიფარება ბაღის ტერიტორია, კლუბები, კულტურისა და დასვენების სასახლე, ახალგაზრდობის სასახლე, კინისა და საზაფხულო ცირკის შენობა, სტადიონები, ფიზკულტურული მოედნები, ესტრადები, ატრაქციონები. აი საესებით არა სრული სია იმ შენობათა და ნაგებობათა, რომელიც მომსახურეობას გაუწივენ მშრომელებს დასვენების სათებში.

ბაღი არქიტექტურულ-მხატვრულ გაფორმებასა და წყლის სპორტის განვითარების სტადიონების საქმეში მტკვარი ფართოდ გამოყენებულ იქნება. ბეტონში ჩასხული მტკვირს ნაპირზე გაიშლება განიერი, კეთილმოწყობილი სანაპიროები. მოწყობა პლანები, წყლის აუზები. მდინარის ზედაპირას,—აღმა-დაღმა, ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირამდე—მოტორიანი პატარა გემები გადასერვენ.

მომავალი ბაღის სისტემაში შემდეგი სექტორები შევლენ:

ა) კულტურულ-განმანათლებელი (კლუბები, კულტურისა და დასვენების სასახლე, ახალგაზრდობის სასახლე).

ბ) სანახაობითი (კინო, ესტრადა, ცირკი და სხვ.).

გ) ფიზკულტურული (მოედნები, სტადიონები, წყლის აუზები).

დ) საბავშო ქალაქი.

ე) სამხედრო ქალაქი (სხვადასხვა გასამხედროებული და სასპორტო ნაგებობანი).

ვ) მუზრო დასვენების სექტორი (საწოლები და სხვ.) ასეთია მეტად ზოგადი სახე ტფილისის კულტურისა და დასვენების ბალისა იმ პროექტის მიხედვით, რომელიც ქალაქის გენერალური დაგეგმვით არის გათვალისწინებული.

და ეს პროექტი ჩვენს თვალშინ თანდათანობით ხორციელდება. ყოფილ მუშტაილის ბალს, რომელიც მთავარ საფუძვლად დაედვა კულტურისა და დასვენების ბალი, კარგა ხანია შეერთებული აქვს მწვანე ტერიტორია, რომელიც ჩელუსკინელების ხიდამდის აღწევს.

მტკვრის მარცხნა მხარეზე გაშენებულია კიროვის სახელობის დიდი ბალი, 62 ჰექტარის სივრცით, ეს ბალი გერის ბალთან-ერთად მომავალში კულტურისა და დასვენების ბალის შემადგენლობაში შევა.

საერთო ფართობი მტკვრის ორთავე ნაპირზე, რომელიც უკვე ათვისებულია ბალის მიერ 26 ჰექტარს უდრის.

ბალის კეთილმოწყობა გრძელდება. უკვე მოწყობილია: საპარაშუტო კოშკი, სხვადასხვა ატრაქციონები, დაძთავრებულია მყუდრო დასვენების კუთხის ორგანიზება და ბოლოს დამთავრებულია აგრეთვე საბავშო რკინისგზა და დადი მექანიკური ატრაქციონი—ცეპელინის საჰარო გზა.

1936 წ. განზრახულია საზაფხულო დახურული თეატრის შენობის (სამი ათასი კაცის ტევადობითა) და „მწვანე თეატრის“ (ხუთი ათასი კაცის ტევადობით) აგება.


განზრახულია სხვადასხვანაირი გასართობების, ახალი ატრაქციონების აგება და მთელი რიგი სამუშაოთა წამოწყება, რომელიც ნათლად გვარწმუნებს ბალის მშენებლობის დიადი პროექტის სინამდვილეში.

წრევანდელი სეზონის მუშაობის შედეგმა ჩვენ ნათლად დაგვარწმუნა, იმაში, თუ რა განსაკუთრებული მესაძლებლობის მოცემა შეუძლია ბალს შრომისა და მეურნეობის სწორი ორგანიზაციის პირობებში.]

გულუბრყვილო იქნებოდ კ ეფიქრა, რომ ასეთი სუშაობის პირობებში ყველაფერმა უშეცდომოდ და უნაკლოდ ჩაიარა. ასეთი ნაკლები ჩვენ გვქონდა, როგორც შხატვრული ხაზით („ძველი ტფილისი“, „კარნავალი“) ისე სამეურნეო ხაზითაც. ამ ნაკლთა რიცხვს უნდა მიეკუთხნოს ის გარემოებაც, რომ გასულ სეზონში ბალს არ ჰქონდა სათვატრო შენობა, ძლიერ მცირე იყო მასობრივი ატრაქციონების რიცხვი, ცუდი იყო კაფე-რესტორანების ტრესტის მუშაობაც.

ყველა ამ ნაკლის გამოსწორება შესაძლებელია და კიდევაც უნდა გამოსწორდეს იგი მომავალში და ამის გარანტია ის განსაკუთრებული ყურადღება და ყოველდღიური დახმარება, რომელსაც ბალი ღებულობს პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან და კერძოდ ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მებრძოლი ხელმძღვანელის ამხანაგ ლავრენტი ბერია საგან, რომლის ინიციატივას ეკუთხნის ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ბალის ორგანიზაცია.

ბალი უნდა გახდეს და კიდევაც გახდება ტფილის ათეული და ასიათასეული მშრომელების კულტურული და მხიარული დასვენების ორგანიზატორად.



ტფილისის კულტურისა და დასვენების ცენტრალური ბალი

სიმღერა სტალინი

ხალცური სიმღერების დოკუმენტარ გვალ. პელიძის მიერ გამოთქმული

სიტყვები ა. თირქიასი

ჩაწერა გრ. კოქილაძემ

Moderato.

2. ეშვ, ეშვ ხოლო ეშვ ბერაყილო ჩქინი ბირა,
მუშავი ზისხირით შუმილი,
ბურუშარი ხანდაშ ჩვირა.

3. ჩიგვარშვათვ ართი ჟირი
ბჯღონებ ჩქი ფულანებ ქობა,
ირდიხსასკრდვორსეუათ არ თორა დო ჯიმალობა.

თასტაში პარანია

სალეზი სიმღერების ლოტეარ გალ. ჰელიპის მიერ გამოიქვეყნ

სიტყვები ა. თირქიასი

ჩაწერა გრ. კოკელაძე

Moderato.

Digitized by srujanika@gmail.com

2. ქიმიკური ღობუა, ქიმიკური მარცვა,
მასშა ბოლოვიპური,
მოულირილე თასუა.

3. ԱՐԵՎԱԿԵ ՀՈՆԵ ՑԱԼԿ ՈՒՑԵԱԾԼԱԾԿ ԵԱԽԸՆ,

မင်တ တေသ တာဆု အော်လာဖြန့်ဖွဲ့၏

ჩემი შესახვა 2016

თეატრალური საქართველო

**ლეიინის ორგენის რუსიაშე-
ღის სახელმძის სახომატრი**

○ ხუთ ოქტომბერს, დენინის ორდენის რესთაველის სახელმძის სახომატრის სახომატრის სახომატრის განსა სეზონი ორდენისან დრამატურგის ს. ჭანშია შეიღის — „არ ს ენა“-თი.

თეატრის რეპერტუარში უმთავრესად შერჩეულია ქართული ორგანიზაციური და კლასიკური პიესები: ორდენისან დრამატურგის ს. ჭანშია შეიღის — „არ ს ენა“, „ფოლადაური“ და „ანზორი“; შექსპირის — „ინტირანისი“; ლავრენევის — „რღვევა“; ს. კლდია შეიღის — „შემოდგომის აზნაურები“ და „ეოლი იდა“, შ. დადიანის — „პუშკინის საქართველოში“ (პუშკინის დღემისათვის) და „კოლეხები“; ორდენისან დრამატურგის ალიო მაშავერის — „პატრიოტები“; გ. მდივანის — „ალკაზარი“, გერცელ ბაზოვის — „თვალთმაციო“, შექსპირის — „იორელო“, კორნეინულის — „პლატონ კრეჩიტი“.

**მარჯანიშვილის სახელმძის
სახელმწიფო თეატრი**

○ მარჯანიშვილის სახელ. სახელმწიფო თეატრმა ხუთ ოქტომბერს გახსნა მეოთე სეზონი აფინოგენოვის პიესა — „შორეული“ თ.

რეპერტუარის შედეგნის დროს თეატრმა უმსახურესი ყურადღება მისქვია: ქართულ აუგინალურ დრამატურგისა მოძრა საბჭოთა რესაულდების პიესების და კლასიკური დრამატურგის საუკეთესო ნიმუშების.

საორიენტაციო რეპერტუარში შეტანილია გერცელ ბაზოვის — „იოკა რიუზიაშია“; ი. მჭედლიშვილის — „ოიანა ბუიანა“, კ. კალაძის — „ბენელი დამების სტუმარი“, გ. გაბეგვირიას — „ეს კაცი“, გუცკოვის — „ურიელ აკანსტა“, ცაგარელის — „აც გინა ხავს ვეღარ ნახავ“, ანტონოვის — „მზის დაბნელება საქართველოში“, კ. კალაძის — „როგორ?“, პ. კაკაბაძის — „ყვარელ ყვარე თუთა ბერი“, შ. დადიანის — „ჩატეხილი“, ხიდიდი ხიდი“, „ნინოშვილის გურია“, ი. ვაკელის — „შამილი“, ავინოგენოვის — „შორეული“ და „ფოლე-დე-ვეგას — „ცხვრის წყარო“.

თურქული სახომატრი

○ ტფილისის თურქული დრამატიული თეატრი თავის წარმოდგენებს გამართავს 2: კომუნართა სახელმძის სომხური თეატრის შენობაში. სეზონი გარსნა ჰუსეინ

ჯავიდას პიესა „სიკვეუში“-ით. დადგმა იუსუფ იულდუასი. გაფორმება მხატვა. კარსლი იანის.

რეპერტუარში შეტანილია: კორნეინის „პლატონ კრეჩიტი“, ა. ვერდის „დანგრეული იუსკის დღემისათვის“ — „დუბროვსკი“. აღდგენილი იქნება წარსული სეზონის დადგმებიც.

სომხეთის დრამის თეატრი

○ სომხური აკადემიური დრამატიული თეატრის შეკვეთით სურენ ოვჩიანი სომხურ ენაზე თარგმნის ორდენისან დრამატურგის სანდრო შანშია შეიღის დრამატიულ პოემას „არსენა“-ს. თეატრი შეუდგა პიესის დამუშავებას. პიესას დადგამს რეკისორი გ. ურული, მარტარი ზ. სიმონიანი მუსიკა — გ. მელეგინე თე-ურულ ცეკვის. პიესა იქტომებრის დღესათვის დაიღმება.

შივათურის სახელმწიფო თეატრი

○ ჭიათურის სახელმწიფო თეატრმა სეზონი 30 სექტემბერს გახსნა ი. ვაკელის პიესა — „შამილი“-ით. სეზონის გახსნის დღეს თეატრმა გამოუშვა ერთდროული განხილი — „ჭიათურის თეატრი“. თეატრის სელმდღვანელობამ მრავალი მისასალმებლი დეპეშა მიიღო. „შამილი“ ახალი გაფორმებით დაიღგა.

სეზონში პირველ პრემიერად თეატრმა გ. მდივანის პიესა „ბრმა“ დადგა-სპექტაკლმა დიდი წარმატება მოიხვეჭა. წარმოდგენას დაესწრო პიესის ავორი.

ამხანაგ ლ. ბერიას სახელმ- ბის ფოთის სახომატრი

○ აქტომბრის დღესასწაულთან დაკავშირებით ახალ შენობაში გაიხსნება ფოთის დრამატიული თეატრის სეზონი. თეატრის შენობა მიწყობილია უმაღლესი ტექნიკით.

თეატრის სახატორო სელმდღვანელი და დირექტორად მიწვეულია რეჟ. ე. გოძია-შეიღის. თეატრის განხილვისათვის მზადდება ი. ვაკელის — „შამილი“. დადგმა — გ. გოცირიძე, მუსიკა — გ. მელეგინე თე-ურული.

სეზონის განხილვისათვის მზადდება ი. ვაკელის — „შამილი“. დადგმა — გ. გოძია-შეიღის, მზატვარი — მ. გოცირიძე. მუსიკა — კ. მელეგინე თე-ურული.

შემდგენი პრემიერა დანიშნულია 15 ნოემბრისათვის. დაიდგმება გ. მდივანის პიესა „ბრმა“. დადგმა — მ. ინასარის.

თეატრის რეპერტუარში შეტანილია: ვაკელის — „შამილი“, გ. მდივანის — „ბრმა“, ს. შანშია შეიღის — „არსენა“, შ. დადიანის — „კოლეხები“, კორნეინის — „პლატონ კრეჩიტი“ და ბომარალშე — „ფიგაროს“. ფიგაროს ქორმას ქვემით ინდიკირდება.

სიღნაღის დრამატიული თეატრი

○ სიღნაღის დრამატიული თეატრის სამხატვრო სელმდღვანელია მიწვეულია რეჟ. ვ. ბარეველი. ადგილობრივ ცენტრის მუშავთა გარდა დასი შეესტებულა პროფესიონალური არტისტებით: ნინონი, წინამდღვანი, ადამი ძე და სხვ. ამას გარდა ჩამოყალიბებული იქნება კადრების აღრიცხვის მიზნით ახალგაზრდათა ჯგუფი, რომელთანაც იწარმოებს ლაბორატორიული მუშაობა.

თეატრის რეპერტუარში შეტანილია: გ. მდივანის — „ბრმა“, აფინოგენოვის — „შორეული“, ი. ჭავჭავაძის — „ოთარაანთ ქვერივი“, სუნდუკიანის — „პეპო“, მოლიერის — „ეჭვით ავადყოფი“. თეატრის რეპერტუარში შეტანილია: გ. მდივანის — „ბრმა“, აფინოგენოვის — „შორეული“, ი. ჭავჭავაძის — „ოთარაანთ ქვერივი“, სუნდუკიანის — „პეპო“, მოლიერის — „ეჭვით ავადყოფი“.

„არსენა“ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა თეატრები

○ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ორდენისან დრამატურგის სანდრო შანშია შეიღის პიესა „არსენა“ მიიღო დასადგმელად საბჭოთა კავშირის სხვადასხვა თეატრებმა: ტფილისის სომხურმა დრამამ, ტფილისის თურქულმა სახელმწიფო თეატრმა, მოსკოვის რევოლუციის თეატრმა, კიევის ფრანკოს სახელმძის დრამატიულმა თეატრმა, ხარკოვის შევჩერნეკოს სახელმძის დრამატიულმა თეატრმა, ხარკოვის შევჩერნეკოს სახელმძის დრამატიულმა თეატრმა.

საქართველოს სახელმწიფო ამთავრებს ამავე აეტორისა და ორდენისან რევისორის მ. ჭიათურის მიხედვით ფილმს — „არსენა“-ს.

მოსკოვის სახელმწიფო თეატრისა და ბათუმის დიდბა თეატრმა ს. შანშია შეიღილ შეეცვეთა ლიბრეტი ასერა „არსენა“-სათვის, პეპრის დაწერა დავალებული აქვს ორდენისან კომპონიტორს იონა ტუსკიას.

მოსკოვის გამომცემლობა „ისკუსტვი“ მოკლე სანში რუსულ ენაზე ცალკე წიგნად გამოსცემს დრამატიულ პოემას „არსენა“-ს.

Х сабчота человнеба № 6

Журнал литературоведения и искусства

Орган Управления по делам искусств
при СНК ССР Грузии

კორეგიტორი — სიმ. აბულეთე
მეტრამპაჟი — გ. შავლაშვილი
ილუსტრაცია დამზადდა სახელგამის ცნო-
კოგარაფიაში
ფერადი სურათები | გ. გოგიჩაიშვილი
დამზადეს ცინკო- } ქ. ალეხინოვ
გრაფებმა }
სტამბა — „ტექნიკა და უროგა“ — სი
შეკვეთის № 1011
მთავლიტი — 1050ბ
ტირაჟ. — 2700
სტამბას მასალები 26 სექტემბერს გადაეცა
ჩელომოწერილია 20 ოქტომბერს
დაიბეჭდა 2 ნოემბერს

ვალი 3 გვე.